# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 7 აპრილი 1999 №62 (835) | ფასი 1 ლარი


6

## დღეიდან ორი ზედმეტია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

„მანჩესტერ იუნაიტედი“ „იუვენტუსს“ სრული შემადგენლობით ელის...



ოტმარ ჰიცფელდი კიევის „დინამოს“ ჯეროვნად აფასებს, მაგრამ...

9

## პირველი და უკანასკნელი

სოციალისტური გერმანიის ერთადერთი ევროთასი




13

## თავდაცვა უიარაღოდ

როცა გიჭირს, შიმშილიც ილეთია

14

## მამალ კენგურუებს ჩამავალი მთვარის ქალები გაეკიდნენ



REUTERS მადრიდიდან



ატლეტიკო — პარმა. მადრიდელი ჟუნინიო (მარცხნივ) პარმელი სტეფანო ფიორეს წინააღმდეგ

UEFA CUP

ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იტალიურ გუნდთაგან ერთი ფინალშია — „პარმა“. პარმელებმა მადრიდის „ვისენტე კალდერონზე“ აშკარად დაჯაბნეს „ატლეტიკო“ და საპასუხო შეხვედრა ფორმალობად აქციეს. არც ისაა გამორიცხული, უეფას თასის წლევანდელი ფინალი ორმხრივ იტალიური რომ გამოვიდეს. მარსელის „ველოდრომზე“ მასპინძლებმა ბევრი იწვალეს, მაგრამ ბოლონიელთა გაჩრებულ თამაშს ვერაფრით აჯობეს.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

# ახლა ვისი დროა?

## ეროვნული ნაკრები შესაძლოა უცხოელმა გაწვრთნას

ვლადიმერ გუცაევმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგომა გადაწყვიტა.

— ნორვეგიასთან მატჩის შედეგის მიუხედავად ნაკრებს დავტოვებ — განუცხადა გუშინწინ გუცაევმა „სარბიელს“.

სლოვენიასთან საშინაო ფრის მერე ფეხბურთის ფედერაციამ გუცაევს მუშაობა აცალა, საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ჯერაც აქვს და მწვრთნელის შეცვლას არ ვაპირებთო.

ეს კი ასე იყო, მაგრამ ახლა, საეჭვოა, ფედერაცია გუცაევის ამჟამინდელ სურვილს წინ აღუდგეს. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, ახალი მწვრთნელის შერჩევაზეც დროულად დაფიქრდება.

დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა, თემურ მახარაძე, გივი ნოდია და ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი. აქ ისინი ჩამოვთვალეთ, რომლებსაც, ჩვენი აზრით, სხვებთან შედარებით მეტი შანსი აქვთ, ნაკრები ჩაიბარონ.

ვნახოთ, რას გადაწყვეტენ ფეხბურთის ფედერაციაში. ჯერჯერობით უცნობია ის თარიღი, როცა ახალი მწვრთნელის ვინაობა გამოცხადდება. ისე კი, რაც მალე, მით უკეთესი. ვლადიმერ გუცაევმა თავის გადადგომის თაობაზე 25 დღით ადრე თქვა. ფედერაციას საქმე გაუიოლა. კარგი იქნება, თუ ჟორდანია და კომპანია თავიანთ წინამორბედთა მსგავსად არ მოიქცევიან და ნაკრების მწვრთნელს ზედ ოფიციალური თამაშის წინ არ დანიშნავენ. ეს საკითხი უახლოეს ხანს უნდა მოაგვარონ. მომავალ მწვრთნელს 30 მაისის მატჩამდე დაფიქრება სჭირდება.

იხილეთ მეორე გვერდი



იოჰან ბოსკამპი ქართულ ფეხბურთს საქართველოს ჩემპიონატის მატჩებით ეცნობა

# ახლა ვისი დროა?

## ეროვნული ნაკრები შესაძლოა უცხოელმა გაწვრთნას

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს, ბატონ ვლადიმერ გუცაევს მართალია, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ოფიციალური განცხადება არ დაუწერია, მაგრამ რაკი ასეთი სურვილი გასჩენია და პრესის საშუალებით ქვეყანას ამცნო, 28 აპრილის მატჩის შემდეგ პოსტს ვტოვებო, ჩათვალეთ, რომ ასეც იქნება. გუცაევი საკუთარი ხელმოწერით დადასტურებულ განცხადებას ფეხბურთის ფედერაციის უფროსობას უახლოეს მომავალში აახლებს.

გუცაევის გადაწყვეტილებას მოულოდნელი არ ეთქმის. წაგება რიგასა და ათენში, ამხანაგური მარცხი თბილისში, უკრაინელებთან, დაკარგული ორი ქულა სლოვენიის ნაკრებთან. ოთხი ტურის შემდეგ შესარჩევ ჯგუფში მეხუთე ადგილი. ეს უკვე მეტისმეტია. თავმოყვარე მწვრთნელი წასვლაზე ფიქრს იწყებს.

გუცაევმა ერთი კვირის განმავლობაში ყველაფერი გააანალიზა და გაცლა ამჯობინა.

ფედერაციას აქედანვე შეუთვალა, ჩემი შემცვლელი ეძიეთო.

ვის მოძებნის ფედერაცია? ვის ჩააბარებს ეროვნული ნაკრების საჭეს? ვინ იქნება რჩეულ ქართველთა მეხუთე მწვრთნელი?

ფედერაციას დაფიქრება მართებს. მწვრთნელის პოსტი ისეთს არ უნდა ანდოს, ვისი დანიშვნაც მომავალში სანანებელი გაუხდება.

გამოცდილი, გონიერი, ამბიციური, პრინციპული — აი ის, რითაც გუცაევის შემცვლელი უნდა ხასიათდებოდეს. ასეთები, სამწუხაროდ, ჩვენში თითებზე ჩამოსათვლელნი არიან. ზოგს რა აკლია, ზოგს რა...

მომავალ მწვრთნელს წინამორბედთა მაგალითების გათვალისწინება მოუწევს. ხალხს ტრიბუნებიდან ნაირ-ნაირი საგნების სროლის წინაპირობა არ უნდა შეუქმნას. იმისი ცოდნა აუცილებელია, რომ ქომაგთ პრობლემები ნაკლებად აინტერესებთ, მათ კარგი შედეგი, სიხარული, სიამოვნება სურთ.

და თუ მას, ვისაც ნაკრების მწვრთნელობა გულში ამოუჭრია, საკუთარი თავის იმედი აქვს, მაგრამ რაღაცისა ეშინია, რაღაც აეჭვებს, ვურჩევთ, ნაკრებს არ გაეკაროს. ეროვნული გუნდი მეტად სათუთი რამ არის. ქომაგთ მოსწყინდათ გულთა ხეთქვანი.

ახლა კი იმ ხუთეულზე, რომელთაგან ერთ-ერთიც, ჩვენი აზრით, ვლადიმერ გუცაევის მემკვიდრედ გამოცხადდება. ნუ გაგიკვირდებათ, ქვემოთ ჩამოთვლილთა შორის, ალბათ, ძალიან ბევრისთვის სასურველი რევაზ ძოძუაშვილის გვარს თუ ვერ წაიკითხავთ. მიზერულზე მცირეა იმისი შანსი, ამ კაცმა ლატვიის ნაკრები შუა გზაზე მიატოვოს და საქართველოში დაბრუნდეს. ძლიერ კი სურს სამშობლოში ჩამოსვლა, მაგრამ...

ერთი სიტყვით ასე. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი შესაძლოა იყოს:



დავით ყიფიანი

### კანდიდატი №1

### დავით ყიფიანი

ბოლო ხანს ყიფიანის ნაკრებში მიბრუნებაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. არც თუ უსაფუძვლოდ. წმინდა საფეხბურთოზე რომ არაფერი ვთქვათ, ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ყიფიანის მეგობრული ურთიერთობა, ალბათ, ყველასათვის ცნობილია. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ 23 ოქტომბერს, ფედერაციის ყრილობაზე, ყიფიანი იაროსლავიდან საგანგებოდ ჩამოვიდა საპრეზიდენტო არჩევნებში მერაბ ჟორდანიას მხარდასაჭერად. გარკვეულწილად მისმა სიტყვამაც განაპირობა ახლანდელი პრეზიდენტის მაშინდელი გამარჯვება.

ყიფიანი ახლა უმუშევარია. ბოლო ხანს, იაროსლავის „შინიკში" მუშაობის შემდეგ, იგი ბელგიაში გადაბარგდა და ქართველი ფეხბურთელებით სავსე „რასინგ მეხელენის" მწვრთნელ-კონსულტანტობა დაიწყო. მან ბელგიაში დაახლოებით ექვსი თვე დაჰყო, შემდეგ თბილისში დაბრუნდა.

შეგახსენებთ, დავით ყიფიანი საქართველოს ეროვნულ გუნდს 1997 წელსაც წვრთნიდა. მისი გუნდის ყველაზე დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, შარშანწინ, ოქტომბერში, პოლონელთა 3:0 დამარცხება, ოდნავ ადრე კი თბილისში, იტალიელებთან ნათამაშევი ნულოვანი ფრე.

ყიფიანი დაცვითი ფეხბურთის მიმდევარია. იშვიათია, რომ გარისკოს და რამდენიმე თავდამსხმელით ათამაშოს გუნდი. ფრთხილია. მას გუნდში ფსიქოლოგი არ სჭირდება, ამ ფუნქციას თავადაც კარგად ითავსებს.

ყიფიანის ხელმძღვანელობით ეროვნულმა გუნდმა ოთხჯერ მოიგო, ორჯერ წააგო, ერთხელაც ფრედ ითამაშა. ძველი ფედერაციის უფროსობასთან არც თუ სასიამოვნო ურთიერთობის გამო ნაკრების მწვრთნელობა თავად იუარა.

### კანდიდატი №2

### მურთაზ ხურცილავა

თბილისის „დინამოს" მწვრთნელად სწორედ მაშინ დაინიშნა, როცა გუნდი ჯანმრთელობაგაუარესებულმა ყიფიანმა მიატოვა და პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გახლდათ.

ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხურცილავაც იმ ბანაკში იყო, რომელიც ჟორდანიას უჭერდა მხარს. აქედან გამომდინარე, ნათელია, „დინამოს" მწვრთნელსა და ფედერაციას როგორი ურთიერთობა აქვთ.

მურთაზ ხურცილავას ნაკრებში არასდროს უმუშავია. თავის დროზე წვრთნიდა „შევარდენს", „სამტრედიას", „ოდიშს". მისი დამოძღვრილი გუნდის საუკეთესო შედეგი მეორე ადგილია, თუ „დინამოს" ჩემპიონობას არ ჩავთვლით. ევროპულ სარბიელზე ხურცილავას შეგირდები მუდამ ხელმოცარულნი იყვნენ: „სამტრედია" ორჯერ დამარცხდა მაკედონიის „ვარდართან", „დინამომ" კი ალბანეთში, უსახურ „ვლაზნიასთან" წაგებით, მართალია, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გააღწია, მაგრამ მოგვიანებით „ატლეტიკო" დინამოელთათვის დაუძლეველი ზღუდე გამოდგა. ხურცილავას გუნდები მუდამ გამოირჩეოდნენ კარგი ფიზიკური მომზადებით. მწვრთნელი აქცენტს სწორედ ამაზე აკეთებს და ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელების იმედადაა. დისციპლინის მოყვარულია, ძალიან მკაცრია შეგირდებთან ურთიერთობისას. მაინცდამაინც დიდი ტაქტიკოსი ვერაა. ყიფიანის არ იყოს, ხურცილავაც დაცვით ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას. როცა ფეხბურთელებს წელიწადში რამდენჯერმე შეხვდება, მისი ღირსებები შეიძლება გაუფერულდეს.



მურთაზ ხურცილავა

### კანდიდატი №3

### თემურ მახარაძე

მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში ამ კაცმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფეხბურთი კარგად ესმის. თბილისის „ლოკომოტივის" თამაში ამისი ნათელი დასტურია. მისი გუნდი ჯერაც დაუმარცხებელია, 21 თამაშში კი ყველაზე ცოტა — 9 გაშვებული გოლი თავისთავად მეტყველებს, რომ „ლოკომოტივის" დაცვის ხაზი საქართველოში საუკეთესოა. გასათვალისწინებელია თბილისელთა თასის ნახევარფინალისტობაც.

საკმაოდ გაწონასწორებული პიროვნებაა. მისი გაწვრთნილი გუნდები ყოველთვის ტაქტიკურად გამართულ ფეხბურთს თამაშობდნენ. ფეხბურთელებს ხშირად უცვლის ამპლუებს, საკმაოდ მოულოდნელ გადაწყვეტილებებსაც იღებს. სხვა საქმეა, როგორ უმართლებს. თუმცა, ძალიან ხშირად მისი ნაფიქრალი ეფექტურია. თამაშის მიმდინარეობისას რამდენიმე ტაქტიკურ ვარიანტს იყენებს. უპირატესობას პრესინგს ანიჭებს, აღსანიშნავია ბურთის ჯგუფურადართმევის ხერხიც. მისი ღირსება თამაშის გარჩევაცაა. ფეხბურთელებსაც არაერთხელ აღუნიშნავთ, მინდორზე რომ გავდივართ, ყველამ ხუთიანზე ვიცით, რა ვაკეთოთ. ყველაფერს დეტალურად გვიხსნისო.



თემურ მახარაძე

### კანდიდატი №4

### გივი ნოდია

საქართველოს ნაკრებში გივი ნოდიას 1990 წელსაც უმუშავია. ეროვნულ გუნდს იგი და ოთარ გაბელია მაშინ ხელმძღვანელობდნენ, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფა-უეფას წევრი არ იყო. ნოდიამ მხოლოდ ერთხელ დამოძღვრა ნაკრების წევრები, ცხრა წლის წინ, მაისში, საქართველომ ლიტვას რომ უმასპინძლა.

შემტევი ფეხბურთის მიმდევარია. ეგ კი არა, ავსტრიის „ტიროლთან" 1994 წელს უეფას თასის საპასუხო მატჩისას, ინსბრუკში, ნოდიას „დინამომ" მხოლოდ სამი მცველით ითამაშა, დანარჩენები თავდამსხმელები და შემტევი ნახევარმცველები იყვნენ. ის მატჩი ჩვენებურებმა 1:5 წააგეს და ნოდიამაც აიკრა გუდა-ნაბადი, რუსეთში წავიდა და სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივის" მწვრთნელობას მიჰყო ხელი. იგი დღემდე იქ მუშაობს. ხშირად იღებს ორიგინალურ გადაწყვეტილებებს. სიურპრიზების მოყვარულია. უდავოა, ქართველ მწვრთნელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გონიერია. ბუნებით წყნარი და მშვიდია. ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობა აქვს, ყველა პატივს სცემს.



გივი ნოდია



იოჰან ბოსკამპი

### კანდიდატი №5

### იოჰან ბოსკამპი

ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთა შორის ბოლოს კი მოვიხსენიეთ, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, ეროვნული გუნდი სწორედ ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპს ჩააბარონ. კაცს, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა და ახლო მომავალში თბილისის „დინამოს" კონსულტანტი იქნება. მისი დახმარებით საქართველოს ჩემპიონები იმედოვნებენ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში შეაღწევენ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს, მეგობრობს მის წრესთანაც. ბოსკამპის საქართველოში სტუმრობა გერმანიაში მოღვაწე ბიზნესმენის, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ახლობლის, მიხეილ სურგულაძის დამსახურებაცაა. ერთი სიტყვით, ნუ გაიკვირვებთ, თუ საქართველოს ეროვნულ გუნდს უცხოელი გაწვრთნის.

ბოსკამპი გამოცდილი სპეციალისტია. კარიერის მეტი წილი ბელგიაში გაატარა. ფეხბურთელობისას ორჯერ ჰოლანდიის და ერთხელ ბელგიის ჩემპიონი იყო.

იოჰან ბოსკამპი 1948 წლის 21 ოქტომბერს ჰოლანდიაში დაიბადა. ფეხბურთის თამაში „ჰოს როტერდამში" დაიწყო. 64-68 და 70-74 წლებში „ფეიენოორდში" თამაშობდა, საშუალედო ორი წელი კი „ჰოლანდსპორტში" გაატარა. 1974 წლიდან ბელგიაში გადაბარგდა და დღემდე მეზობელ ქვეყანას შერჩა. 1982 წლამდე ბოსკამპი „მოლენბეკის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლდათ და 1975 წელს პირველმა ლეგიონერმა, ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარება დაიმსახურა.

1982-84 წლებში ბოსკამპი „ლიერსში" თამაშობდა, სადაც საფეხბურთო კარიერა დაასრულა და სამწვრთნელო დაიწყო.

იოჰან ბოსკამპს წარმატებებისთვის მალევე არ მიუღწევია — 1986 წელს „ლიერსი" ქვედა ლიგაში დაქვეითდა და ბოსკამპის კვალიც ბელგიის უმაღლესი დივიზიონიდან ოთხი წლით გაქრა.

1991 წელს ბოსკამპმა „ბევერენი" აღაზევა იუპილერლიგაში, მაგრამ 1993 წელს მასაც დაშორდა.

იოჰან ბოსკამპისთვის, და არა მარტო მისთვის, იღბლიანი „ანდერლეხტთან" შეყრა იყო. მისი ბრიუსელში ჩასვლა და დუბლის მოგება ერთი გამოდგა. ბოსკამპმა „ანდერლეხტი" ზედიზედაც აჩემპიონა და მერე, რატომღაც გაშორდა.

1995 წლის ბოლოს, უბოსკამპოდ რომ გაუჭირდა, „ანდერლეხტმა" მწვრთნელი დაიბრუნა, მაგრამ მეორე ადგილს ველარ აცდა და 1997-შიც თასის ფინალში გასვლასაც დასჯერდა.

ბოლო ორი სეზონია, ბოსკამპმა „გენტთან" ხუთწლიან კონტრაქტს რომ მოაწერა ხელი, მაგრამ შარშან სექტემბერში მასთან დაშორებაც მოუწია.

მიზეზი ცუდი შედეგი კი არა, თავად ბოსკამპის ხასიათი გახლდათ. ჯერ იყო და ერთ-ერთი მატჩისას თანამსაჯი ისე აჯანჯღარა, რომ ძირს დასცა და ბელგიის ფეხბურთის ფედერაციას რვათვიანი დისკვალიფიკაცია გამოსტყუა, მერე კი კლუბის მესვეურებს აუხირდა ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების შესაძენად თანხებს იშურებთო, დაიხურა ქუდი და... აგერ საქართველოში ჩამოვიდა.

კობა ინასარიძე

# საქართველოს თასი
## ნახევარფინალი

თბილისი. „26 მაისი" ვაკე. 7 აპრილი. 15 საათი

### ლოკომოტივი — სამგურალი

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. ელიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
სფფ-ის დელეგატი: დ. ქლიბაძე

თბილისი. „ისანი". 7 აპრილი. 17.30 საათი

### არსენალი — ტორპედო

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. დოლიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ასკაროლლი (ქარელი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი
სფფ-ის დელეგატი: გ. ძაგანია

# სათასო (გა)ხარება
## ვისთვის ანათებს მთვარე

ბადრი ქათამაძის ფოტო



შარშან გია მეგრელაძემ (№10) არსენალელებს ჩინებული გოლი გაუტანა

დღეს მართლმადიდებლური სამყარო ხარების დღესასწაულს აღნიშნავს. ქართული საფეხბურთო სამყარო თასის პირველი ნახევარფინალური შეხვედრების მომსწრე გახდება. ოცი საუკუნის წინათ მთავარანგელოზმა ქალწულ მარიამს ღვთისმშობლობა უწინასწარმეტყველა და მასზე სულწმინდის გადმოსვლა ამცნო...

დღევანდელი მატჩების შედეგების წინასწარმეტყველება იოლი როდია. ამის შესახებაც, ალბათ, მხოლოდ ზეცაში უწყიან, როგორც ყოველთვის. ჩვენ კი, უბრალო მოკვდავებმა, ხელთარსებულ ინფორმაციების, არგუმენტირებული საუბრისა და ლოგიკური მსჯელობის ხარჯზე უნდა გამოვიცნოთ, რომელი გუნდი ივარგებს და რომელი ვერა. თუმცა როცა საქმე თასის დღევანდელ გათამაშებას ეხება, რა ლოგიკაზეა ლაპარაკი. უცნაურმა მერვედფინალმა და მეოთხედფინალმა ყოველგვარი კანონზომიერება გაიქარწყლა. აბა, ვინ იფიქრებდა, მერვედფინალის საპასუხო მატჩებში „ლოკომოტივი" „დინამოს" პენალტების სერიით, ხოლო „ტორპედო" „კოლხეთს" ფოთში 1:3 წაგების შემდეგ ოქროს გოლით დაამარცხებდა.თითქმის იგივე განმეორდა მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრებშიც.შინ „სამგურალმა" „ვიტ ჯორჯიას" 0:2 გაუქვითა და პენალტებში მოუგო. კაცნაკლულმა „ლოკომოტივმა" ბათუმში 94 წუთის განმავლობაში გაუძლო მრისხანე მასპინძლის შეტევას და თერთმეტმეტრიანების სერიამდე მიიყვანა საქმე. შედეგი სახეზეა — თასის მფლობელ „ბათუმი" გათამაშებას და თასს გამოეთხოვა.

გარკვეული კანონზომიერება მხოლოდ ნახევარფინალისტთა წყვილების გამოსავლენად ჩატარებულმა წილისყრამ დაიცვა. მართალია, სრულიად შემთხვევით, მაგრამ, ალბათ, სამართლიანად თბილისური და იმერული გუნდები ერთმანეთს განარიდა. ჰოდა, დღეს იმერლები დედაქალაქს სტუმრობენ. ორი შეხვედრის ჯამში ვინც არ უნდა იმარჯვოს, ერთი რამ ნათელია — 26 მაისს თასის ფინალს ის კლუბები ითამაშებენ,რომელთაც აქამდე არ ჰქონიათ ამგვარი პატივი და სიამოვნება.

ფედერაციამ გაითვალისწინა გულშემატკივართა დიდი ინტერესი და მატჩების დასაწისი ორსაათნახევრიანი შუალედით განასხვავა. „ლოკომოტივი" — „სამგურალს" შეხვედრის შემდეგ ქომაგებს 45 წუთი ექნებათ ავლაბარში „არსენალ" — „ტორპედოს" პაექრობას რომ მიუსწრონ. ასე რომ, დღეს „26 მაისისა" და „ისნის" სტადიონებზე ხალხმრავლობაა მოსალოდნელი.

ვაკეში, ახალ წამობიბინებულ ბალახ-ბულახში, რკინიგზელები წყალტუბოელებს დაუხვდებიან. ერთ რამეღ ეღირებოდა ამ გუნდების შეხვედრის ცქერა, რომ არა იმერულ კლუბში დაბუდებული გაურკვევლობა. „სამგურალს" კვლავ გაიოზ დარსაძის გარეშე მოუწევს ბრძოლა. მიზეზად მის ავადმყოფობას ასახელებენ. თუმცა ოფიციალურ ვერსიას თანდათან ეჭვის ქვეშ აყენებს მოარული ხმები... ლაპარაკია დარსაძესა და ერთ-ერთ სამგურალელს შორის მომხდარ ინციდენტზე, აგრეთვე მის კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოებაზე. მთავარი მწვრთნელის გუნდიდან წასვლის მთავარ მიზეზად მაინც გუნდის მესვეურთა მიზნებისადმი ზერელე დამოკიდებულება რჩება. აუტსაიდერთა ზონას ჩამოცილებული „სამგურალის" ხელმძღვანელობა მიღწეულს კმაყოფილდება და სათასო ბატალიებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ამგვარი განწყობილებით კი წყალტუბოელებს ძალიან გაუჭირდებათ თემურ მახარაძის აწყობილ ანსამბლთან ღირსეულად თამაში. დავით მუჯირით, უცხოეთიდან მობრუნებული გოგოლაძითა და დაუშვილით კიდევ უფრო გაძლიერებული „ლოკომოტივი" მართლაც აღმავლობის გზაზეა. თბილისელები შეეცდებიან, პირველივე შეხვედრაში მოილიონ საქმე და 20 აპრილს დამშვიდებულნი ესტუმრონ წყალტუბოს. თუმცა რკინიგზელებს სოლიდური ანგარიშით მოგება ერთობ გაუჭირდებათ მინდვის უვარგისობის გამო. და კიდევ... თუ „სამგურალის" ფეხბურთელები შიშველ ენთუზიაზმს დასჯერდებიან, მათ ძალუძთ, სიურპრიზი შემოგვთავაზონ დღევანდელ შეხვედრაში...

„ისანზე" ორი კრიზისში მყოფი გუნდი იბრძოლებს თავდაცვის სამინისტროს პირმშო — „არსენალი" ფინანსურად შეჭირვებულია. ამის გამო კლუბი კაკუბავამ და გაბისონიამ დატოვეს. ამის მიუხედავად ჩემპიონატის 21-ე ტურში არმიელების მონდომებამ ვერცხლის მედლის მაძიებელ „ლოკომოტივს" კინაღამ ორი ქულა დააკარგვინეს. ისინი განსაკუთრებით მეორე ტაიმში გააქტიურდნენ და ურიგო ფეხბურთი როდი ითამაშეს.

საფეხბურთო კრიზისი უდგას „ტორპედოს". ქუთაისელი ფეხბურთელები ქულას ქულაზე კარგავენ. თანაც ბოლო 180 წუთია, გოლი ვერ გაიტანეს. პირველ წრეში „ტორპედო" „არსენალს" რომ ესტუმრა, მაშინაც უჭირდათ იმერლებს, ოღონდ ფინანსურად. დაშლის პირას მყოფებმა მაინც მოახერხეს 2:0 მოგება იონანიძისა და მეგრელაძის გოლებით. დღევანდელ მატჩში სათუოა გია მეგრელაძის თამაში. მართალია, „ტორპედოს" თავდამსხმელმა ვარჯიში განაახლა, მაგრამ არა გვგონია, ძირითად შემადგენლობაში დააყენონ. ამ შეხვედრაში ყველანაირი შედეგია მოსალოდნელი. ამის თქმის საფუძველს „ტორპედოს" უფერული თამაში გვაძლევს.

ასეა თუ ისე, დღეს სათასო ვნებათა ღელვა გველის. უცნაურობებსაც უნდა ველოდოთ. რატომ? აქამდე ხარება თითქმის ყოველთვის უსწრებდა ბზობის დღესასწაულს. მთვარის მოქცევის გამო კი წლეულს პირიქით მოხდა.

ვნახოთ, ვის რა ბედი მოუმზადა განგებამ. ვინ გაიხარებს ხარებას, ვისთვის გამოანათებს მთვარე...

**ხვიჩა სანიძიძე**

# მეორე ჯგუფი

## დასავლეთი. „ა" ქვეჯგუფი
### XVI ტური

2 აპრილი

**რიონი 0:2 გაგრა**
0:1 ე. ხურცილავა (27), 0:2 მანაგაძე (34)
გაფრთხილება: ალფაიძე, ეფრემინი (ორივე რიონი), ბარაბაძე (გაგრა)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**ოკეანე 2:3 სულორი**
1:0 კრავეიშვილი (8), 1:1 კაპატაძე (37), 2:1 კრავეიშვილი (50), 2:2 ბუხაიძე (70), 2:3 გოგია (79 ს.კ.)
გაფრთხილება: ზ. ჯანელიძე, ჯიქია, კაცაძე (ყველა ოკეანე), გოჩა ბრეგვაძე, ფაიქიძე, მიქელთაძე, გიზო ბრეგვაძე (ყველა სულორი)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**საირმე 1:4 მარგვეთი**
0:1, 0:2 დ. ნოზაძე (10, 27), 0:3 მუმლაძე (55), 0:4 სულაკაძე (67), 1:4 თ. ჯანელიძე (87)
გაფრთხილება: რობაქიძე, ლომსიანიძე (ორივე საირმე)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
მალაროელი — მეშახტე 10 აპრილს გაიმართება

4 აპრილი

**სამგურალი 2 0:2 ტორპედო 2**
0:1 ბობოხიძე (53), 0:2 კვერნაძე (75)
გაფრთხილება: მაგრაქველიძე (ტორპედო 2)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**იბერია 2 2:2 რაჭა**
1:0 ივეჩიანი (40), 2:0 ნ. გიორგაძე (48), 2:1 პ. ჯელაძე (50), 2:2 ჩიტალაძე (72)
გაფრთხილება: ტყეშელაშვილი (იბერია 2), ჩიტალაძე (რაჭა)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 15 | 13 | 2 | 0 | 59:16 | 41 |
| სულორი | 15 | 13 | 2 | 0 | 41:12 | 41 |
| მეშახტე | 13 | 9 | 1 | 3 | 28:15 | 28 |
| გაგრა (-3) | 15 | 10 | 0 | 5 | 29:15 | 27 |
| სამგურალი 2 | 14 | 8 | 2 | 4 | 27:23 | 26 |
| ოკეანე | 15 | 8 | 1 | 6 | 19:23 | 25 |
| რაჭა | 15 | 5 | 2 | 8 | 26:29 | 17 |
| რიონი | 14 | 5 | 1 | 8 | 19:19 | 16 |
| ტორპედო 2 | 15 | 4 | 2 | 9 | 16:24 | 14 |
| საირმე (-3) | 15 | 4 | 1 | 10 | 13:29 | 10 |
| იბერია 2 | 15 | 1 | 3 | 11 | 14:35 | 6 |
| ჩიხურა (-3) | 13 | 2 | 2 | 9 | 15:39 | 5 |
| მალაროელი (-3) | 14 | 1 | 3 | 10 | 18:45 | 3 |

## დასავლეთი. „ბ" ქვეჯგუფი
### XVI ტური

2 აპრილი

**კოლხეთი 2:0 ფაზისი**
1:0 ზაზა აიანადი (37), 2:0 დანელია (60)
გაფრთხილება: ზურაბ აიანადი, ზაზა აიანადი (ორივე კოლხეთი), ჯღარკავა (ფაზისი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ბახმარო 4:0 სქური**
1:0 ჯიბუტი (2), 2:0 თავბერიძე (60), 3:0 უჯმაჯურიძე (65), 4:0 თავბერიძე (75)
გაფრთხილება: გეფერიძე, უჯმაჯურიძე (ორივე ბახმარო), ქორთუა (სქური)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**სალხინო 2:3 ეგრისი**
0:1, 0:2 იოსელიანი (19, 22), 0:3 მიქავა (29), 1:3 წოწონავა (60), 2:3 სიგუა (78)
გაფრთხილება: სიგუა, წოწონავა (ორივე სალხინო), იოსელიანი, მიქავა (ორივე ეგრისი)
გაძევება: იოსელიანი (86, ეგრისი)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**კოლხეთი 2 1:0 შუქურა**
1:0 კრასოვსკი (51)
გაფრთხილება: ბურჭულაძე, წულაია (ორივე კოლხეთი 2)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

4 აპრილი

**კოლეჯი 1:0 ენგური**
1:0 ი. ბახტაძე (37)
გაფრთხილება: ქაცარავა, ი. ბახტაძე (ორივე კოლეჯი), ჩიგობავა, ასლანიშვილი (ორივე ენგური)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**ოდიში 2 2:0 სამეგრელო**
1:0 შედანია (48), 2:0 კაკულია (87)
გაფრთხილება: ჯოლია, ნაჭყებია, რ. ქობალია (ყველა ოდიში 2)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 14 | 11 | 2 | 1 | 41:8 | 35 |
| კოლეჯი | 15 | 8 | 4 | 3 | 25:15 | 28 |
| სქური | 15 | 8 | 2 | 5 | 36:32 | 26 |
| შუქურა | 14 | 8 | 1 | 5 | 29:20 | 25 |
| ფაზისი | 15 | 8 | 1 | 6 | 26:19 | 25 |
| ენგური | 15 | 7 | 4 | 4 | 29:22 | 25 |
| მერცხალი | 14 | 7 | 1 | 6 | 24:17 | 22 |
| სამეგრელო | 15 | 5 | 3 | 7 | 22:22 | 18 |
| ოდიში 2 | 15 | 4 | 5 | 6 | 19:23 | 17 |
| ბახმარო | 15 | 5 | 2 | 8 | 16:28 | 17 |
| ეგრისი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:29 | 16 |
| კოლხეთი 2 | 15 | 4 | 1 | 10 | 14:35 | 13 |
| სალხინო | 15 | 2 | 0 | 13 | 24:54 | 6 |

## აღმოსავლეთი. „ა" ქვეჯგუფი
### XX ტური

2 აპრილი

**კახეთი 4:0 ალაზანი**
1:0 ბაბულაიძე (2), 2:0 ნუსხელიძე (3), 3:0 ბობოხიძე (49), 4:0 დ. ბურდული (70)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ჭაბუკიანი 3:0 ალგეთი**
„ჭაბუკიანს" ჩაეთვალა მოგება

3 აპრილი

**მრეტები 0:1 დინამო 3**
0:1 ოლგესაშვილი (86)
გაფრთხილება: ჩიხლაძე, ბალავაძე, მჭედლიშვილი (ყველა მრეტები), ახალაია (დინამო 3)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სამგორი 0:1 უნივერსიტეტი იბერია**
0:1 ხმალაძე (87)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

4 აპრილი

**ზოოვეტი 3:4 ლარწყალი**
0:1 დ. ჩიგოშვილი (29), 0:2, 1:4 ტოკლიკიშვილი (32, 55), 1:2 ზაკუტაშვილი (38), 1:3 გოძიაშვილი (45), 2:4 გუგუშვილი (59), 3:4 ურუშაძე (87)
გაფრთხილება: გულიაშვილი (ლარწყალი)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**ქანაგკო 1:3 ხალიბი**
0:1 ა. სოხაძე (37), 0:2 პ. სოხაძე (43), 0:3 ზაზაშვილი (67), 1:3 ხუციშვილი (84)
გაფრთხილება: მ. გოგოჭური, ზურაბ გოგოჭური (ორივე ქანაგკო), გაბრიელაშვილი, ა. სოხაძე, ლობჟანიძე (ყველა ხალიბი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**აკადემია 2:0 ყვარელი**
1:0 გ. მეტრეველი (3), 2:0 კირვალიძე (85)
გაფრთხილება: მ. ვაშაკიძე (აკადემია), სომხიშვილი (ყვარელი)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლარწყალი | 18 | 14 | 4 | 0 | 43:15 | 46 |
| აკადემია | 17 | 14 | 1 | 2 | 40:9 | 43 |
| ყვარელი | 19 | 12 | 4 | 3 | 32:12 | 40 |
| ჭაბუკიანი (-3) | 19 | 13 | 1 | 5 | 32:19 | 37 |
| ხალიბი | 18 | 11 | 1 | 6 | 35:19 | 34 |
| კახეთი | 19 | 9 | 4 | 6 | 30:26 | 31 |
| დინამო 3 | 19 | 9 | 3 | 7 | 31:24 | 30 |
| არსენალი 2 | 17 | 9 | 2 | 6 | 30:16 | 29 |
| ზოოვეტი | 19 | 7 | 5 | 7 | 38:33 | 26 |
| ალგეთი | 19 | 7 | 1 | 11 | 28:37 | 22 |
| უნივერსიტეტი იბერია | 19 | 5 | 4 | 10 | 18:25 | 19 |
| სამგორი | 17 | 3 | 3 | 11 | 20:33 | 12 |
| მრეტები | 18 | 2 | 2 | 14 | 15:38 | 8 |
| ქანაგკო (-3) | 19 | 2 | 3 | 14 | 15:57 | 6 |
| ალაზანი | 19 | 1 | 2 | 16 | 14:58 | 5 |

## აღმოსავლეთი. „ბ" ქვეჯგუფი
### XVII ტური

2 აპრილი

**განთიადი 3:3 მესხეთი**
1:0 შაქარაშვილი (35), 1:1 ბერძენიშვილი (50), 1:2 ზ. სიდამონიძე (58), 2:2 ნაროზაშვილი (60), 2:3 მარლანია (67), 3:3 გაბიდაური (83)
გაფრთხილება: გაბიდაური, ჯალალი (ორივე განთიადი), მარლანია (მესხეთი)
გაძევება: ლეკიშვილი (86, მესხეთი), გაბიდაური (86, განთიადი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ქარელი 0:1 ივერია**
0:1 ჯობაძე (57)
გაფრთხილება: გ. ნოზაძე, ბეგალეიშვილი (ორივე ქარელი), ხმალაძე, კულუმბეგოვი (ორივე ივერია)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

**ცხინვალი 3:1 ცხუმი**
1:0, 2:0 ტილკავაშვილი (42, 66), 3:0 გ. ჩიტაია (70), 3:1 გაგილაძე (90)
გაფრთხილება: მარგიევი, ცხადაძე (ორივე ცხინვალი), ოდიშარია, ჭანტურიძე, ქიქავა (ყველა ცხუმი)
გაძევება: ცხადაძე (71, ცხინვალი)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი)

**ვარძია 3:0 ჟინერი**
„ვარძიას" ჩაეთვალა მოგება

4 აპრილი

**ლოკომოტივი 2 2:1 იბერია**
1:0, 2:0 გილაური (24, 50), 2:1 კოშკაძე (87)
გაფრთხილება: ლ. ხურცილავა (ლოკომოტივი 2), გ. სამხარაძე, ცნობილაძე (ორივე იბერია)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**დილა 2 0:6 საუ**
0:1, 0:5, 0:6 დ. თალაკვაძე (10, 60, 90), 0:2 ა. მაისურაძე (25), 0:3, 0:4 ი. შენგელია (47, 48)
გაფრთხილება: გიუნაშვილი, ხანიშვილი (ორივე დილა 2), ა. მაისურაძე, ელბაქიძე (ორივე საუ)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

XV ტურის მატჩი

**დინამო 2 2:0 მესხეთი**
1:0 ი. შენგელია (22), 2:0 ლ. მელქაძე (28)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 16 | 14 | 0 | 2 | 43:12 | 42 |
| ცხინვალი (-3) | 17 | 14 | 1 | 2 | 50:13 | 40 |
| ქარელი | 17 | 11 | 2 | 4 | 34:12 | 35 |
| ლოკომოტივი 2 | 17 | 11 | 2 | 4 | 47:26 | 35 |
| ივერია | 17 | 10 | 4 | 3 | 40:19 | 34 |
| განთიადი | 17 | 7 | 4 | 6 | 27:28 | 25 |
| ცხუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 32:28 | 21 |
| მესხეთი | 17 | 5 | 5 | 7 | 28:35 | 20 |
| იბერია | 17 | 6 | 1 | 10 | 35:35 | 19 |
| საუ | 17 | 5 | 4 | 8 | 31:35 | 19 |
| თორი | 16 | 5 | 1 | 10 | 21:27 | 16 |
| დილა 2 | 17 | 4 | 2 | 11 | 25:43 | 14 |
| ვარძია | 17 | 2 | 3 | 12 | 14:47 | 9 |
| ჟინერი | 17 | 1 | 2 | 14 | 18:85 | 5 |

შენიშვნა: (-3) — დაკლებული აქვს სამი ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჩემპიონატი **21 ტური**

# ლევან, კილერ?!

ბევრი ლაი-ლაი და შეხედულებათა შეჯერება არ არის საჭირო — მეათე ეროვნული ჩემპიონატის ოცდამეერთე ტური ლევან ხომერიკის ბენეფისად შეიძლება მოვნათლოთ. მიზეზიც მშვენიერია — ხომერიკმა გორის „დილა" არ დაინდო და განა ერთი, ოთხი ბურთი გაუტანა. ეტყობა, მოუხდა მშობლიური ზღვაური ლევანს. გოლები, როგორ არა, თბილისის „დინამოშიც" გაჰქონდა, ბელგიური „რასინგ მეხელენის" შემადგენლობაშიც მოასწრო თავის გამოჩენა, მაგრამ მშობლიურ გუნდში განსაკუთრებით გაილაღა — სულ სამი შეხვედრა ჩაატარა, ექვსი ბურთიც გაიტანა და ვინ იცის, რას არ იტყვის ჩხიკვის ენა — ამბობენ, ბათუმელები შარშანდელი შედეგის გამეორებას აპირებენ, მეორე ადგილი აქვთ გულში ამოჭრილი, მით უმეტეს, შარშანდელი პირველი მეგოლე დაიბრუნეს ზღვისპირელებმაო...

ხომერიკის პოკერს კანტიძემ და ღლონტმაც შეაწიეს თითო გოლი და „დილაც" შერცხვა. საფეხბურთო იმიჯი და პრინციპები თქვი შენ, თორემ წაგება წაგებაა, ასეც ქულას კარგავ და ისეც, გინდა, დიდი ანგარიშით წაგეგია, გინდა, პატარათი.

მარადმა ჩემპიონმა თავისი პირველი საჩემპიონატო შეხვედრა დაანახა ჰოლანდიელ მშველელს — იოჰან ბოსკამპს. კიდევ კარგი, რომ თბილისის დინამოელები ფოთში „კოლხეთთან" თამაშობდნენ, თორემ რომელიმე მიძინებული მატჩი რომ ენახა შუაგული ევროპიდან „დინამოსთვის" საგანგებოდ მოძიებულ ამ კაცს, ვინ იცის, ეგრევე უკან ებრუნებინა პირი.

თუმცა ამისგან დაზღვეული მაინც არ არის „დინამო" — ფოთის მატჩის შემდგომი სკანდალი (ეს ერთი!), მარტო ევროპელს კი არა, ამეებში გვარიანად გამობრმმედილ კაცსაც დააფიქრებდა და დააშინებდა. მაგალითი? თავად მატჩის არბიტრი გურამ ასკაროღლი ინებეთ, რომელსაც არაერთი „ისეთი" პენალტი დაუდვია და მაყურებლისგანაც „უწვნევია"-ხოლმე. მაგრამ ფოთში რაც მოუვიდა, ადრინდელი მონაგონია. ფოთის სტადიონის დისკვალიფიკაცია დისკვალიფიკაციად, მაგრამ ფოთელები ჩემპიონატიდან გუნდის მოხსნითაც იმუქრებიან და ყველაზე ცუდიც, ალბათ, ეს არის.

ორომტრიალი და დავიდარაბა არც „იბერია" — „ტორპედოს" შეხვედრას მოჰკლებია (ეს ორი!). იქაც მთავარი მსაჯი და არდანიშნული პენალტები იქცა განხეთქილების ვაშლად და საბაბად. მაგრამ ჩამოსულ ქომაგებს ფოთელ კოლეგებთან შედარებით ტემპერამენტმა „უმტყუნათ" და სკანდალი ტრიბუნებიდან ლანძღვა-გინებას არ გასცდენია. კრიტიკის ობიექტი კი „ტორპედოს" ყოფილი და „იბერიის" ახლანდელი მწვრთნელი სოსო ფრუიძე გახდა. რაც შეეხება თავად შეხვედრას, ფრედ მორჩა, „ტორპედომ" ბოლო სამ ტურში ზედიზედ რვა ქულა დაკარგა და აგერ „ლოკომოტივის" ქშენაც ყურისძირიდან ესმის.

თავის მხრივ, რკინიგზელებმა მსაჯის დამატებულ დროში გადაწყვიტეს „არსენალთან" მატჩის ბედი. მთელი შეხვედრის განმავლობაში მშვიდად, ჩვეულ სტილში 1:0 იგებდნენ მახარაძის შეგირდები, მაგრამ ერთ მომენტში ტარიელაშვილს ვერ აუდიდნენ და დავითმაც უპრობლემოდ გაათანაბრა ანგარიში.

მოსახდენი მერე მოხდა — დაახლოებით 94-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა იგორა ბურთმა, იტრიალა, იწვალა და პირდაპირ კარის წინ მეფე ლირივით მარტო დარჩენილ ვარლამ კილასონიასთან მიგორდა. თერგდალეულ რუსთაველსაც რაღა დარჩენოდა — ლამის იყო, დაამიწა ბურთი არმიელთა კარში.

წინა ტურში 1:0 ქუთაისში მოგებულმა „ვიტ ჯორჯიამ" ამჯერად „გურიას" ცოდვა დაიდო და დიდი ანგარიშით დაამარცხა ლანჩხუთელები. გურულებმა, ფაქტობრივად, ხუთ წუთში დათმეს თამაში — 54-ედან 59-ე წუთის ჩათვლით, ორჯერ გოჩაშვილმა და ერთხელ მაისურაძემ, გოგუა უშანსოდ დატოვეს და თავიანთი მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი კოტე დოლიძეც მეტად გაასარეს. ამ გამარჯვებით მწვანე ჯვრის რაინდებმა მერვე ადგილზე აინაცვლეს და... კოტე დოლიძეს რომ ჰკითხო — არც ხუთეულია შორს. ღმერთმა ხელი მოუმართოს „უცოლოთა ამქარს" — „ვიტ ჯორჯია" ის გუნდია, ვინც დაამარცხა „ბათუმი", „ტორპედო", არც სხვებს დააყარა ხეირი და ეკუთვნის რჩეულთა მარაქაში გარევა.

აწ უკვე სოლიდური შემადგენლობის პატრონმა „სამგურალმა" სტუმრად „ოდიში" წამოაჩოქა. სკანდალისა და შარის გარეშე არც ზუგდიდურმა მატჩმა ჩაიარა (ესეც სამი!) — ოდიშარები თავისი გუნდის ოთხ მოთამაშეს გაუნაწყენდნენ, მიტინგური განწყობასულისკვეთებით სულ „შემარცხვენლები" და „ზუგდიდის გამყიდველები" უძახეს და მარცხიც მათ დააბრალეს საბოლოოდ.

წყალტუბოელებმა თავის მხრივ ტაქტიკურად გამართული ფეხბურთი შესთავაზეს მასპინძლებს. ერთი დასაწყისში, ერთიც დასასრულს გაუტანეს მათ და აუტსაიდერებსაც გვარიანად დაშორდნენ.

ქულები დაკარგა „სიონმა" და ქულა მოიპოვა „გორდამ". „გურია" — თსუს კარგა ხნის მანძილზე შეხმატკბილებულ წყვილს ყველაზე მეტად სწორედ ეს ორი გუნდი უახლოვდება და თუ ყური დროზე არ გამოიფხიკეს, არც „სიონია" დაზღვეული მეორე ჯგუფში დაქვეითებისგან და არც „გორდა". თუ გავითვალისწინებთ ბოლნისელთა უცუდეს კალენდარსა და „გორდას" ჯიბეცარიელ მეპატრონეებსაც, ეს შანსი კიდევ უფრო იზრდება. ასეა თუ ისე, მეათე ეროვნულს სატურნირო ცხრილის ზემო ნაწილს კი მოაკლდა ინტრიგა, მაგრამ ქვემო ნაწილში ახლაღა იწყება ყველაფერი.

როგორც იქნა, ხელი გამოიღო თსუ-მ. „შევარდენზე" გაბელიას შეგირდებმა „მერანი" იმსხვერპლეს. 29-ე წუთზე მაღრაძის გატანილი ბურთი ამ მატჩში ერთადერთი და სტუდენტთათვის სამი ქულის მომტანიც აღმოჩნდა.

ოცდამეერთე ტური გაფრთხილებების საიუხვითაც გამოირჩა. რვა შეხვედრაში ოცდაოთხი ყვითელი ხუმრობა საქმე სულაც არ გახლავთ და ამათგან უმეტესობას არბიტრებთან კამათის გამო რომ არ იღებდნენ ფეხბურთელები, ამას რა აჯობებდა.

ტურში გავიდა თექვსმეტი ბურთი (ცოტაა!). მასპინძლებმა 4 მოიგეს, ორი ფრე გაახერხეს და ორიც დათმეს. დაფიქსირდა ორი დიდი ანგარიში და ერთიც პოკერი — როგორც დასაწყისში ვთქვით, ლევან ხომერიკისა.

ისე ესეც საქმეა. ფეხბურთელს ერთი, ორი, სამი გოლი რომ გააქვს და მაინც არ სწყინდება თამაში. ასე რომ, ბარაქალა ხომერიკს.

**კონსტანტინე გოგიჩაიშვილი**

**XXII ტური**

*10 აპრილი, შაბათი*

არსენალი — სიონი (1:0)
მერანი — კოლხეთი (0:3)
დილა — ვიტ ჯორჯია (2:1)
გურია — იბერია (1:4)
დინამო — ოდიში (4:0)
ტორპედო — ლოკომოტივი (1:1)
გორდა — თსუ (0:0)
სამგურალი — ბათუმი (1:6)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

---

მცხეთა
3 აპრილი
16 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 3:0 გურია

1:0 გოჩაშვილი (54), 2:0 მაისურაძე (56), 3:0 გოჩაშვილი (59)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე (მამარდაშვილი 73), ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, ჯ. მუჯირი, ვ. მაისურაძე, ზ. გვაზავა, კ. ალადაშვილი, ი. კაპანაძე (დ. დოლიძე 67), ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე (გ. გვაზავა 63), ვ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* ჭოხონელიძე, ერაძე
**გურია:** გოგუა, შავშიშვილი, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, კ. სვანიძე (მაჩიტიძე 80), გულორდავა, ძოძუაშვილი (თ. ჩხაიძე 73), დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ფირცხალაიშვილი 77), ბოლქვაძე
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; ჭიაბრიშვილი
**გაფრთხილება:** კვეკვესკირი (52), ენუქიძე (56)
**მსაჯები:** ა. ორდენიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი, ა. ქარქაშაძე (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში)
**სფფ-ს ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

თბილისი
3 აპრილი
16 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 16 000)

## ლოკომოტივი 2:1 არსენალი

1:0 კილასონია (35), 1:1 ტარიელაშვილი (88), 2:1 კილასონია (90)
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (კ. მელქაძე 78), ვ. კილასონია, კაციაშვილი (დაუშვილი 60), შ. ხუჯაძე, კ. გოგოლაძე (დ. გოდერძიშვილი 64), გოგობერიშვილი, წივწივაძე
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; გილაური, კოტორაშვილი, მგელაძე
**არსენალი:** ჩლაიძე, ლაცაბიძე (კოხრეიძე 80), ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია (ამირიძე 64), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი, აბაზაძე, კვირკველია, კაკაშვილი (ხოსროშვილი 80), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე; ზ. მეტრეველი, თვალაბეიშვილი, ყუფარაძე
**გაფრთხილება:** წივწივაძე (48)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); დ. სანაია (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი)
**სფფ-ს ინსპექტორი:** ი. რუხაძე

სამტრედია
3 აპრილი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
700 (ტევადობა 14 000)

## იბერია 0:0 ტორპედო

**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ს. თოდუა, ი. გიგიაძე, ხუჭუა (რ. ცომაია 89), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (მუმლაძე 75), ფილიპაშვილი (ვარდიაშვილი 71)
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ზ. ფხაკაძე, მესიაჩენკო, ნ. გიორგაძე
**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, მაზანიშვილი (კ. ჯანაშია 55), კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, იონანიძე, კ. მეტრეველი (იმედაძე 46)
*სათადარიგონი:* სტურუა; ვაჩიბერაძე, ჩხაბერიძე
**გაფრთხილება:** ნიკოლეიშვილი (9), შეყრილაძე (67), დ. ჯანაშია (85), მუმლაძე (88)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ა. მეშკოვი, ლ. სილაგავა (სამივე თბილისი); ზ. ერქვანია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

ზუგდიდი
3 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 7 500)

## ოდიში 0:2 სამგურალი

0:1 შენგელია (15), 0:2 დარსაძე (89)
**ოდიში:** გოგია, რ. გაბისონია, კაკულია, აკობია, ლ. თოდუა, ვაზგანავა, ტაბალუა, იოსავა, ცაცუა, ალანია (შელია 67), გოგოხია
*სათადარიგო:* კალანდია
**სამგურალი:** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ლ. ქობულაძე, ფრანგიშვილი, ძაგნიძე, აფციაური (დარსაძე 75), გ. კილასონია (მ. ჯინჭარაძე 85), გიორგობიანი, ჯავახაძე, გ. შენგელია (ზ. ქუთათელაძე 78)
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; ლონღაძე, ლ. გიორგაძე
**გაფრთხილება:** ცაცუა (18), ფრანგიშვილი (25), კაკულია (37), შენგელია (37)
**მსაჯები:** ს. კახიანი; ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე; თ. გიორგაძე (ორივე სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

ბათუმი
3 აპრილი
16 საათი
დინამო
2 000 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 6:0 დილა

1:0, 2:0, 3:0 ხომერიკი (17, 44, 45), 4:0 კანტიძე (62), 5:0 ღლონტი (70), 6:0 ხომერიკი (89)
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, მ. მახარაძე, მინდაძე, ი. მახარაძე (კანტიძე 46), სიჭინავა, ჭიჭვეიშვილი (ქუტიძე 66), ღლონტი, გადელია, ხომერიკი
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; ვერემჩუკი, მაქაცარია, მაჭუტაძე
**დილა:** სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი (ციცქიშვილი 27), რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, აკოფიანი, გაგნიძე (მ. მინდიაშვილი 46), მარეხაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, რ. ახალკაცი (სულთანიშვილი 68), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; საყვარელიძე, კარელიძე, ხიხალაშვილი
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

ბოლნისი
3 აპრილი
16 საათი
თემურ სტეფანია
1 500 (ტევადობა 3 000)

## სიონი 0:0 გორდა

**სიონი:** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე (ხარებაშვილი 56), დ. სვანიძე, მ. სამხარაძე (გ. ჩალაძე 49, დ. ჯაფარიძე 73), მ. გოგოლაძე, ლ. ამბიძე, გაგუა, თ. სამხარაძე, მოსეშვილი
*სათადარიგო:* დალაქიშვილი
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, კედელაშვილი, სიდამონიძე, გაბელაია, ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი (ტარტარაშვილი 60), ლ. ალადაშვილი (სიმონიშვილი 50), მიშველიძე
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე, ლაბაძე, ბექაური, რ. მახარაძე, დ. მენთეშაშვილი
**გაფრთხილება:** მელაძე (3)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ო. მოლოდინაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. ბაჩუკაშვილი

თბილისი
4 აპრილი
16 საათი
შევარდენი
500 (ტევადობა 10 000)

## თსუ 1:0 მერანი

1:0 მაღრაძე (29)
**თსუ:** გაბელია, გ. ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ნინუა, მაღრაძე, გონჩაროვი (მ. მესხი 75), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* მერლანი; ინწკირველი, ვ. ლუდუშაური, ბუკია, თოლორაია, სვანაძე
**მერანი:** ლომაია, ბ. ამბიძე, ასპინძელაშვილი, ცქიფურიშვილი, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, თოლორდავა, კარიაული, ხუციშვილი, ს. დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; დ. ჭელიძე, ე. ალადაშვილი, ხარებავა, ბაჯელიძე, ჩანადირი, დევიძე
**გაფრთხილება:** ქორიძე (28), ნინუა (34), თოლორდავა (34), ილურიძე (53), ჯიშკარიანი (65), ასპინძელაშვილი (82), ჭინჭარაული (88)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ფოთი
4 აპრილი
16 საათი
ფაზისი
3 000 (ტევადობა 6 500)

## კოლხეთი 0:1 დინამო

0:1 აშვეთია (3)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, შალამბერიძე, ლალანიძე, ჩადუნელი (შავგულიძე 63), ანჯაფარიძე, ე. გვასალია, კალანდაძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია; კრასოვსკი, ბურკვაძე, ბაჩილავა, თედეევი, ბულუხია
**დინამო:** გვარამაძე, ხიზანეიშვილი, ვაშაკიძე, მ. მაჭავარიანი, ა. მუჯირი (კიკნაძე 46), ა. სახვაძე, პ. ჯინჭარაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი (ქებაძე 76), აშვეთია (ჩომახიძე 90), დიდავა
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; რუხაძე, ტულუში
**გაფრთხილება:** სახვაძე (9), გოროზია (15), მაჭავარიანი (46), ჩადუნელი (61), წიტაიშვილი (69)
**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

### ბომბარდირები

19 - აშვეთია — *დინამო*
15 - იონანიძე — *ტორპედო*
14 - ხომერიკი — *დინამო*
12 - დ. მახარაძე — *გურია*
წივწივაძე — *ლოკომოტივი*
11 - ე. გვასალია — *კოლხეთი*
9 - კაიდარაშვილი — *დილა*
მეგრელაძე — *ტორპედო*
8 - ალექსიძე — *დინამო*
გ. შენგელია — *სამგურალი*
დ. ჯანაშია — *ტორპედო*

### სიმბოლური ნაკრები

ვარლამ კილასონია — *ლოკომოტივი*
ლევან ხომერიკი — *ბათუმი*
დავით ჟიჟვეიშვილი — *ბათუმი*
კობა ნინუა — *თსუ*
შალვა ხუჯაძე — *ლოკომოტივი*
გელა ძაგნიძე — *სამგურალი*
ლევან აკობია — *ოდიში*
ვასილ მაისურაძე — *ვიტ ჯორჯია*
თენგიზ კობიაშვილი — *თსუ*
ჯონი შალამბერიძე — *კოლხეთი*
დავით გვარამაძე — *დინამო*

გუნდი ბათუმი
მწვრთნელი შოთა ჟიჟვილი *ბათუმი*

| № | # | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო (1) | 1 | 21 | 17 | 4 | 0 | 65:10 | +55 | 55 | 10 | 8 | 2 | 0 | 39:7 | +32 | 26 | 11 | 9 | 2 | 0 | 26:3 | +23 | 29 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 21 | 14 | 3 | 4 | 48:18 | +30 | 45 | 10 | 8 | 1 | 1 | 27:6 | +21 | 25 | 11 | 6 | 2 | 3 | 21:12 | +9 | 20 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 21 | 11 | 10 | 0 | 27:9 | +18 | 43 | 11 | 6 | 5 | 0 | 14:4 | +10 | 23 | 10 | 5 | 5 | 0 | 13:5 | +8 | 20 |
| 5 ბათუმი (2) | 5 | 21 | 10 | 7 | 4 | 33:16 | +17 | 37 | 11 | 7 | 3 | 1 | 24:6 | +18 | 24 | 10 | 3 | 4 | 3 | 9:10 | -1 | 13 |
| 4 კოლხეთი (3) | 4 | 21 | 10 | 4 | 7 | 43:33 | +10 | 34 | 11 | 7 | 1 | 3 | 27:12 | +15 | 22 | 10 | 3 | 3 | 4 | 16:21 | -5 | 12 |
| 6 დილა (9) | 6 | 21 | 9 | 5 | 7 | 28:30 | -2 | 32 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:7 | +9 | 20 | 11 | 3 | 3 | 5 | 12:23 | -11 | 12 |
| 7 მერანი (7) | 7 | 21 | 6 | 9 | 6 | 21:21 | 0 | 27 | 10 | 3 | 5 | 2 | 7:4 | +3 | 14 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:17 | -3 | 13 |
| 8 ვიტ ჯორჯია (10) | 9 | 21 | 8 | 4 | 9 | 21:19 | +2 | 25 | 11 | 4 | 2 | 5 | 13:11 | +2 | 14 | 10 | 4 | 2 | 4 | 8:8 | 0 | 14 |
| 9 სამგურალი (12) | 11 | 21 | 7 | 2 | 12 | 20:37 | -17 | 23 | 10 | 4 | 0 | 6 | 8:13 | -5 | 12 | 11 | 3 | 2 | 6 | 12:24 | -12 | 11 |
| 10 იბერია (დ) | 10 | 21 | 6 | 5 | 10 | 29:36 | -7 | 23 | 11 | 4 | 4 | 3 | 18:12 | +6 | 16 | 10 | 2 | 1 | 7 | 11:24 | -13 | 7 |
| 11 არსენალი (დ) | 8 | 21 | 5 | 8 | 8 | 24:38 | -14 | 23 | 10 | 2 | 5 | 3 | 13:19 | -6 | 11 | 11 | 3 | 3 | 5 | 11:19 | -8 | 12 |
| 12 ოდიში (5) | 12 | 21 | 6 | 2 | 13 | 16:33 | -17 | 20 | 11 | 4 | 1 | 6 | 12:18 | -6 | 13 | 10 | 2 | 1 | 7 | 4:15 | -11 | 7 |
| 13 სიონი (13) | 13 | 21 | 5 | 5 | 11 | 18:39 | -21 | 20 | 11 | 4 | 4 | 3 | 13:12 | +1 | 16 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:27 | -22 | 4 |
| 14 გორდა (11) | 14 | 21 | 4 | 8 | 9 | 14:27 | -13 | 20 | 10 | 3 | 4 | 3 | 8:13 | -5 | 13 | 11 | 1 | 4 | 6 | 6:14 | -8 | 7 |
| 15 თსუ (8) | 15 | 21 | 4 | 7 | 10 | 16:26 | -10 | 19 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | -6 | 9 | 10 | 2 | 4 | 4 | 5:9 | -4 | 10 |
| 16 გურია (14) | 16 | 21 | 3 | 3 | 15 | 21:52 | -31 | 12 | 10 | 3 | 1 | 6 | 14:19 | -5 | 10 | 11 | 0 | 2 | 9 | 7:33 | -26 | 2 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ინგლისი

XXXII ტური

**ნიუკასლი 1:1 ტოტენჰემი**

0:1 ანდერტონი (50პ), 1:1 ქეცბაია (78)
ნიუკასლი: გივენი, პიუზი, შარვე, დაბიზასი, გრიფინი (ბარტონი 46), სოლანო, მაკლენი (გეორგიადისი 56), სპიდი, დომი, ქეცბაია, მარიჩი (საჰა 56)
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ნილსენი, კემპბელი, ტარიკო, შერვუდი, ფროინდი, სინტონი, ანდერტონი, არმსტრონგი, ივერსენი
გაფრთხილება: სპიდი, ნილსენი
მსაჯი: რილი

**ნოტინგემი 2:2 ლივერპული**

0:1 რედნაპი (15), 1:1 ფრიდმენი (60), 1:2 ოუენი (72), 2:2 ვან ჰოიდონკი (90)
ნოტინგემი: კროსლი, ჟანი (შიპერლი 88), როჯერსი, ჯონსონი, გაფი, ბონალაირი, პალმერი, ედვარდსი, ჰერვუდი, ვან ჰოიდონკი, ფრიდმენი (ელოუ 78)
ლივერპული: ჯეიმსი, სონგი, სტონტონი, კარაგერი, მატეო, ინსი, რედნაპი, ბერგერი, მაკმანამანი (რიდლე 64), ფაულერი (ჟერარდი 78), ოუენი
მსაჯი: გალაჰერი

**ქოვენთრი 1:0 საუთჰემპტონი**

1:0 ბოტენგი (64)
ქოვენთრი: ჰედმანი, ბაროუზი, უილიამსი, შოუ, ბრინი, სოლტვედტი, მაკალისტერი, ბოტენგი, ტელფერი, ჰაკერბი (ჯიოაჩინო 86), ვილანი
საუთჰემპტონი: მოსი, ჰილი, კოლეტერი, ლუნდეკვამი, მონკუ, დოდი, მერსდენი, ბრიჯი (ლე ტისიე 46), დ. ჰიუზი (კუჩილოული 76), მ. ჰიუზი, ბიტი (პაჰარსი 68)
გაფრთხილება: უილიამსი, მაკალისტერი, ვილანი, ბოტენგი, დოდი
მსაჯი: რენი

**ევერტონი 1:2 შეფილდი**

1:0 ჯეფერსი (12), 1:1, 1:2 კარბონე (52, 68)
ევერტონი: მირე, უეირი, შორტი, მატერაცი (დენი 85), ანსუორსი, გრანტი (ბოლი 75), დაკურტი, ჯემილი, ბარმბი (ბაკაიოკო 77), კემპბელი, ჯეფერსი
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, ნიუსომი, ტომი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი (სკოტი 79), იონკი, სონერი, რუდი, ბუსი, კარბონე (კრესველი 90)
გაფრთხილება: ბუსი
მსაჯი: რიდი

**მიდლსბრო 3:1 უიმბლდონი**

1:0 რიკარდი (1), 2:0 ფესტა (8), 3:0 რიკარდი (29), 3:1 კორტი (75)
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი (ვიკერსი 85), ფესტა, კუპერი, პალისტერი, გორდონი, მასტო, გესქოინი, თაუნსენდი (სამერბელი 73), რიკარდი, ონილი (მედისონი 54)
უიმბლდონი: სალივანი, თეთჩერი, პერი, ბლექველი, ეინსვორსი (რობერტსი 46), კ. ჰიუზი, ერლი, ერდლი (მ. ჰიუზი 83), გეილი, იუელი, ჰართსონი (კორტი 68)
მსაჯი: დარკინი

**ვესტ ჰემი 0:1 ჩარლტონი**

0:1 სტიუარტი (75)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ლომასი, პირსი, რადოკი, მინტო, სინკლერი, ფოე, ლამპარდი, კელერი, კიტსონი (ბერკოვიჩი 79), დი კანიო
ჩარლტონი: ილიჩი (პეტერსონი 44), მილსი, რუფუსი, ტილერი, პაუელი, რობინსონი (ბოუენი 39), სტიუარტი, კინსელა, ბარნსი, პრინგლი, ჰანტი (ჯონსი 83)
გაფრთხილება: ფოე, რადოკი, მილსი, ჰანტი
მსაჯი: დანი



ნიუკასლი — ტოტენჰემი 1:1. თემურ ქეცბაიამ მეურვე სოლ კემპბელს აჯობა

# რეპეტიციამ ჩაიარა. წინ სპექტაკლია

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომ თემურ ქეცბაია უძლიერესია ქართველ ფეხბურთელთა შორის. ეს მარტო ჩვენი ან ვინმეს აზრი არ გახლავთ, ეს ფაქტია.

სამი დღეა, ინგლისური გაზეთები და სააგენტოები ქართველის ქებადიდებაში არიან. არა მარტო იმიტომ, რომ ბოლო ორ ტურში მან ორი გოლი გაიტანა, ორივე უმნიშვნელოვანესი. ქეცბაია „ნიუკასლის" ლიდერი გახდა. იგი ღირსეულად ასრულებს ფუნქციას, რომელიც მიმდინარე სეზონში გულიტის გუნდში ვერავინ შეასრულა, თვით ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ალან შირერმაც კი.

ორშაბათს „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" გამართული მატჩი უბრალო არ გახლდათ. ეს შეხვედრა გენერალური რეპეტიცია იყო ასოციაციის თასის ნახევარფინალისა, სადაც მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" „ნიუკასლი" კვლავ „ტოტენჰემს", ლიგის თასის მფლობელს შეებრძოლება.

რეპეტიციას გუნდები სხვადასხვაგვარ განწყობაზე შეხვდნენ. ორი დღით ადრე „ნიუკასლმა" უაღრესად დაძაბულ, წმინდა წყლის ინგლისურ თამაშში ლამაზად სძლია ევროტურნირებზე მოსახვედრად მებრძოლ „დერბი ქაუნთის" „პრაიდ პარკზე" 4:3. მაშინ მესამე ბურთი ჰოულტს ქეცბაიამ შეუგდო და საერთოდაც, მაღალ დონეზე ითამაშა.

სრულიად განსხვავებულ ხასიათზე იყვნენ ლონდონელები. ისინი „უაით ჰარტ ლეინზე" ლიგის თასის ფინალში ძლეულ „ლესტერს" დაუხვდნენ, ძალიან უსუსურად გამოიყურებოდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა 0:2.

ახლა რაც შეეხება თავად რეპეტიციას. მატჩმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, თანაც საინტერესოდ. მასპინძლებს სამი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ: თავდამსხმელები ალან შირერი და შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონი და გერმანელი გამთამაშებელი დიტმარ ჰამანი, რომელმაც საბოლოოდ აართვა ადგილი ეროვნულ გუნდში ანდრეას მიოლერს. შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, გულიტმა თავდასხმაში ქართულ-ხორვატული დუეტი, ქეცბაია და მარიჩი, გაამწესა.

უდანაკარგოდ არც „ტოტენჰემი" ყოფილა. დედაქალაქელებს ფრანგი დავიდ ჟინოლა და ლეს ფერდინანდი არ ჰყავდათ.

ასე რომ, რეპეტიციას ბევრი „მთავარი როლის შემსრულებელი" ვერ დაესწრო, თუმცა მიუხედავად ამისა, უკვე დღეს ნათელია, რომ „სპექტაკლი" კარგი გამოვა.

ანგარიში 50-ე წუთზე მეტად საეჭვო პენალტიდან გაიხსნა — მეორე ტაიმში ენდი გრიფინის ნაცვლად შეცვლაზე შესული უორენ ბარტონი საკუთარ საჯარიმოში სტივენ კარს შეებრძოლა. იგი აშკარად ბურთზე თამაშობდა, მაგრამ ლიდსელმა მსაჯმა მაიკ რილიმ სხვაგვარად განსაჯა და ხელი თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ გაიშვირა. პენალტი გოლად ინგლისის ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველმა დარენ ანდერტონმა აქცია.

სტუმრებს, კერძოდ, სტეფან ივერსენს და კრის არმსტრონგს, პირველ ნახევარშიც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. ისევე, როგორც სოლ კემპბელის გამამწარებელ ქეცბაიას. ერთ ეპიზოდში მან ერთი მოძრაობით მოატყუა სამი მცველი და დაარტყა, მაგრამ ბურთი მეოთხეს მოხვდა.

გაშვებული გოლის შემდეგ გულიტმა ფეხბურთელებიც შეცვალა და ტაქტიკაც: გადაღლილი მარიჩის ნაცვლად ენერგიული ფრანგი ზანგი, ლუის საჰა შეუშვა მინდორზე, ხოლო ჰამანის არყოფნაში გამთამაშებლად გამწესებული ახალბედა ჯეიმი მაკკლენის მაგივრად — ბერძენი გეორგიადისი, რომელსაც შეტევაში ქართველის და საჰას დახმარებაც დაავალა.

შეცვლებმა გაამართლა. „ნიუკასლის" შეტევები უფრო გააზრებული და მწვავე გახდა, რამაც მატჩის დასრულებამდე 12 წუთით ადრე ნაყოფი გამოისხა, ქართული ნაყოფი. ქეცბაიას გოლი მართლაც კარგი სანახავი იყო — უოქერის კარისკენ გვერდულად მდგომმა დიდიე დომისგან პასი მიიღო, ბურთი აიგდო და დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერი, მოჭრილი დარტყმით სტადიონზე მისული 37 ათასი ქომაგი კიდევ ერთხელ წამოახტუნა სკამიდან — 1:1.

დაველოდოთ „სპექტაკლს".

სხვა შეხვედრებში ერთმანეთს ძირითადად ცხრილის ქვედა ნაწილის ბინადარნი ხვდებოდნენ. მოულოდნელად დასრულდა „აპტონ პარკზე" გამართული ლონდონური დერბი, სადაც სახიფათო ზონაში მყოფმა „ჩარლტონმა" მე-5 ადგილზე მყოფ „ვესტ ჰემს" სძლია. ასევე გასაკვირი იყო ნოტინგემური ფრე. იქ „ლივერპული" ორჯერ უგებდა ბოლოადგილოსან „ფორესტს", მაგრამ ორჯერვე ხელიდან გაუშვა შანსი. განსაკუთრებით ჭირვეული პიერ ვან ჰოიდონკის (ჰოლანდიელი ფორვარდი მთელი სეზონია ამტკიცებს, რომ დეპრესიაშია და თამაშის თავი არ აქვს, მისი ოპონენტები კი ირწმუნებიან, სხვა კლუბში გადასვლა სურსო) გოლი გამოდგა ულიეს გუნდისთვის დასანანი — ჰოლანდიელმა იგი მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაიტანა. ამ შეხვედრაში დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ გამოიჩინა თავი მაიკლ ოუენმა და ახლა ბომბარდირთა დავაში ეულად ლიდერობს.

მეორე ლივერპულურმა გუნდმა „ევერტონმა" შინ წააგო საშუალო „შეფილდ უენსდეისთან" და თუ სასწრაფოდ რაიმე არ იღონა, ერთ დროს ინგლისის უძლიერეს კლუბს გაისად მდაბიოთა შორის მოუწევს ყოფნა. შემდეგ ტურში „ევერტონი" კონკურენტ „ქოვენთრის" უმასპინძლებს და სწორედ იქ გადაწყდება ბევრი რამ.

თავის მხრივ, „ქოვენთრიმ" კიდევ ერთ გასავარდნად გამზადებულ გუნდს, ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „საუთჰემპტონს" უმასპინძლა, 1:0 მოუგო და ცოტათი ამოისუნთქა.

გაზას „მიდლსბრომ" შინ „უიმბლდონი" კი დაამარცხა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს ორივე კლუბი სეზონს ცხრილის შუაგულში ჩაამთავრებს. მათ არც რაიმე განსაკუთრებული პერსპექტივა ელით და არც საფრთხე.

**დავით ძოწიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 31 | 18 | 10 | 3 | 69:32 | +37 | 64 | 16 | 11 | 4 | 1 | 38:16 | +22 | 37 | 15 | 7 | 6 | 2 | 31:16 | +15 | 27 |
| 2 | არსენალი | 31 | 16 | 12 | 3 | 42:13 | +29 | 60 | 15 | 10 | 5 | 0 | 26:4 | +22 | 35 | 16 | 6 | 7 | 3 | 16:9 | +7 | 25 |
| 3 | ჩელსი | 30 | 16 | 11 | 3 | 45:23 | +22 | 59 | 15 | 9 | 5 | 1 | 21:9 | +12 | 32 | 15 | 7 | 6 | 2 | 24:14 | +10 | 27 |
| 4 | ლიდსი | 31 | 16 | 9 | 6 | 52:28 | +24 | 57 | 16 | 11 | 3 | 2 | 30:8 | +22 | 36 | 15 | 5 | 6 | 4 | 22:20 | +2 | 21 |
| 5 | ვესტ ჰემი | 32 | 13 | 8 | 11 | 34:40 | -6 | 47 | 16 | 9 | 3 | 4 | 22:20 | +2 | 30 | 16 | 4 | 5 | 7 | 12:20 | -8 | 17 |
| 6 | ასტონ ვილა | 31 | 12 | 9 | 10 | 39:37 | +2 | 45 | 16 | 8 | 3 | 5 | 25:24 | +1 | 27 | 15 | 4 | 6 | 5 | 14:13 | +1 | 18 |
| 7 | დერბი | 31 | 11 | 11 | 9 | 35:36 | -1 | 44 | 16 | 7 | 5 | 4 | 21:19 | +2 | 26 | 15 | 4 | 6 | 5 | 14:17 | -3 | 18 |
| 8 | ლივერპული | 30 | 12 | 7 | 11 | 57:41 | +16 | 43 | 13 | 7 | 4 | 2 | 33:16 | +17 | 25 | 16 | 4 | 3 | 9 | 21:23 | -2 | 15 |
| 9 | მიდლსბრო | 31 | 10 | 13 | 8 | 42:41 | +1 | 43 | 15 | 6 | 8 | 1 | 22:11 | +11 | 26 | 16 | 4 | 5 | 7 | 20:30 | -10 | 17 |
| 10 | ნიუკასლი | 32 | 11 | 9 | 12 | 43:45 | -2 | 42 | 16 | 7 | 4 | 5 | 23:20 | +3 | 25 | 16 | 4 | 5 | 7 | 20:25 | -5 | 17 |
| 11 | უიმბლდონი | 32 | 10 | 11 | 11 | 36:48 | -12 | 41 | 16 | 7 | 6 | 3 | 20:16 | +4 | 27 | 16 | 3 | 5 | 8 | 16:32 | -16 | 14 |
| 12 | ტოტენჰემი | 31 | 9 | 13 | 9 | 35:37 | -2 | 40 | 16 | 7 | 6 | 3 | 24:19 | +5 | 27 | 15 | 2 | 7 | 6 | 11:18 | -7 | 13 |
| 13 | შეფილდი | 32 | 11 | 5 | 16 | 38:36 | +2 | 38 | 16 | 6 | 3 | 7 | 18:14 | +4 | 21 | 16 | 5 | 2 | 9 | 20:22 | -2 | 17 |
| 14 | ლესტერი | 29 | 9 | 10 | 10 | 30:37 | -7 | 37 | 14 | 5 | 4 | 5 | 19:21 | -2 | 19 | 15 | 4 | 6 | 5 | 11:16 | -5 | 18 |
| 15 | ქოვენთრი | 32 | 10 | 7 | 15 | 34:43 | -11 | 37 | 16 | 7 | 5 | 4 | 21:16 | +5 | 26 | 16 | 3 | 2 | 11 | 13:27 | -14 | 11 |
| 16 | ჩარლტონი | 31 | 7 | 10 | 14 | 34:41 | -7 | 31 | 15 | 4 | 5 | 6 | 18:14 | +4 | 17 | 16 | 3 | 5 | 8 | 16:27 | -11 | 14 |
| 17 | ბლექბერნი | 31 | 7 | 10 | 14 | 32:42 | -10 | 31 | 16 | 6 | 4 | 6 | 19:19 | 0 | 22 | 15 | 1 | 6 | 8 | 13:23 | -10 | 9 |
| 18 | ევერტონი | 32 | 7 | 10 | 15 | 26:40 | -14 | 31 | 16 | 3 | 8 | 5 | 10:11 | -1 | 17 | 16 | 4 | 2 | 10 | 16:29 | -13 | 14 |
| 19 | საუთჰემპტონი | 32 | 8 | 6 | 18 | 28:57 | -29 | 30 | 16 | 7 | 3 | 6 | 22:22 | 0 | 24 | 16 | 1 | 3 | 12 | 6:35 | -29 | 6 |
| 20 | ნოტინგემი | 32 | 4 | 9 | 19 | 30:64 | -34 | 21 | 16 | 1 | 7 | 8 | 15:30 | -15 | 10 | 16 | 3 | 2 | 11 | 15:34 | -19 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 17 |
| იორკი (მანჩესტერი) | 16 |
| კოული (მანჩესტერი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 15 |

### XXXII ტური

10 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | - | საუთჰემპტონი (0:0) |
| ბლექბერნი | - | მანჩესტერი (2:3) |
| დერბი | - | ნოტინგემი (2:2) |
| ევერტონი | - | ქოვენთრი (0:3) |
| ლიდსი | - | ლივერპული (3:1) |
| ლესტერი | - | ვესტ ჰემი (2:3) |
| მიდლსბრო | - | ჩარლტონი (1:1) |
| შეფილდი | - | ნიუკასლი (1:1) |
| ტოტენჰემი | - | არსენალი (0:0) |
| უიმბლდონი | - | ჩელსი (0:3) |

## პირველი დივიზიონი

XXXXI ტური

**ბირმინგემი 1:2 უოტფორდი**

0:1 მუნი (27), 0:2 დეილი (58), 1:2 ჰოლდსვორსი (87)

**ბოლტონი 1:2 სტოკპორტი**

0:1 ელისი (22), 1:1 ტეილორი (49), 1:2 ვუდსორპი (75)

**ბერი 0:2 ბრედფორდი**

0:1, 0:2 უინდასი (28, 43)

**კრ. პალასი 1:1 სანდერლენდი**

0:1 ფილიპსი (23), 1:1 მორისონი (34)

**ჰადერსფილდი 1:2 სვინდონი**

0:1 ჰოუ (19), 0:2 ჰეი (67), 1:2 ლოუსონი (80)

**იფსვიჩი 3:1 ქუინზ პარკი**

0:1 კივომია (4), 1:1 ჯონსონი (12), 2:1 სკოუკროფტი (65), 3:1 ჰოლანდი (75)

**პორტ ვეილი 1:0 ბარნსლი**

1:0 ფოილი (8)

**პორტსმუთი 0:1 ბრისტოლი**

0:1 ლოკი (86)

**შეფილდ იუნ. 1:1 ვულვზი**

1:0 მარსელო (63), 1:1 ოსბორნი (86)

**ტრანმერი 2:2 ოქსფორდი**

1:0, 2:0 აირონსი (4პ, 24პ), 2:1 ვეზერსტოუნი (74), 2:2 გილჩრისტი (87)

**ვესტ ბრომვიჩი 1:5 ქრიუ**

0:1 დ. რაიტი (13), 0:2 ჯ. რაიტი (24), 0:3 ჯონსონი (51), 0:4 ჯ. რაიტი (54), 1:4 სნიქსი (63), 1:5 რივერსი (83)

**გრიმსბი 0:1 ნორვიჩი**

0:1 მელრინი (35)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 40 | 26 | 11 | 3 | 78:24 | 89 |
| იფსვიჩი | 40 | 24 | 7 | 9 | 63:26 | 79 |
| ბრედფორდი | 40 | 23 | 7 | 10 | 71:39 | 76 |
| ბირმინგემი | 40 | 19 | 12 | 9 | 60:33 | 69 |
| ვულვზი | 40 | 18 | 12 | 10 | 59:38 | 66 |
| ბოლტონი | 39 | 17 | 14 | 8 | 69:52 | 65 |
| უოტფორდი | 40 | 16 | 13 | 11 | 55:52 | 61 |
| შეფილდი | 40 | 15 | 12 | 13 | 63:59 | 57 |
| ჰადერსფილდი | 41 | 14 | 14 | 13 | 57:64 | 56 |
| კრ. პალასი | 41 | 14 | 14 | 13 | 55:60 | 56 |
| ვესტ ბრომვიჩი | 40 | 15 | 8 | 17 | 62:67 | 53 |
| ნორვიჩი | 40 | 13 | 14 | 13 | 52:53 | 53 |
| გრიმსბი | 38 | 15 | 8 | 15 | 36:43 | 53 |
| ბარნსლი | 41 | 12 | 15 | 14 | 51:49 | 51 |
| ტრანმერი | 41 | 11 | 17 | 13 | 56:55 | 50 |
| სტოკპორტი | 40 | 11 | 16 | 13 | 45:48 | 49 |
| სვინდონი | 40 | 11 | 10 | 19 | 53:74 | 43 |
| პორტსმუთი | 41 | 10 | 13 | 18 | 50:63 | 43 |
| ქუინზ პარკი | 39 | 10 | 11 | 18 | 43:51 | 41 |
| ოქსფორდი | 41 | 9 | 13 | 19 | 41:65 | 40 |
| პორტ ვეილი | 39 | 11 | 5 | 23 | 39:70 | 38 |
| ქრიუ | 40 | 9 | 10 | 21 | 48:75 | 37 |
| ბერი | 40 | 7 | 16 | 17 | 29:53 | 37 |
| ბრისტოლი | 39 | 7 | 14 | 18 | 48:70 | 35 |

# დღეიდან ორი ზედმეტია

## ჩემპიონთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები

CHAMPIONS LEAGUE

### მანჩესტერი VS იუვენტუსი

**მსაჯი:** მანუელ დიას ვეგა (ესპანეთი)

**გაფრთხილებები:**
„მანჩესტერი" — დენის ირვინი, როი კინი, პოლ სქოულზი, რონი იონსენი, ფილიპ ნევილი;
„იუვენტუსი" — ზორან მირკოვიჩი, ანჯელო პერუცი, ზინედინ ზიდანი, ანტონიო კონტე, ედგარ დავიდსი, დიდიე დეშამპი, ანჯელო დი ლივიო, პაოლო მონტერო.

ამ საღამოს გასული წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი, ფრანგი ზინედინ ზიდანი მტკივანი მუხლის გამო ალბათ „ოლდ ტრეფორდის" მინდორზე ვერ გავა, მაგრამ მის გარდა ტურინელებს ყველა ის მოთამაშე ეყოლებათ, რომელთაც ბოლო დროს ეყრდნობიან.

თავდასხმაში ფილიპო ინძაგისა და დანიელ ფონსეკას, ნიკოლა ამორუზოს ან არგენტინელი ხუან ესნაიდერის წყვილია მოსალოდნელი. ნახევარდაცვის გულში ფრანგი დიდიე დეშამპი იტრიალებს, სადაც მას მხარს ანტონიო კონტე და ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი აუბამენ.

„იუნაიტედის" ჰოლანდიელი მცველი, იაპ სტამი, რომელიც ბოლო დროს მანჩესტერელთა გუნდის ერთ-ერთ უმთავრეს ძალად იქცა, გასულ შაბათს, პრემიერლიგის მორიგი ტურის შეხვედრაში, „უიმბლდონის" წინააღმდეგ (1:1) მოედანზე არ იყო. მას კოჭი ტკიოდა, მაგრამ, ტრავმა მოირჩინა და, როგორც ჩანს, დღეს საღამოს, იტალიელთა წინააღმდეგ იბრძოლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ „იუნაიტედი" უძლიერეს შემადგენლობას დაუპირისპირებს სტუმრებს. ნახევარდაცვაში ბრძოლის სიმძიმე კაპიტანს, როი კინს დააწვება, ხოლო დევიდ ბექჰემი და რაიან გიგზი თავდამსხმელთა მრი სხანე დუეტს, დუაიტ იორკსა და ენდი კოულს პასებით მოამარაგებენ.



„ბაიერნის" ფეხბურთელებს დღესაც ასეთი დაძაბული გამომეტყველება ექნებათ, თუმცა მათ დღეში „დინამოს", „იუვეს" და „მანჩესტერის" მოთამაშეებსაც ვიხილავთ

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი, ბათი, იორკი, კოული | დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, კალაძე, ხაცკევიჩი, გუსინი, კოსოვსკი, იაშკინი, შევჩენკო, რებროვი |
| იუვენტუსი: რამბულა, მირკოვიჩი, მონტერო, იულიანო, ბირინდელი, დავიდსი, დეშამპი, კონტე, ბლანშარი, ინძაგი, ესნაიდერი | ბაიერნი: კანი, ბაბელი, მათეუსი, ლინკე, ტარნატი, შტრუნცი, იერემისი, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, იანკერი, ციკლერი |

### დინამო VS ბაიერნი

**მსაჯი:** კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

**გაფრთხილებები:**
„დინამო" — ვლადისლავ ვაშჩუკი;
„ბაიერნი" — მარიო ბასლერი, ბიქსენტე ლიზარაზუ, შტეფან ეფენბერგი, თომას ლინკე.

ცენტრალური მცველი, ალექსანდრ გოლოვკო, უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში, სიმფეროპოლის „ტავრიას" წინააღმდეგ მოედანზე არ იყო, მუხლი ჰქონდა დაზიანებული, მაგრამ დღეს საღამოს რიგზე იქნება და კიეველთა გუნდის შემადგენლობაში ჩვეულ პოზიციასაც დაიკავებს. რაც შეეხება მის მეწყვილეს, მცველ იური დმიტრულინს, ის, ისევე, როგორც ბოლო ხანს, მუხლის ოპერაციის შემდეგ, ტრიბუნიდან იხილავს თანაგუნდელთა თამაშს.

დღევანდელი მატჩის წინ, „ტავრიასთან", დინამოელებს მაინც და მაინც არ გაუბრწყინიათ. მათ შინ 0:0 ითამაშეს, მაგრამ ამაში უცნაური არაფერია. ხშირად, მნიშვნელოვანი შეხვედრების წინ გუნდები ძალებს ზოგავენ.

„ბაიერნს" კი ორი საუკეთესო ფეხბურთელის გარეშე მოუწევს თამაში. მარცხენა მცველი, ფრანგი ბიქსენტე ლიზარაზუ და ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი მუხლებზე მყესებდაწყვეტილნი პაციენტებად არიან ქცეულნი. ლიზარაზუს შემცვლელად მიუნხენელებს მიხაელ ტარნატი ეგულებათ.

„ბაიერნის" ცნობილ მწვრთნელს, ოტმარ ჰიცფელდს, თავდასხმაში ალბათ, ალექსანდერ ციკლერისა და კარსტენ იანკერის წყვილის გამწესება მოუწევს.

სავარაუდოდ არ ითამაშებს ნახევარმცველი მარიო ბასლერი, რომელმაც, კვლავ და კვლავ, მუხლის ტრავმის გამო ერთი ხანობა მკურნალობას დაუთმო, რის გამოც ჯერჯერობით კარგად ვერ თამაშობს.

# დიდი სამეული და სახიფათო გუნდი

„მანჩესტერ იუნაიტედი", „იუვენტუსი" და „ბაიერნი" ის კლუბები გახლავან, ჩემპიონთა თასი რომ მოუგიათ. ევროპელი ბუქმეიქერების ვარაუდით, ჯილდოს ოთხი მაძიებლიდან ფავორიტი სწორედ ეს სამია, თუმცა ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება: მეოთხე, კიევის „დინამო", ის გუნდია, რომლის თამაშის ნახვაც ამ საღამოს ღირს.

უჯილდოო არც კიეველები არიან. „დინამო" თასების მფლობელთა თასის ორგზის მფლობელია, თუმცა კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული პრიზი, ჩემპიონთა თასი, მას არასდროს მოუპოვებია. შეჯიბრების 44-წლიან ისტორიაში, აღმოსავლეთ ევროპიდან დიდი საფეხბურთო მწვერვალი მხოლოდ ორმა, ბუქარესტის „სტიაუამ" და ბელგრადის — „ცრვენა ზვეზდამ" დაიპყრო.

კიევის „დინამომ" მიმდინარე გათამაშების მეოთხედფინალში თასის გასული სეზონის მფლობელი, მადრიდის „რეალი" დაამარცხა. ასე რომ, მიუნხენის „ბაიერნს", რომელსაც 70 წლების ევროპული დიდების დაბრუნება აქვს გულში ამოჭრილი, გვარიანი სიფრთხილე მართებს.

„მართლაც ძალიან სახიფათო გუნდია. შესაძლოა, უფრო სახიფათოც კი, ვიდრე „იუვენტუსი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" — ამბობს მეტოქეზე ბავარიელთა მწვრთნელი, ოტმარ ჰიცფელდი.

ჰიცფელდს 1997 წელს ჩემპიონთა თასი დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელობის დროს აქვს მოპოვებული და ამიტომ მის სიტყვას საგანგებო ფასი აქვს:

„კიეველები ძალიან კომპაქტურად თამაშობენ. აღსანიშნავია მათი ძლიერი კონტრშეტევები, რომელთაც დიდებული თავდამსხმელები, ანდრეი შევჩენკო და სერგეი რებროვი აგვირგვინებენ. მათგან თამაშის ბედის გადაწყვეტა ნებისმიერ წუთსაა მოსალოდნელი. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მეტოქეზე ჯეროვანი წარმოდგენა გვაქვს და იოლ წინააღმდეგობას სულაც არ ველით, მაგრამ ისიც მწამს, რომ საკმაოდ ძლიერები ვართ საიმისოდ, რომ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შევძლოთ".

როგორც კი კენჭისყრამ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გასული ოთხი გუნდი დააწყვილა, ბუქმეიქერებმა კოეფიციენტები ჩამოწერეს. „მანჩესტერ იუნაიტედის" გასწვრივ 2/1 გაჩნდა, „იუვენტუსის" გასწვრივ — 5/2, „ბაიერნის" გასწვრივ — 11/4, ხოლო კიეველებს 100/30 ერგოთ. ეს ჯილდოს მოპოვების შანსები გახლავთ.

„მანჩესტერის" მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი, „იუვენტუსთან" შეხვედრაზე ფრიად დარწმუნებით საუბრობდა. მიუხედავად იმისა, რომ 1996-97 წლების სეზონის შემდეგ მისმა გუნდმა ტურინელებისგან ორჯერ იწვნია მარცხი, შოტლანდიელი სპეციალისტი ხედავს, რომ ერთობ ძლიერი გუნდის სათავეშია და თვლის, რომ წინა, წაგებულ შეხვედრებში მისმა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგისადმი ზედმეტი პატივისცემით და რიდით ითამაშეს.

ახლა ფერგიუსონი სხვაგვარად ფიქრობს. მას სწამს, რომ „იუნაიტედს", როგორც ინგლისის ჩემპიონობისა და თასის, ასევე ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვება შეუძლია, თუმცა მეტოქეები ყველა ფრონტზე ღირსეული ჰყავს. მაგალითად ეროვნულ ანუ ფეხბურთის ასოციაციის თასზე მისი მოწინააღმდეგე გასული სეზონის გამარჯვებული (როგორც ჩემპიონატში, ასევე თასზე), ლონდონის „არსენალი" გახლავთ.

მაგრამ „იუნაიტედის" მწვრთნელი ბრძანებს: „ჩემს ფეხბურთელებს ყველაფერი ხელეწიფებათ. მათ კარგად იციან, რა გვაქვს მიზნად დასახული და მზად გახლავან ამ მიზნის მისაღწევად. ჩვენ „იუვენტუსს" ფსიქოლოგიურად დათრგუნული არ ვყავართ, რადგან გუნდს ვეთამაშებით და არა რეპუტაციას".

ტურინელებთან შეხვედრის წინ მანჩესტერელებს გული ჰოლანდიელი მცველის, იაპ სტამის გამოჯანმრთელებამ და სრული დატვირთვით ვარჯიშმაც გამოუკეთათ. სტამს ნატკენი კოჭი დაუამდა და დღევანდელი თამაშის წინ თავს ყოჩაღად გრძნობს. ასე რომ, ინგლისური გუნდი ნახევარფინალში, საუკეთესო შემადგენლობით საბრძოლველადაა მზად.

**ადრიან უორნერი, როიტერი**



ანდრეი შევჩენკოს „რეალი" კვანტითლა დაუპირისპირდა

*„მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანს, როი კინს თუ ვენდობით, ის და მისი თანაგუნდელები ტურინის „იუვენტუსთან" დღევანდელი თამაშის წინ სრულიად მშვიდნი, შემართებულნი და საკუთარ ძალაში დარწმუნებულნი არიან. „იუნაიტედი" ნახევარფინალს საუცხოო ფორმაში ხვდება.*

# ვაჟკაცსა, გული კინისა...



როი კინი

ალექს ფერგიუსონის გუნდი პრემიერლიგის ცხრილის სათავეშია, მიმდინარე სეზონის ყველა შეჯიბრებაში ერთად 100-ზე მეტი გოლი გაიტანა და აგერ უკვე სამთვენახევარია, ერთხელაც არ დამარცხებულა.

ამას იაპ სტამის გამოჯანმრთელება და რაიან გიგზის მიერ კუნთის ტკივილის ძლევაც რომ დავამატოთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მანჩესტერელთა ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

კინი ამბობს: „სიძლიერის შეგრძნება ჩვენ ფეხბურთელებში ძალიან ძლიერადაა გავრცელებული. ყველას გვწამს, რომ გამარჯვება შეგვიძლია, ცამდე ვართ დარწმუნებული.

შობის შემდეგ დიდებულად ვთამაშობდით. ამ წელიწადში ერთი მატჩიც არ წაგვიგია. ერთადერთი, რამაც ოდნავ გული დაგვწყვიტა, შაბათს, „უიმბლდონთან" ნათამაშევი 1:1 გახლავთ, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ გუნდი ყველა თამაშს ვერ მოიგებს.

„იუვენტუსთან" შეხვედრისთვის ჩვენ სულ სხვანაირად მოვემზადეთ, ვიდრე „უიმბლდონისთვის" ვემზადებოდით. თუმცა ისე ნუ გაგვიგებთ, რომ ერთს მეორეზე მეტ პატივს ვცემთ, ორივე კლუბის მიმართ უდიდესი პატივისცემით ვართ გამსჭვალული.

ნურვინ შეცდება, ტურინელებს ძალიან ძლიერად ვეთამაშებით".

კინი, გასულ სეზონში, „იუვენტუსთან" ორ შეხვედრაში არ იყო მოედანზე. მან მყესების ტრავმის გამო „ოლდ ტრეფორდზე" მოგებული 3:2-იც გამოტოვა და „დელ ალპიზე" წაგებული 0:1-იც.

„მახსოვს, იმიტომ ვერ ვითამაშე, რომ რამდენიმე დღის წინ „ლიდს იუნაიტედთან" შეხვედრაში ჯვარედინი მყესები გამიწყდა. ამის გამო ტურინული შეხვედრაც გამოვტოვე. სამაგიეროდ, ახლა ერთი სული მაქვს მოედანზე გავიდე" — ამბობს კაპიტანი.

ტურინის გუნდი, მოგეხსენებათ, ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ჩემპიონთა თასის ფინალში გადიოდა. იქ 1996 წელს პენალტებით „აიაქსს" მოუგო, 1997 წელს „დორტმუნდთან" 1:3 წააგო, 1998 წელს კი „რეალთან" 0:1

საყოველთაო აღიარებით, „იუვენტუსი" ისეთი გუნდი აღარ არის. სერია A-ში ლიდერს, რომის „ლაციოს", 15 ქულით ჩამორჩება, ხოლო ლიგის ნახევარფინალამდე გზა რვა თამაშიდან ორი გამარჯვებით გაიკვალა.

და მაინც, ამ რვა შეხვედრიდან ტურინელებს ერთიც არ წაუგიათ (ისევე, როგორც „მანჩესტერს"), ამიტომაც კინს მეტოქე თავიდანვე განწირულად არ მიაჩნია:

„მათსავე სტანდარტს თუ შევადარებთ, ცხადია, გულდასაწყვეტ სეზონი აქვთ, მაგრამ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდნენ და ამისთვის დიდ სიმპათიას იმსახურებენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი სამომავლო გეგმები



იოჟეფ ვენგლოში

**იოჟეფ** ვენგლოში გლაზგოს „სელტიკს“ მომავალ სეზონშიც გაწვრთნის. საუბრები, თითქოსდა შოტლანდიური კლუბის უფროსობა სლოვაკი სპეციალისტის მუშაობით უკმაყოფილოა, ჭორი აღმოჩნდა.

— ჩვენ დიდად გვწამს ვენგლოშის ცოდნის და გამოცდილების. ამიტომაც გადავწყვიტეთ, კლუბს მომავალშიც მან უთავკაცოს. მჯერა, გაისად „სელტიკი“ ქვეყნის ჩემპიონიც გახდება და თასსაც დაისაკუთრებს. ეს იმედი დოქტორ იოჟეფ ვენგლოშს ემყარება — თქვა „სელტიკის“ აღმასრულებელმა შეფმა ალან მაკდონალდმა.

გამოცდილება შოტლანდიის ჩემპიონის მთავარ მწვრთნელს მართლაც დიდი აქვს, იგი კარგა ხანია, ამ სფეროში მოღვაწეობს. 1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე მისი თავკაცობით ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი მეოთხედფინალში გავიდა.

დღესდღეობით „სელტიკი“ მეორეა შოტლანდიის ჩემპიონატში და მოსისხლე მტერს, თანაქალაქურ „რეინჯერსს“, მთელი ექვსი ქულით ჩამორჩება, თუმცა თუ „სელტიკი“ ბოლო ხანებში მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებს, „რეინჯერსმა“ ბოლო ორი შეხვედრა წააგო. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, შარშანდელი წარმატება კლუბმა წლეულსვე გაიმეოროს.

თავის და გუნდის მომავალთან დაკავშირებით ვენგლოშმა აღნიშნა: „მე ვრჩები იქ, სადაც ახლა ვარ, სულ ცოტა კიდევ ერთი წლით. „სელტიკი“ თანდათან აღწევს თავს არასტაბილურობას, რაც შედეგზეც აისახა. რაც შეეხება ჩვენს მომავალ გეგმებს, გეტყვით, რომ მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. „სელტიკი“ დიდი ისტორიის და ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კლუბია, ამიტომაც წაფორხილების უფლება არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს“.

# წითელი და შავი

**იტალიელი** ვარსკვლავი ალესანდრო დელ პიერო გამოჯანმრთელდა და მალე თამაშს განაახლებს. ოღონდ სად, რომელ კლუბში, ეს არ არის ცნობილი.

დიახ, დიდი შანსია, ფეხბურთელმა ტურინის „იუვენტუსი“ დატოვოს და კარიერა მადრიდის „ატლეტიკოში“ გააგრძელოს.

თავიდან მოვყვეთ. შარშან ნოემბრის ბოლოს დელ პიერო „უდინეზესთან“ შეხვედრაში მძიმედ დაშავდა და აგერ უკვე მეხუთე თვეა, მოედანზე არ გამოჩენილა. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ტურინული კლუბი მზად არის, მასთან კიდევ ხუთი წლით გააგრძელოს ურთიერთობა. „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტიც გააშანშალა, სადაც ზღაპრულ თანხებზეა საუბარი. ახლა მხოლოდ თავდამსხმელის ხელმოწერაა საჭირო და თუ ეს მოხდა, მაშინ დელ პიერო იტალიაში ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე ფეხბურთელი გახდება — წელიწადში დაახლოებით 5 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს. ამხელა ფულს რონალდოც კი არ იღებს, მილანის „ინტერის“ აქციათა პაკეტის მფლობელი.



ალესანდრო დელ პიერო ჟურნალისტების გარემოცვაში

თუმცა გუშინ ამ გარიგებას საფრთხე დაემუქრა. ტურინული გაზეთის „ტუტოსპორტის“ ცნობით, დელ პიეროს პირად აგენტს „ატლეტიკოს“ პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილის ვაჟი, კლუბის დირექტორატის წევრი მიგელ ანხელ ხილი დაკავშირებია და უთქვამს, „იუვენტუსის“ უფროსობას გადაეცი, შენი კლიენტის სანაცვლოდ 70 მილიარდ ლარს ვიხდითო, რაც 41 მილიონი დოლარის ტოლფასია. ცნობილი გახდა ისიც, რომ დელ პიეროს ხუთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობენ (2000-დან 2005 წლამდე) და ამ პერიოდში იგი მხოლოდ ხელფასის სახით 8,2 მილიონ დოლარს მიიღებს.

იტალიელის გადაბირების დიდი სურვილი ჰქონიათ ხესუს ხილი ხილს და „ატლეტიკოს“ ახალდანიშნულ მთავარ მწვრთნელ რადომირ ანტიჩს, რომლის თავკაცობითაც მადრიდელები 1996 წელს ესპანეთის ჩემპიონებიც გახდნენ და თასის მფლობელებიც.

ახლა ყველაფერი დელ პიეროზეა დამოკიდებული. ამას წინათ მან განაცხადა, კარიერას „იუვენტუსში“ გავაგრძელებ, ეს გუნდი ჩემი სახლიაო. თუმცა გამორიცხული არაფერია — არც ის, გადარეულმა ხილი ხილმა სატრანსფერო თანხა გაზარდოს და არც ის, ახალგაზრდა, ნიჭიერი ფორვარდის მაისურზე შავი ზოლები წითლად გადაიქცეს.

**დავით ძოვზირიძე**

# ჯარიმა სამშობლოს სიყვარულისთვის

**მადრიდის** „რეალმა“ იუგოსლაველი ლეგიონერი, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსის“ კარში გამარჯვების გოლის გამტანი პრედრაგ მიატოვიჩი დასაჯა. მას 5,5 მილიონი პესეტას, ანუ 35,607 დოლარის გადახდა მოუწევს ჯარიმის სახით იმიტომ, რომ სამშობლოში გაჩაღებული ომის გამო პროტესტი გამოქთვა და კვირას „ალავესთან“ („რეალმა“ 3:2 მოიგო) თამაშზე უარი განაცხადა.

— ვერ გავიგე, რატომ მიიღო კლუბმა ასეთი გადაწყვეტილება — უთხრა მიატოვიჩმა გაზეთ AS-ის ჟურნალისტს. სხვათა შორის, პროტესტი მარტო მას არ გამოუხატავს. ნატოს ქმედებებით აღშფოთებულმა სხვა იუგოსლაველმა ფეხბურთელებმაც იუარეს პრიმერა დივიზიონის გასულ ტურში მინდორზე გასვლა. ესენი არიან: „სელტას“ გორან ჯოროვიჩი, „მალიორკელი“ იოვან სტანკოვიჩი, მიროსლავ ჯუკიჩი „ვალენსიადან“, „ოვიედოს“ ლეგიონერი ალბერტ ნადი და „ტენერიფელი“ სლავიშა იოკანოვიჩი.

მიუხედავად ამისა, მადრიდის „რეალი“ ერთადერთი კლუბია, რომელმაც თავისი ფეხბურთელის მიმართ დამსჯელი სანქციები გამოიყენა. მეტიც, „რეალის“ უფროსობა მიატოვიჩს დაემუქრა, თუ მომავალ ტურში „სელტასთანაც“ არ ითამაშებ, ძირითადში მოხვედრაზე ოცნებასაც კი გამოემშვიდობეო.

ახლა AS-ისთვის მიცემულ მიატოვიჩის ინტერვიუს დავუბრუნდეთ და ინვალიდი შვილის მამას მოვუსმინოთ. სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გატანილი გოლი მან სწორედ შვილს მიუძღვნა.

— ეს მე იმიტომ გავაკეთე, რომ დღესდღეობით ფეხბურთი ნაკლებად მადარდებს. ახლა მხოლოდ იუგოსლავიაზე ვფიქრობ, სადაც ქალები, ბავშვები, ჩემი ნათესავები სრულიად უდანაშაულოდ იხოცებიან. ამ დროს ძალიან ძნელია, მეტოქის კარისკენ მიმავალი გზები ეძებო. თუმცა ვთვლი, რომ კლუბის ხელმძღვანელობა, თავის მხრივ, ნაწილობრივ მართალია. მე პროფესიონალი ვარ და ჩემი საქმე ყოველთვის უნდა ვაკეთო. სწორედ ამაში ვიღებ ხელფასს, მაგრამ ამჟამინდელი მდგომარეობა მაინც განსაკუთრებულია. ბოლომდე მეგონა, რომ გამიგებდნენ. ახლაც ვერ გამიგია, ასეთი მწვავე რეაქცია რატომ მოჰყვა ყოველივეს.

მიატოვიჩმა ისიც თქვა, რომ დარწმუნებულია, ეს იდეა „რეალის“ პრეზიდენტ ლორენსო სანსს არ ეკუთვნოდა.

ლორენსო სანსი: „ძალიან ვწუხვარ იმაზე, რაც მოხდა. პრედრაგი ჩემთვის ახლობელი ადამიანია, მასთან ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა. ისიც ამით მპასუხობდა.

ის, რაც იუგოსლავიაში ხდება, ნაღდად არ არის ჩვენი ბრალი. ხანდახან ისე ხდება, რომ კლუბი უხალისოდ იღებს რაიმე გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაშიც ასე იყო, მაგრამ აქ მეორეც არის — თუ ჩვენ ფეხბურთელებს ყველაფრის უფლება მივეცით, მაშინ გუნდში დისციპლინა აღარ იქნება და წარმატებებზე ფიქრს საერთოდ უნდა გამოვემშვიდობოთ. ვიცი, მიატოვიჩი დარწმუნებულია თავის სიმართლეში, მაგრამ ფაქტია — მან სამუშაოს შესრულებაზე უარი თქვა“.

**ნოდარ ძასრაძე**



პრედრაგ მიატოვიჩს პატრიოტიზმი არ აპატიეს

## ფეხბურთის რუკასთან



**ბულგარეთის** ჩემპიონატი. მე-20 ტური: ლოკომოტივი (სოფია) — ბოტევი 2:0; ლოკომოტივი (პლოვდივი) — დობრუჯა 3:1; მეტალურგი — ლიტექსი 1:2; ლევსკი (კუისტენდილი) — მინიორი 2:1; პირინი — ნეფტოხიმიკი 1:1; სეპტემვრი — სპარტაკი 1:1; შუმენი — ცსკა 2:5; ლევსკი (სოფია) — სლავია 1:0. 48 ქულით გათამაშებას ლიდერობს „ლიტექსი“. მას 2 ქულით ჩამორჩება დედაქალაქის „ლევსკი“.

**ჩეხეთის ჩემპიონატი. 21-ე ტური: ბანიკი — ოლომოუცი 1:1; შმელი — ვიკტორია (ჟიჟკოვი) 2:0; დუკლა — ბობი 1:1; ტეპლიცე — იაბლონეცი 1:2; სლოვანი — ჰრადეცი 1:1; ოპავა — ვიკტორია (პლზენი) 1:1; დრნოვიცე — კარვინა 1:1. 43 ქულით გათამაშებას ლიდერობს „სპარტა“. მას 7 ქულით ჩამორჩება „ტეპლიცე“.**

**კვიპროსის** ჩემპიონატი. 23-ე ტური: ალკი — ანორთოსისი 0:4; აპოელი — დოქსა 3:0; აელი — ევაგორასი 4:0; ნეა სალამინა — ეთნიკოსი 4:0; ენოსისი — აეკი 1:2; აპოლონი — არისი 5:0. 58 ქულით გათამაშებას ლიდერობს „ანორთოსისი“. მას 3 ქულით ჩამორჩება „ომონია“, რომელსაც 1 თამაშის ნაკლები აქვს.

**რუმინეთის ჩემპიონატი. 22-ე ტური: სტიაუა — რაპიდი 1:1; ოცელული — უნივერსიტატეა (კრაიოვა) 4:0; ჩახლაული — უნივერსიტატეა (კლუჟი) 5:1; პეტროლული — არჯეში 3:1; ბაკაუ — ონესტი 2:1; ფორესტა — ნაციონალი 1:1; დინამო — ოლიმპია 5:0; გლორია — ასტრა 1:0; ფარული — რესიტა 0:0. 56 ქულით გათამაშებას ლიდერობს „დინამო“. მას მხოლოდ ქულით ჩამორჩება „რაპიდი“.**

**უნგრეთის** ჩემპიონატი. 22-ე ტური: კერულეტი — დუნაფერი 3:1; კიშპეშტი — დიოშდიორი 3:0; დებრეცენი — ზალაეგერცეგი 2:0; შიოფოკი — ფერენცვაროში 0:2; უპეშტი — დიორ ეტო 1:2; გაზერი — ვიდეოტონი 0:0; ჰალადაში — ვაშაში 0:0; მტკ — ნიერშეგი 2:0. 56 ქულით გათამაშებას ლიდერობს „მტკ“. მას 11 ქულით ჩამორჩება „დიორ ეტო“.

**შოტლანდიის ჩემპიონმა გლაზგოს „სელტიკმა“ თავდამსხმელი დარენ ჯექსონი „ჰართსს“ მიჰყიდა. 32 წლის ფეხბურთელი, რომელიც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის შემდეგ ნაკრებს გამოეთხოვა, „ჰართსში“ სამი წლით ითამაშებს. ედინბურგის „ჰართსმა“ ჯექსონის სანაცვლოდ გლაზგოელებს 500 ათასი დოლარი გადაუხადა.**

**რუსეთის** თასის მეოთხედფინალში ცსკა-მ „შინიკს“ 1:0 მოუგო.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# მიონხენგლადბახის დაკარგული დიდება

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ბოლო მარცხი ბერლინის „ჰერტასთან“, 2:4, იმას ნიშნავს, რომ გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე დიდ გუნდთაგანი მომავალი სეზონიდან მეორე ბუნდესლიგის ბინადარი შეიქნება. „ბორუსია“ ბერლინელებს 2:1-ს უგებდა, მაგრამ წააგო, ხოლო მისმა კონკურენტებმა, ფრანკფურტის „აინტრახტმა“, „ნიურნბერგმა“ და როსტოკის „ჰანზამ“ სამ-სამი ქულა მიითვალეს.

ამრიგად მიონხენგლადბახის გუნდი ბუნდესლიგის ცხრილში ბოლო, მე-18 ადგილზეა. იგი ხუთი ქულით ჩამორჩება „ჰანზას“, ხოლო მე-15 ადგილზე მყოფ „აინტრახტთან“ 8 ქულა ანსხვავებს, არადა, გავარდნას რომ გადაურჩეს, დღეს სწორედ იქ უნდა იყოს.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 80 ტურია დარჩენილი. მაგრამ „ბორუსიას“ მთავარი თავდამსხმელი, ტონი პოლსტერი, არ ნებდება და ამბობს, რომ ბრძოლას ბოლო წამამდე არ შეწყვეტს.

„სანამ ბუნდესლიგაში დარჩენის თეორიული შანსი არსებობს, ჩვენ ყველაფერი უნდა გავილოთ“ — ამბობს ავსტრიელი ვეტერანი, რომელსაც, სხვათა შორის, ბოლო ხანს უგულოდ თამაშის გამო აკრიტიკებენ და აკი „ჰერტასთან“ მატჩის დროსაც შეცვალეს.

„ბორუსიამ“ ნოემბერში მწვრთნელი, ფრიდელ რაუში გაუშვა და გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელით, რაინერ ბონჰოფით შეცვალა. ბონჰოფის ფეხბურთელობის დროს, 70-იან წლებში, მიონხენგლადბახელებმა ხუთჯერ მოიპოვეს ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტული, ხოლო ორჯერ უეფას თასი აღმართეს.

იმავე ეპოქის კიდევ ერთი გმირი, ბერტი ფოგტსი, ცოტა ხნის წინ თავის გუნდს დირექტორად დაუბრუნდა, თუმცა, როგორც ჩანს, ვერც ის და ვერც ბონჰოფი ქმედითს ველარაფერს ილონებენ.

ბონჰოფი ამბობს, რომ მას ახალგაზრდობის, ყველაზე მეტად კი 21 წლის მეკარის, რობერტ ენკეს და 19 წლის ნახევარმცველის, სებასტიან ტაიზერის ეიმედებოდა.

„ძალიან ძნელი შესაგუებელია, რომ მომდევნო სეზონის დაწყება შეიძლება ქვედა დივიზიონში მოგვიწიოს, მაგრამ თუ ასე მოხდა, სრულიად შესაძლებელია, ჯაჭვური რეაქცია გამოვიწვიოთ. თუ მეორე ბუნდესლიგაში ძლიერი შემადგენლობა შევინარჩუნეთ, მაშინ სრული მოტივაცია გვექნება ელიტაში დასაბრუნებელი ადგილისთვის საბრძოლველად“ — ბრძანებს ბონჰოფი.


სარბიელის არქივიდან

ტონი პოლსტერი — უგულო და დაუნებებელი

## მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# დასრულდა, თუმცა გრძელდება

10th FIFA World Youth Championship
Nigeria 1999
3 - 24 April 1999

### D ჯგუფი

**ურუგვაი 1:2 მალი**

0:1 კამარა (51), 1:1 ჩევანტონი (65), 1:2 დისა (90)

ურუგვაი: კარინი, კარენო, სორონდო, დიასი (ანჩენი 8, მაკალესო 83), პოუსო, პელეგრინი, კორეა, პერესი (კარდოსო 54), ჩევანტონი, ლიგერა, ალბერმაგერი

მალი: ბ. კეიტა, დ. კულიბალი, ა. ტრაორე, ე. კულიბალი, ტუნკარა, ნდიაე (დისა 54), ბაგაიოკო, ს. კეიტა, ა. კულიბალი, კამარა, დიარა (დიაკიტე 82)

გაფრთხილება: ე. კულიბალი (15), დიარა (31), ალბერმაგერი (50), კამარა (69)

გაძევება: დ. კულიბალი (59)

მსაჯი: ზელიკო სირიჩი (ხორვატია)

მალიმ, რომელსაც აქამდე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ერთადერთი გოლი გაეტანა, პირველად იმარჯვა.

...ხორვატი მსაჯი წამზომს დასცქეროდა, როდესაც მალის მე-15 ნომერი მაჰამადუ დისა სამხრეთამერიკელთა საჯარიმოში შეიჭრა და გოლი გაიტანა. გარდა იმისა, რომ თავდამსხმელის აქტიურობამ გუნდს სამი ქულა მოუტანა, მან მართლაც ლამაზი გოლი გაიტანა — მოატყუა თუ არა მეურვე, წინ გამოსული ვიქტორ ფაბიენ კარინი დალანდა და ბურთი თავზე გადაუგდო.

— შეცდომები დავუშვით, თუმცა შემდეგ შეხვედრებში მათ აუცილებლად გამოვასწორებთ — განაცხადა ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა ვიქტორ პუამ.

ურუგვაელები ჯგუფიდან გასვლის იმედს არ კარგავენ. მალის კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორმა ერნესტო ჩევანტონმა თქვა მარცხი საწყენია, თუმც იმედი მაქვს, ჯგუფიდან გავალთო. სხვათა შორის, ჩევანტონის გოლი ურუგვაელთათვის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში საიუბილეო, 50-ე აღმოჩნდა. ამაზე მეტი მხოლოდ ბრაზილიას, არგენტინას და ესპანეთს გაუტანიათ.

ცნობისათვის: მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ურუგვაი მეშვიდედ დაუპირისპირდა აფრიკელ მეტოქეს და პირველად დამარცხდა.

**კორეა 1:3 პორტუგალია**

0:1 ბარბოსა (10), 0:2 სოუზა (27), 1:2 იუნგ კუნ კიმი (37), 1:3 ბარბოსა (85)

კორეა: იანგ დაე კიმი, ჰონგ ჩან ანი, დონგ უკ პარკი, ჩონგ გუგ სონგი, კი ბოკ სეო, იაე ჰო ჩუნი, ეუნ იუნგ კიმი (ჰე გეუნ ნა 66), კი ეონ სეოლი (ბონგ უნ კო 78), იუნგ კუნ კიმი, კიუნგ ილ კიმი (იან სეოკ ვუ 67), დონგ გოკ ლი

პორტუგალია: ლეიტე, ფილიპე ანუნსიასაო, კანეირა (მარკო კლაუდიო 46), კორეია, ფრედი, უგო ლეალი, ესტევეში, სოუზა (ალანდრა 83), პაულო კოშტა, ბარბოსა, ფილიპე კანდიდო (კარეირა 46)

გაფრთხილება: ფილიპე ანუნსიასაო (30), დონგ უკ პარკი (89)

მსაჯი: აჰმად ნაბილ აიადი (ლიბანი)

...1979 წლის 29 აგვისტო. იაპონია. ქალაქი კობე. კორეა — პორტუგალია 0:0.

...1991 წლის 20 ივნისი. პორტუგალია. ქალაქი ლისაბონი. პორტუგალია — კორეა 1:0.

...1999 წლის 5 აპრილი. ნიგერია. ქალაქი ენუგუ. კორეა — პორტუგალია 1:3...

შედეგის გამოცნობა სულაც არ გახლდათ ძნელი. ის, რომ პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრები ერთი თავით ძლიერია მეტოქეზე ნათელი იყო, და ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. გამოჩნდა ისიც, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი პორტუგალია მიმდინარე ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია.

— დაკარგული ტიტული უნდა დავიბრუნოთ — განაცხადა გამარჯვებულთა მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| მალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ურუგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კორეა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

### E ჯგუფი

**კამერუნი 2:1 იაპონია**

0:1 ტაკაჰარა (51), 1:1, 2:1 კომოლი (72, 89)

კამერუნი: კამენი, ჰამგა, ლებე, მუსუნგი, ნზინკეუ, მბამი (აბუნა მოდო 65), ინოგე, დიკუმე ესინდი (კომოლი 70), იდრისუ, ნგომ კომი, იბრაჰიმა (კირიუ 56)

იაპონია: მინამი, ტეშიმა, ცუჯიმოტო, საკაი, ოგასავარა (იშიკავა 74), ტაკაჰარა, მოტოიამა, ენდო, ნაკატა, ონო, ნაგაი (ბანდო 69)

გაფრთხილება: იდრისუ (57), მუსუნგი (60)

მსაჯი: უილიამ მატუსი (კოსტა რიკა)

E ჯგუფის გახსნის მატჩი, მიუხედავად იმისა, რომ იაპონელები კარგად თამაშობდნენ, მაინც აფრიკელთა გამარჯვებით დასრულდა. შეცვლაზე შესულმა გასპარ კომოლმა ორი გოლი გაიტანა, თავის მხრივ კი ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი კამერუნელი, რომელმაც მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე დუბლი შეასრულა.

იაპონიის ნაკრების კაპიტანი შინჯი ონო ზაფხულში მსოფლიოს პირველობაზეც ასპარეზობდა. ონომ საფრანგეთში მხოლოდ 12 წუთს ითამაშა, ისიც ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში იამაიკასთან.

**ინგლისი 0:1 აშშ**

0:1 კალიფი (11)

ინგლისი: ტეილორი, კოული, რაიტი, ჰასლამი, დადლი, პიერსი (ლინკოლნი 58), ეტერინგტონი, ნიკოლსი (მერფი 84), კუპერი, ვერნასა, ოლივერი (ჯონსონი 46)

აშშ: ჰოვარდი, ტორინგტონი (პირსი 70), კალიფი, ჩერუნდოლო, დაუნინგი, ოლბრაიტი, გომესი (ცაკირისი 46), ბოკანეგრა, გოლდსმიტი, თველმენი (ბისლი 81)

გაფრთხილება: კოული (44), ლინკოლნი (62), კალიფი (68)

მსაჯი: მურად დაამი (ტუნისი)

ფიფას ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში აშშ-ს ნაკრებმა ინგლისის გუნდი მეორედ დაამარცხა. პირველად ეს 1950 წელს, მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატზე მოხდა. ამერიკელებმა ინგლისს მაშინაც 1:0 სძლიეს.

— ეს იყო ტოტალური უიღბლობა — ინგლისელთა თავკაცი კრის რამსეი ჩიოდა. ინგლისელებს მართლაც არ სწყალობდათ ბედი.

...მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატების ისტორიაში ინგლისი მეორედ შეხვდა აშშ-ს. 1993-ში, ავსტრალიაში, კრის ბარტ უილიამსის გოლით ბრიტანელებმა ამერიკელებს 1:0 სძლიეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| აშშ | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ინგლისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| იაპონია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

### F ჯგუფი

**ესპანეთი 2:0 ბრაზილია**

1:0, 2:0 გაბრი (14, 32)

ესპანეთი: არანსუბია, კოირა, ბერმუდო, იესუე, ორბაისი, მარჩენა, გაბრი (იესტე 82), ხავი (კოლსა 89), პაბლო, ვარელა, ბაკერო (რუბენი 68)

ბრაზილია: ფაბიო, ინდიო, ხუანი, ფაბიო ბილიკა (მილტონ როჟერიო 68), ფერუჯემი, რონალდო (ჯოვანი 67), ალექსანდრი (როდრიგო გრალი 46), ფერნანდო ბაიანო, ედუ, მატუსალემი, მანჩინი

გაფრთხილება: გაბრი (14), მატუსალემი (43), არანსუბია (61), მარჩენა (85)

მსაჯი: ფელიპე დე ხესუს რისო რამოსი (მექსიკა)

...1985 წლის 27 აგვისტოს, თბილისში, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში ბრაზილიამ 2:0 დაამარცხა ესპანეთი. მაშინ ჟილსონ ნუნიესის ბიჭებმა ლუსიანოს ბრწყინვალე და ბალალოს არანკლები გოლებით იმარჯვეს.

ახლა, თოთხმეტი წლის შემდეგ, ამ გუნდების დაპირისპირება კვლავ 2:0 დასრულდა, ოღონდ ამჯერად ესპანელებმა მოიგეს.

გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც, მაგრამ როცა ბრაზილიას ერთი თავით სჯობიხარ, ეს სხვა ამბავია. ესპანელებმა გაცილებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ვიდრე სამხრეთამერიკელებმა.

„გუნდმა ვერ ითამაშა და ამიტომაც დავმარცხდით. ჩვენ კვლავ გვაქვს შესაძლებლობა, ჯგუფიდან გავიდეთ. ამ შანსს გამოვიყენებთ“ — ჟოაო კარლოს და სილვა კოსტა, ბრაზილიელთა მწვრთნელი, იმედიანადაა.

ძნელია იმ გუნდის იმედად იყო, რომელსაც საერთოდ არ ჰყავს დაცვა, რომლის ნახევარდაცვა მოშლილია, თავდამსხმელები კი მარტო ცდილობენ გოლის გატანას. ერთადერთი, ვისზეც ესპანელებთან მატჩის შემდეგ აუგი არ ითქმის, ეს მეკარე ფაბიოა. მიუხედავად იმისა, რომ მან ორი გოლი გაუშვა, კიდევ ოთხ-ხუთ მომენტში აშკარად იხსნა თავისიანები.

— ჩვენ კარგად ვიცოდით ბრაზილიელთა სისუსტეები და გამოვიყენეთ კიდეც — თქვა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ინაკი რუის საესმა.

ორივე გოლი „ბარსელონას“ მეორე გუნდის თავდამსხმელმა გაბრიელ გონსალესმა, იგივე გაბრიმ გაიტანა. მისი ძალისხმევით ესპანეთი გახდა პირველი ევროპული ნაკრები, რომელმაც ბრაზილია მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ორი ბურთით დაამარცხა.

თავად ბრაზილიელები იმედიანად კი არიან, შეძლება ჯგუფიდანაც გაალწიონ, მაგრამ ძალიან საეჭვოა, ჩემპიონები, ანაც პრიზიორები გახდნენ. ესპანელთა თითქმის ყველა შეტევა ფაბიოს კართან ხიფათს ქმნიდა — ეს კი ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს არ უნდა ემართებოდეს.

ცნობისთვის: ბრაზილიამ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ნათამაშევ 55 მატჩში მეშვიდე შეხვედრა წააგო.

**ზამბია 4:3 ჰონდურასი**

0:1 დ. სუაზო (11), 1:1 კამპამბა (18), 1:2 ლეონი (41), 2:2, 3:2 მაკუფი (45, 59), 4:2 მბამბარა (82), 4:3 დ. სუაზო (86)

ზამბია: მუმბა, სიმუტოვი, ზიმბა, კამპამბა (კასონდე 83), მაკაი (მბამბარა 50), ჩასვე (ზელუ 70), მვაბა, ჩინტუ, მუტაპა, სინკალა, მაკუფი

ჰონდურასი: პერესი, ვასკესი, ისაგირე, ვალეჩილო, რუდალესი, დ. სუაზო, ლეონი, გუტიერესი, მ. სუაზო (ალვარესი 40), მარინი, ოლივა (ტილგუატი 63)

გაფრთხილება: მ. სუაზო (43), ლეონი (51)

მსაჯი: სიმონ მიკალეფი (ავსტრალია)

მეორე გოლის ავტორი გიფტ კამპამბა პირველი ზამბიელი ფეხბურთელია, რომელმაც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გოლი გაიტანა. იგი ასევე ყველაზე ასაკოვანია მიმდინარე მსოფლიოს პირველობაზე მონაწილე ფეხბურთელებიდან — კამპამბა 1979 წლის 1 იანვარსაა დაბადებული.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ზამბია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 3 |
| ჰონდურასი | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | 0 |
| ბრაზილია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## ჰოლანდია

**ტვენტე 1:1 უტრეხტი**

1:0 კამპჰუიზი (11), 1:1 მურადი (57)

**ფეიენოორდი 1:0 სპარტა**

1:0 ტომასონი (15)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 26 | 20 | 4 | 2 | 61:25 | 64 |
| ვიტესი | 26 | 16 | 5 | 5 | 50:30 | 53 |
| ეინდჰოვენი | 26 | 14 | 7 | 5 | 65:39 | 49 |
| ტილბურგი | 27 | 14 | 5 | 8 | 51:41 | 47 |
| როდა | 26 | 13 | 6 | 7 | 47:32 | 45 |
| აიაქსი | 26 | 12 | 8 | 6 | 54:28 | 44 |
| ტვენტე | 27 | 12 | 8 | 7 | 41:34 | 44 |
| ჰერენვენი | 27 | 11 | 9 | 7 | 44:34 | 42 |
| ალკმაარი | 26 | 9 | 11 | 6 | 40:43 | 38 |
| სიტარდი | 26 | 10 | 6 | 10 | 35:38 | 36 |
| უტრეხტი | 27 | 9 | 7 | 11 | 47:49 | 34 |
| ნაიმეგენი | 26 | 8 | 8 | 10 | 33:40 | 32 |
| გრააფსხაპი | 27 | 6 | 10 | 11 | 31:46 | 28 |
| კამბური | 26 | 6 | 7 | 13 | 27:49 | 25 |
| მაასტრიხტი | 27 | 5 | 8 | 14 | 31:50 | 23 |
| სპარტა | 27 | 5 | 3 | 19 | 27:58 | 18 |
| ბრედა | 26 | 3 | 6 | 17 | 27:48 | 15 |
| ვალვაიკი | 27 | 3 | 6 | 18 | 27:53 | 15 |

## თურქეთი

26-ე ტური: ერზურუმი — ანკარაგიუჯიუ 2:2; გენჩლებირლიგი — საქარია 1:0; ქარაბუქი — დარდანელი 1:0; ქოჯაელი — გაზიანთეფი 1:1; ბურსა — ალთაი 2:0; ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში 1:2; ისთანბული — ანთალია 0:1; სამსუნი — გალათასარაი 0:3; ადანა — ტრაბზონი 0:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 26 | 18 | 6 | 2 | 68:25 | 60 |
| ბეშიქთაში | 26 | 17 | 6 | 3 | 44:23 | 57 |
| ფენერბაჰჩე | 26 | 16 | 4 | 6 | 60:20 | 52 |
| ტრაბზონი | 26 | 15 | 5 | 6 | 39:25 | 50 |
| ანთალია | 26 | 12 | 5 | 9 | 35:32 | 41 |
| ქოჯაელი | 26 | 12 | 5 | 9 | 32:26 | 41 |
| გენჩლებირლიგი | 26 | 10 | 8 | 8 | 39:34 | 38 |
| გაზიანთეფი | 26 | 9 | 10 | 7 | 38:35 | 36 |
| ისთანბული | 26 | 9 | 7 | 10 | 37:39 | 34 |
| ანკარაგიუჯიუ | 26 | 9 | 5 | 12 | 37:39 | 32 |
| სამსუნი | 26 | 9 | 4 | 13 | 30:43 | 31 |
| ბურსა | 26 | 9 | 4 | 13 | 40:54 | 31 |
| ალთაი | 26 | 8 | 5 | 13 | 37:46 | 29 |
| ადანა | 26 | 8 | 4 | 14 | 26:43 | 28 |
| საქარია | 26 | 7 | 5 | 14 | 33:42 | 26 |
| ერზურუმი | 26 | 6 | 8 | 12 | 30:53 | 26 |
| დარდანელი | 26 | 4 | 8 | 14 | 19:35 | 20 |
| ქარაბუქი | 26 | 4 | 5 | 17 | 19:49 | 17 |

## უკრაინა

მე-19 ტური: დინამო — ტავრია 0:0; შახტიორი — მეტალურგი (ზაპაროჟიე) 2:1; ნივა — პრიკარპატიე 3:1; მეტალისტი — კრივბასი 0:0; კარპატი — მეტალურგი (დონეცკი) 2:0; მეტალურგი (მარიუპოლი) — მიკოლაიევი 3:0; ზირკა — ცსკა 1:1; დნეპრი — ვორსკლა 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტიორი | 18 | 13 | 1 | 4 | 52:17 | 40 |
| დინამო | 17 | 12 | 4 | 1 | 47:12 | 40 |
| კარპატი | 19 | 10 | 6 | 3 | 34:19 | 36 |
| კრივბასი | 19 | 9 | 8 | 2 | 22:10 | 35 |
| მეტალურგი (მ) | 18 | 8 | 4 | 6 | 25:17 | 28 |
| მეტალისტი | 19 | 8 | 3 | 8 | 18:24 | 27 |
| მეტალურგი (დ) | 19 | 6 | 5 | 8 | 20:29 | 23 |
| ცსკა | 17 | 5 | 8 | 4 | 20:19 | 23 |
| ვორსკლა | 18 | 6 | 4 | 8 | 18:24 | 22 |
| ნივა | 19 | 6 | 4 | 9 | 18:25 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 18 | 6 | 3 | 9 | 25:33 | 21 |
| ტავრია | 19 | 5 | 6 | 8 | 18:22 | 21 |
| დნეპრი | 18 | 6 | 2 | 10 | 16:29 | 20 |
| ზირკა | 18 | 5 | 5 | 8 | 15:21 | 20 |
| პრიკარპატიე | 18 | 3 | 5 | 10 | 15:36 | 14 |
| მიკოლაიევი | 18 | 2 | 4 | 12 | 11:37 | 10 |

## პოლონეთი

მე-20 ტური: პოლონია — გურნიკი 1:0; რაძიონკოვი — ბელხატოვი 1:1; ამიცა — ლეგია 0:2; ოდრა — პოგონი 3:0; ლეხი — ვისლა 1:3; ზაგლებიე — ლკს 2:2; სტომილი — რუხი 1:0; ვიძევი — კატოვიცე 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 20 | 17 | 1 | 2 | 48:15 | 52 |
| ვიძევი | 20 | 13 | 1 | 6 | 36:22 | 40 |
| ლეხი | 20 | 13 | 1 | 6 | 41:21 | 40 |
| ლეგია | 20 | 10 | 7 | 3 | 25:15 | 37 |
| პოლონია | 20 | 9 | 6 | 5 | 31:22 | 33 |
| გურნიკი | 20 | 8 | 6 | 6 | 24:19 | 30 |
| რაძიონკოვი | 20 | 6 | 7 | 7 | 27:22 | 25 |
| ამიცა | 20 | 7 | 3 | 10 | 25:31 | 24 |
| ბელხატოვი | 20 | 7 | 3 | 10 | 21:32 | 24 |
| ზაგლებიე | 20 | 5 | 7 | 8 | 28:33 | 22 |
| ოდრა | 20 | 5 | 6 | 9 | 23:29 | 21 |
| სტომილი | 20 | 6 | 2 | 12 | 17:29 | 20 |
| ლკს | 20 | 4 | 8 | 8 | 20:29 | 20 |
| რუხი | 20 | 5 | 5 | 10 | 14:30 | 20 |
| პოგონი | 20 | 5 | 4 | 11 | 23:38 | 19 |
| კატოვიცე | 20 | 5 | 3 | 12 | 17:33 | 18 |



ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელი იუპ ჰაინკესი

სარბიელის არქივიდან

როტერდამულ ფინალში, რომელსაც მხოლოდ 4 641 მაყურებელი დაესწრო, „მილანი“ ცდილობდა, თავისი ევროპული ავტორიტეტი არ შეელახა და თასი ერთი წლით კიდევ დაეტოვებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამაში მთავარი „დამნაშავე“ აღმოსავლეთგერმანული „მაგდებურგი“ აღმოჩნდა, რომელიც თასთა თასის გათამაშების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გუნდი გახლდათ. „მაგდებურგის“ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 23 წელს არ აღემატებოდა. ყველაზე „ასაკოვანი“ კი შემტევი იურგენ შპარვასერი იყო. შპარვასერს ფინალამდე ორი დღით ადრე შეუსრულდა 26 წელი.



## თასების მფლობელთა თასი

XIV გათამაშება 1973-74 წლები

## მაგდებურგი

მაგდებურგი, გდრ

სოლომონ ქულისაშვილი

Cup Winners' Cup

## სრული ისტორია



სარბიელის არქივიდან

მაგდებურგი 1974 წელს. დგანან: მწვრთნელი კრიუგელი, ჰერმანი, ზეგუინი, ტიული, მევესი, ომი, ცაპფი, აბრაჰამი. სხედან: ენგე, გაუბე, რაუგესტი, ჰაინე, შულცე, ჰოფმანი, პომერენკე, შპარვასერი

# პირველი და უკანასკნელი

თასის მფლობელი „მილანი“ ისევ მივიდა გადამწყვეტ მატჩამდე, მაგრამ ეს სეზონი „შავ-წითლებისთვის“ მეტად რთული და უთანაბრო გამოდგა. მწვრთნელი ნერეო როკო გუნდიდან წავიდა და მისი ფუნქცია კლუბის ყოფილმა ფეხბურთელმა ჯოვანი ტრაპატონიმ იკისრა. ქვეყნის ჩემპიონატში მათი საქმეები არცთუ კარგად მიდიოდა, თასების თასზე კი მაინც სოლიდურ შედეგს აჩვენებდნენ. ტურნირის საუკეთესო რაუნდი „მილანი“ — „მიონხენგლადბახის“ ნახევარფინალი იყო, სადაც ერთმანეთს ორი უმაღლესი კლასის გუნდი დაუპირისპირდა.

„გლადბახს“ მაშინ ჩინებული შემადგენლობა ჰყავდა. ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესოც ევროპაში. თავად განსაჯეთ, ბერტი ფოგთსი, ული შტილიკე, ჰერბერტ ვიმერი, ალან სიმონსენი, რაინერ ბონჰოფი და იუპ ჰაინკესი... ამათი დამარცხება მხოლოდ დიდ გუნდს თუ შეეძლო. 1975, 76 და 77 წლებში ესენი გფრ-ის ჩემპიონები გახდნენ, 75-ში უეფას თასიც მოიგეს. ჩვენს მიერ განსახილველ ტურნირში კი ყველაზე მეტი — 29 ბურთი გაიტანეს. აქედან 8 ჰაინკესის ანგარიშზე იყო (ეს სწორედ ის ჰაინკესია, შარშან მადრიდის „რეალს“ ჩემპიონთა ლიგა რომ მოაგებინა), რამაც ის გათამაშების საუკეთესო მეგოლედ აქცია.

„მილანამდე“ „გლადბახს“ ერთი დათარსული გუნდი შეხვდა. ჩრდილოირლანდიურ „გლენტორანს“ მეოთხედფინალში გერმანელებმა საერთო ჯამში შვიდი ბურთი გაუტანეს, მაგრამ საინტერესო, იცით, რა არის? გლადბახელებთან შეხვედრამდე „გლენტორანის“ ერთმა ნახევარმცველმა, უოლკერმა, ფეხი მოიტეხა. მეორე კი, გვარად სტიუარტი, გულის შეტევით გარდაიცვალა...

სანამ მილანში პირველ ნახევარფინალს ითამაშებდნენ, „გლადბახის“ მწვრთნელი ჰანს ვაისვაილერი „მილანი“ — „ინტერის“ მატჩს დაესწრო და თავისი მეტოქის უმოწყალო განადგურების მომსწრე გახდა (1:5). ეს „შავ-წითლების“ ზედიზედ მეხუთე მარცხი იყო იტალიის ჩემპიონატში და ვაისვაილერიც შინ მშვიდად დაბრუნდა. კარგია, რომ კენჭისყრამ „მილანს“ შეგვახვედრა და არა „ინტერსო“ — თქვა მწვრთნელმა. ეს რომ იტალიელების კაპიტანმა ჯანი რივერამ გაიგო, ეწყინა და — ჩვენ ევროტურნირების დიდი გამოცდილება გვაქვს და ვინ ვის მოუგებს, კიდევ ვნახავთო — განუცხადა ჟურნალისტებს. რივერა მართალი გამოდგა, „მილანმა“ პირველ მატჩში ყველაფერში აჯობა მოწინააღმდეგეს. ბიგონისა და კიარუჯის გოლებით თასის მფლობელებმა სოლიდური მარაგი შეიქმნეს საპასუხო შეხვედრისათვის. თავად რივერას ტრავმის გამო არ უთამაშია. გლადბახელებმა, უფრო დიდი სტადიონიაო და, მოწინააღმდეგე დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ მიიღეს. იტალიელი საბადინის ავტოგოლი ერთადერთი აღმოჩნდა შეხვედრაში. თუმცა გერმანელები ამტკიცებდნენ, რომ ესპანელმა მსაჯმა მარტინესმა მათ სამი ნაღდი პენალტი არ დაუნიშნა. ვიდეოფირის განხილვამ გლადბახელების სიმართლე დაამტკიცა. ერთხელ საკუთარ საჯარიმოში ბენეტიმ ითამაშა ხელით, ორჯერ კი ვიმერი და რაპი სტუმრებმა აშკარად წააქციეს. უამისოდაც, მინდორზე დიდი ამბები ხდებოდა. მსაჯმა ფოგთსი და ბონჰოფი გააფრთხილა, მეორე ნახევარში კი მილანელი შნელინგერი და გლადბახელი კულიკი საკაცით გაიყვანეს მოედნიდან.

ყველაფრის მიუხედავად, ანგარიში არ შეცვალეს და „მილანი“ ფინალში გავიდა. „ბორუსიის“ მეკარემ ნამატჩევს განაცხადა: „თუ მარტინესს ფინალური მატჩის მსაჯად დანიშნავენ, „მაგდებურგს“ შეუძლია, შინ დარჩეს, რადგან მაინც „მილანს“ მოაგებინებენ“. მაგრამ როტერდამში სხვა არბიტრი იყო და „მაგდებურგიც“ შეუჩერებელი გახლდათ.

ფინალის წინ „მაგდებურგის“ მწვრთნელმა ჰანს კრიუგელმა თქვა, რომ ეს თამაში თავისი მუშაობის გვირგვინად წარმოედგინა. რვა წლის განმავლობაში აყალიბებდა კრიუგერი გუნდს და ბოლოს მოიმკო. „ახალი ტალღის“ მოთამაშეებისგან დაკომპლექტებული „მაგდებურგი“ ათლეტურ, თანაც შემტევ ფეხბურთს თამაშობდა. 1972, 74 და 75 წლებში გდრ-ის ჩემპიონიც გახდა. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი ოთხი მოთამაშე: ვოლფგანგ ზეგუინი, იურგენ პომერენკე, მარტინ ჰოფმანი და იურგენ შპარვასერი მიავლინა. იმ წელს გდრ-ის ნაკრებმა პირველად და უკანასკნელად ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე და არცთუ ურიგოდ. ჯგუფურ ტურნირში მომავალი გამარჯვებული, გფრ-ის ნაკრებიც კი დაამარცხეს. იურგენ შპარვასერი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო მაშინდელ გდრ-ის ეროვნულ გუნდში.

53 წლის კრიუგერის განცხადებით, „მაგდებურგი“ ტრადიციულ, შემტევ სტილში ითამაშებდა, თუმც მათ ორი ძლიერი მოთამაშე აკლდათ. ლეკერი დისკვალიფიკაციას იხდიდა ბულგარეთის „ბეროესთან“ გაძევების გამო, ხოლო აზტელი სერიოზულად იყო დაშავებული. კრიუგერი იმასაც აღნიშნავდა, რომ მისი გუნდის ძირითადი ბირთვი მაგდებურგის სკოლის აღზრდილებისგან იყო შეკრული და მათ უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთის.

„მილანს“ კი გამოცდილების, იღბლისა და... კიდევ სტადიონის იმედი ჰქონდა. 1968 წელს მან სწორედ როტერდამის მინდორზე დაამარცხა გერმანული „ჰამბურგი“ და პირველად დაეუფლა თასების თასს. ტრაპატონი ქომაგებს შეპირდა, რომ გუნდი ლამაზ ფეხბურთს ითამაშებდა და წინა წლის ისტორია აღარ განმეორდებოდა. სალონიკის ფინალში „მილანსა“ და „ლიდსს“ შორის უხეშობა მეტი იყო, ვიდრე თამაში, ხოლო მაშინდელი მსაჯი უეფამ დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ჯანი რივერა საკითხს თავისებურად უდგებოდა. პრესკონფერენციაზე მან თქვა, უკეთესი იქნებოდა, ფინალში „მაგდებურგისგან“ დამარცხებულ ლისაბონის „სპორტინგთან“ გვეთამაშა, ტექნიკურ პორტუგალიელებთან მეტი შანსი გვექნებოდა, ათლეტურ გერმანელებთან კი გაგვიჭირდებაო.

და კიდევ ერთი, წინა წელს ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან „მაგდებურგი“ ტურინის „იუვენტუსმა“ გამოთიშა. ტურინელებმა ორივე მატჩის კინოფირი მილანელებს გადასცეს, მაგრამ ეს ინფორმაცია ტრაპატონის გუნდისთვის ფუჭი აღმოჩნდა. „მაგდებურგმა“ შესანიშნავად ითამაშა და დამსახურებულად მოიგო.

თავიდან იტალიელებმა სიტყვა შეასრულეს და დაცვითი ვარიანტი არ უთამაშიათ, მაგრამ გერმანელების აგრესიულმა მოქმედებამ ისინი მაინც საკუთარ ნახევარზე დააფუძნა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა ჰოფმანმა ფლანგიდან შპარვასერის მისამართით ჩააწოდა, „მილანის“ მცველი ლანცი სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა, მაგრამ მეტი მოუვიდა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ამან იტალიელები გააბრაზა და მეორე ნახევარში შეტევების ორგანიზებაც სცადეს, მაგრამ რივერას მჭიდროდ მეურვეობდნენ, უკაპიტნოდ კი მილანელებს უჭირდათ.

მერე ერთი გასაკვირი რამ მოხდა. იტალიელები შეტევებით გაერთნენ და... მეორე ბურთი მიიღეს. მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან მდგომმა ზეგუინმა ტიულის გადაცემის შემდეგ ანგარიში გააორა. საინტერესოა, არა? „კატენაჩიოს“ მოთამაშე გუნდს ბურთი კონტრშეტევაზე გაუტანეს...

„მაგდებურგი“ თასების თასის მფლობელი გახდა. არც მანამდე და არც შემდეგ აღმოსავლეთგერმანულ კლუბებს არც ერთი ევროთასი აღარ მოუგიათ. კრიუგელი კი მატჩის მერე ამბობდა: „თანაბარი თამაში მხოლოდ ბოლო ნახევარ საათს იყო, მანამდე მეტოქეს აშკარად ვჯობდით. ჩვენს გუნდში „ვარსკვლავები“ არ თამაშობენ. ამიტომ აქცენტს კოლექტიურ მოქმედებაზე ვაკეთებთ. ფინალშიც სწორედ ამან მოგვაგებინა. რაც შეეხება მომავალ ტურნირებს, გაისად „მაგდებურგი“ ჩემპიონთა თასზე გამოვა და ვეცდებით, იქაც წარმატებით ვითამაშოთ“.

ალბათ, მაშინ კრიუგელს მართლაც სჯეროდა, რომ მისი ბიჭები ჩემპიონთა შეჯიბრსაც მოიგებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. მერვედფინალში ისინი დასავლელმა თანამემამულემ, მიუნხენის „ბაიერნმა“ ჩამოიცილა გზიდან.

### პირველი წრე

ლეგია (პოლონეთი) — პაოკ (საბერძნეთი) 1:1, 0:1; პეზოპორიკოსი (კვიპროსი) — მალმიო (შვედეთი) 0:0, 0:11; კარდიფ სიტი (უელსი) — სპორტინგი (პორტუგალია) 0:0, 1:2; ბანიკი (ჩეხოსლოვაკია) — კორკი (ირლანდია) 1:0, 2:1; ბრედა (ჰოლანდია) — მაგდებურგი (გდრ) 0:0 (როტერდამი), 0:2; ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) 0:2, 0:4; ვაშაში (უნგრეთი) — სანდერლენდი (ინგლისი) 0:2, 0:1; ანდერლეხტი (ბელგია) — ციურიხი (შვეიცარია) 3:2, 0:1; ტორპედო (მოსკოვი, სსრკ) — ატლეტიკო (ესპანეთი) 0:0, 0:2; ხიმია (რუმინეთი) — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 2:2, 0:2; რეიპასი (ფინეთი) — ლიონი (საფრანგეთი) 0:0, 0:2; ბეროე (სტარა ზაგორა, ბულგარეთი) — ფოლა (ლუქსემბურგი) 7:0, 4:1 (ზაგორა); რანდერს ფრეია (დანია) — რაპიდი (ავსტრია) 0:0, 1:2; მილანი (იტალია) — დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) 3:1, 1:0; გზირა იუნაიტედი (მალტა) — ბრანი (ნორვეგია) 0:2, 0:7; ფინტმანაიარი (ირლანდია) — მიონხენგლადბახი (გფრ) 0:7 (რეიკავიკი), 1:9

### მერვედფინალი

ციურიხი — მალმიო 0:0, 1:1; სანდერლენდი — სპორტინგი 2:1, 0:2; მილანი — რაპიდი 0:0, 2:0; მიონხენგლადბახი — რეინჯერსი 3:0, 2:3; ბეროე — ატლეტიკო 3:0, 0:1; ბრანი — გლენტორანი 1:1, 1:3; ბანიკი — მაგდებურგი 2:0, 0:3 დდ; ლიონი — პაოკ 3:3, 0:4

### მეოთხედფინალი

გლენტორანი — მიონხენგლადბახი 0:2 (ჰაინკესი, კულიკი), 0:5 (ვიმერი, ჰაინკესი 2, კულიკი, ფოგთსი)
მაგდებურგი — ბეროე 2:0 (ჰერმანი, მევესი), 1:1 (ჰერმანი; ვესოვი)
მილანი — პაოკ 3:0 (ბიგონი, კიარუჯი, ბენეტი), 2:2 (ბიგონი, ტრეზოლდი; სარაფისი 2)
სპორტინგი — ციურიხი 3:0 (ნელსონი, მარინიო, ალსალდე), 1:1 (ბალთაზარი; ბოტერონი)

### ნახევარფინალი

სპორტინგი — მაგდებურგი 1:1 (მანუკა; შპარვასერი), 1:2 (მარინიო; პომერენკე, შპარვასერი)
მილანი — მიონხენგლადბახი 2:0 (ბიგონი, კიარუჯი), 0:1 (დიუსელდორფი) (საბადინი ა.გ.)

ფინალი. როტერდამი. 8 მაისი. 4 641 მაყურებელი

**მაგდებურგი 2:0 მილანი**

1:0 ლანცი (42 ა.გ.), 2:0 ზეგუინი (75)

მაგდებურგი: შულცე, ენგე, ცაპფი, გაუბე, აბრაჰამი, პომერენკე, ზეგუინი, ტიული, რაუგუსტი, შპარვასერი, ჰოფმანი
მილანი: პიცაბალა, ანკილეტი, საბადინი, ლანცი, შნელინგერი, მალდერა, ტრეზოლდი, ბენეტი, ბიგონი, რივერა, ბერგამასკი (ტურონი 59)
მსაჯი: ვან გემერტი (ჰოლანდია)

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვერონი „პარმას“ ერთ-ერთი ლიდერია

# ხუან სებასტიან ვერონი: წინ დიდი დროა

*არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე... „პარმა“ იტალიის პირველობზე, უეფას თასზე... ამ ორი გუნდის სული და გული ხუან სებასტიან ვერონია. უდავოდ ნიჭიერი გამთამაშებელი ჯერ მხოლოდ 23 წლისაა, თუმცა საყოველთაო აღიარება და პოპულარობა უკვე კარგა ხანია, მოიხვეჭა. დღესდღეობით მისი „პარმა“ იტალიის ჩემპიონობისთვის და უეფას თასისთვის იბრძვის. ვერონზე ბევრი რამაა დამოკიდებული, ძალიან ბევრი რამ...*

**— ევროპაში უამრავი არგენტინელი ფეხბურთელია. ისინი, უმეტესობა მაინც, თავიანთ კლუბებში ლიდერები არიან...**

— ჩვენ, არგენტინელებს, და საერთოდ სამხრეთამერიკელებს ევროპულ ფეხბურთთან შეგუება არასდროს გვიჭირდა. ფეხბურთი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თან თამაშიც შეგვიძლია და რადგან ევროპის სტუმრები ვართ, ვცდილობთ, მასპინძლებს ლამაზი, სანახაობრივი ფეხბურთით ვცეთ პატივი. ეს არის და ეს.

**— როგორ მოახერხეთ, რომ იტალიურ ფეხბურთს ადვილად შეეგუეთ?**

— იცით, არგენტინის ნახევარ მოსახლეობას ფუძე იტალიური აქვს. როცა იტალიაში ჩავედი, თავი შინ მეგონა. აქ იგივე ტრადიციების, ჩვეულებების ხალხია, როგორც არგენტინაში. ამან ჩემს ადაპტაციას ძალიან შეუწყო ხელი. მერე კი ყველაფერი თავისთავად მოვიდა.

**— კერპიც გეყოლებათ...**

— დიეგო მარადონა. ვთვლი, რომ ის ყველა დროის უძლიერესი ფეხბურთელია. მერე რაც დაემართა, ეს ჩვენი საქმე არაა. ადამიანმა სხვისი მოქმედება არ უნდა განსაჯოს.

**— კარგა ხანია, იტალიაში თამაშობთ. რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— დაახლოებით ორი წლის წინ იყო. მახსოვს, „სამპდორიაში“ ვთამაშობდი და „პერუჯას“ 5:3 მოვუგეთ. ორი გოლი გავიტანე. საუკეთესო გოლად ისევ ორი წლის წინ, „უდინეზესთან“ 4:1 მოგებულ თამაშში გატანილი ბურთი მიმაჩნია. სხვა დასამახსოვრებელი მატჩებს რაც შეეხება, „ლაციოსთან“ 0:3 წაგებული თამაში მიმაჩნია. არასდროს დამავიწყდება მსოფლიოს ჩემპიონატზე დებიუტი. იაპონიას ვხვდებოდით. მე ცუდად ვითამაშე, თუმცა იმდენად ვნერვიულობდი, სულაც არ გამკვირვებია, რომ არაფერი გამომივიდა.

**— ადრე მეტი გოლი გაგქონდათ, ახლა კი ხშირად კარშიც აღარ ურტყამთ, რატომ?**

— ამის ბევრი მიზეზია. „სამპდორიაში“ მკვეთრად გამოკვეთილი თავდამსხმელი გახლდით და მომეცემოდა თუ არა საშუალება, გოლის გატანას ვცდილობდი. „პარმაში“ სიტუაცია სხვაგვარია — თავდამსხმელების უკან ვთამაშობ, ბურთი უნდა „ავიტანო“ და მერე დავარტყა, მეტოქის მცველები კი ამდენს არ გაცლიან. იტალიაში გამთამაშებელი ბევრი გოლს ვერ გაიტანს. ეს ძალიან რთულია.

**— თავდამსხმელი თუ გამთამაშებელი. რომელს აირჩევდით?**

— როგორ გითხრათ. ამპლუებს ვერ შევადარებ, ორივე მნიშვნელოვანია. ისიც გასათვალისწინებელია, გუნდს სად სჭირდები. „სამპდორიაში“ თავდამსხმელი ვიყავი, თან გუნდში ჩვენი მაქსიმუმი უეფას თასის საგზურის მოპოვება იყო. „პარმაში“ მე სხვა როლს ვთამაშობ — კიეზა, კრესპო, ბალბო ჩემზე არიან დამოკიდებულნი. ამასთანავე „პარმას“ ძალუძს უმაღლესი ტიტულებისთვის ბრძოლა. იცით, მგონია, რომ მთავარია, კარგად შეასრულო ის, რაც გავალია. მერე აღარც ადგილის შეცვლაზე ფიქრით დაიღლი თავს.

**— როგორც ეტყობა, „პარმას“ მწვრთნელი ალბერტო მალესანი ბევრს გავარჯიშებთ.**

— ყველა ბევრს ვარჯიშობს, ეს ნორმალურია. სეზონისწინა შეკრებები ძალიან გვეხმარება, მერე ყველაფერი იოლდება. თამაშის შემდეგ, ცხადია, დაღლილი ვარ, თუმცა არა „გადამწვარი“. ფეხბურთელის ბედი იტალიაში ასეთია — სადაც არ უნდა თამაშობდე, უნდა ირბინო, ირბინო, ირბინო...

**— თუ გიფიქრიათ, რომ „სამპდორიაში“ დარჩენა აჯობებდა?**

— გენუაში გატარებული დრო არასდროს დამავიწყდება. „სამპდორიაში“ პირველი წელიწადი ფანტასტიკური იყო, ქალაქიც ძალიან მომწონდა, მაგრამ გუნდს არ სურდა რაიმეს მოგება, მე კი ამას ვერ შევეგუებოდი. მივხვდი, რომ ფეხბურთისგან მეტი მინდოდა, „სამპდორიაში“ კი ამას ვერ მივაღწევდი. მხოლოდ ფეხბურთის თამაში რომ მდომებოდა, არგენტინიდან არ წამოვიდოდი. „პარმაშიც“ იმიტომ გადავედი, რომ გამარჯვებებისთვის მიმეღწია.

**— უკან გავიხედოთ. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ალბათ, გააანალიზებდით მომხდარს.**

— იმედგაცრუებულად სულაც არ მიგრძვნია თავი. პირიქით, მსოფლიოს ჩემპიონატით კმაყოფილიც დავრჩი. ჩვენ შეგვეძლო ნახევარფინალში გასვლა, კიდევ წინ წასვლა, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი უაზრობაა. რაც იყო, იყო. საფრანგეთში მასპინძელთა გარდა ოთხი ძლიერი ნაკრები იყო, ამ ოთხიდან ორს — ინგლისს და ჰოლანდიას კი ჩვენ ვეთამაშეთ. ერთი დავამარცხეთ, მეორესთან დავმარცხდით. მერე რა? ცხადია, გამარჯვება კარგი იქნებოდა, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი კარგი იყო.

**— არგენტინის პრესამ გუნდი ბევრ რამეში დაადანაშაულა. სანამ ჩემპიონატს გამოეთიშებოდით, მანამდეც გაკრიტიკებდნენ. რა იყო ყოველივე ამის მიზეზი?**

— მე მაინც ვფიქრობ, რომ ფეხბურთელები იმაზე მეტად გვაკრიტიკეს, ვიდრე ვიმსახურებდით. ნაკრების მწვრთნელი დანიელ ალბერტო პასარელა ჟურნალისტებში პოპულარული არ იყო, ამის გამო კი რისხვა ჩვენზეც გადმოვიდა. ერთია რომ, პასარელას არაფერს ვაბრალებ, მაგრამ მეორეა, რომ ფეხბურთელთა საშინელი კრიტიკის მიზეზი ესეც იყო.

**— თქვენ გაბრალებდნენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდელ დოპინგკონტროლზე ჩავარდით. ამის თაობაზე თქვენი კომენტარი არავის სმენია.**

— ხალხს სენსაციები აინტერესებს. პატარა ამბიდან სკანდალს ქმნიან. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არაფერი ვთქვი უსაფუძვლო ბრალდებაზე, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდებოდა და მთლიანად ტურნირზე ვიყავი კონცენტრირებული. მერე, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისას, იმ ამბის გახსენება საჭიროდაც არ ჩავთვალე. ისე, არაფერი ყოფილა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე რომელმა ნაკრებმა გაგაოცათ?**

— ხორვატიამ. გარდა იმისა, რომ მათ გამაოცეს, მომხიბლეს კიდეც. ხორვატთა შემართება სამაგალითო გახლდათ.

**— რომელი გუნდისგან ელოდით მეტს?**

— ბრაზილიისგან. მეგონა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტები იყვნენ, მაგრამ ჩემპიონატის მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ გუნდად ბრაზილია ნაკლებად ვარგოდა. რივალდო და რონალდო კი მსოფლიოს ჩემპიონატს მარტონი ვერ მოიგებდნენ.

**— როგორ ფიქრობთ, ზინედინ ზიდანი ევროპის და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულებს იმსახურებდა?**

— მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ორი გოლი ყველას არ გააქვს. მარადონასაც ვერ მოუხერხებია ასეთი რამ. ჩემის აზრით, საფრანგეთში ოთხი ფეხბურთელი გამოირჩეოდა — ტურამი, რონალდო, ბატისტუტა და ზიდანი. და ზიდანიც საუკეთესოდ აღიარეს იმიტომ, რომ ფინალში ორი გოლი გაიტანა. ყველაფერ ამას დამატებული ის იტალიის ჩემპიონატშიც შეუდარებელი გახლდათ.

**— მოგწონთ მსოფლიოს ჩემპიონატის ყოველ ორ წელიწადში ჩატარების იდეა?**

— არა. დისტანცია მსოფლიოს ჩემპიონატებს შორის უნდა დარჩეს ისეთი, როგორიც ახლაა.

**— პასარელასთან ურთიერთობა გაგიჭირდათ?**

— თავდაპირველად ვიჩხუბეთ კიდეც. მერე დავსხედით, მე ჩემი ვთქვი, მან თავისი და აღმოჩნდა, რომ პრობლემა უაზრო იყო, მის გამო კინკლაობა არ ღირდა. პასარელას ნაკრებში კარგა ხანი დავყავი. იცით, ის ძლიერი, მკაცრი პიროვნებაა. ურთიერთობა მასთან ძნელია, თუმცა თუ გაუგე, ამას არაფერი აჯობებს. ჩვენ ახლა ჩვეულებრივი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს.

**— ამბობდნენ, ვერონის ოცნება „ბარსელონაში“ თამაშიაო. მართალია?**

— ვინ არ ოცნებობს, ითამაშოს მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში? თუ ფეხბურთელი არ ოცნებობს „იუვენტუსში“, „ბარსელონაში“, ანაც „მანჩესტერში“ თამაშზე, იგი დალუპულია. ეს ის გუნდებია, რომლებიც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას ქმნიან. კარგი იქნებოდა, რომელიმე მათგანის მაისური მომერგო.

**— ...მაგრამ ახლა „პარმაში“ ხართ. თავს ბედნიერად გრძნობთ?**

— რა თქმა უნდა. რატომაც არა? ყველაფერი კარგადაა და თან მხოლოდ 23 წლის ვარ. ვაკეთებ იმას, რაც მსიამოვნებს და ამაში ფულს მიხდიან. მიხდიან იმდენს, რომ ვზრუნავ საკუთარ თავზე, ოჯახზე, მეგობრებზე. მე ძალიან ბედნიერი ვარ. ვიმედოვნებ, რომ ათი წლის შემდეგ იგივე შეგრძნება მექნება.

**„უორლდ სოკერი“**
**თარგმნა ლაშა გოდუაძემ**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ჩემპიონთა თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩები** | | | | | |
| 7.04 | დინამო — ბაიერნი | (2,8-1,3) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | მანჩესტერი — იუვენტუსი | (1,5-2,0) | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| **თასების თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩები** | | | | | |
| 8.04 | ჩელსი — მალიორკა | (1,35-2,5) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ლოკომოტივი — ლაციო | (7,5-1,05) | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი** | | | | | |
| 8.04 | ლიონი — სოშო | | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| **ჰოლანდიის ჩემპიონატი** | | | | | |
| 7.04 | სიტარდი — ტილბურგი | | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| **რუსეთის ჩემპიონატი** | | | | | |
| 7.04 | სპარტაკი — კრილია სოვეტოვი | | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| **რუსეთის თასის მეოთხედფინალი** | | | | | |
| 7.04 | როტორი — არსენალი | | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | დინამო — სატურნი | | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | ზენიტი — როსტსელმაში | | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| **ავსტრიის თასის მეოთხედფინალი** | | | | | |
| 6.04 | ლუსტენაუ — ლინცერი | | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ბრაუნაუ (II) — რიდი | | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | რაპიდი — ზალცბურგი | | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | გრაცერი — შტურმი | | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის** | | | | | |
| 7.04 | ნიგერია — გერმანია | | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | კოსტა რიკა — პარაგვაი | | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | განა — არგენტინა | | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | ხორვატია — ყაზახეთი | | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ავსტრალია — მექსიკა | | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | საუდეთი — ირლანდია | | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| *8 აპრილის თამაშების კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით.* | | | | | |
| **NHL** | | | | | |
| 7.04 | ტორონტო — ოტავა | | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | მონრეალი — კაროლინა | | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | ვაშინგტონი — სენტ ლუისი | | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ფლორიდა — ბოსტონი | | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | დეტროიტი — ვანკუვერი | | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| | კოლორადო — ნეშვილი | | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | ედმონტონი — კალგარი | | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | დალასი — ანაჰაიმი | | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 8.04 | ოტავა — ტორონტო | | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი | | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| | აილენდერსი — მონრეალი | | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| | ფილადელფია — პიტსბურგი | | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | ტამპა ბეი — ბოსტონი | | 3,4 | 4,4 | 1,4 |
| | ჩიკაგო — რეინჯერსი | | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| | ლოს ანჯელესი — სან ხოსე | | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| **NBA** | | | | | |
| 7.04 | ბოსტონი — ვაშინგტონი | | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | ნიუ ჯერსი — ფილადელფია | | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | მაიამი — დალასი | | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | შარლოტი — ნიუ იორკი | | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | დეტროიტი — ატლანტა | | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | ჩიკაგო — ინდიანა | | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| | მილუოკი — კლივლენდი | | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | ფინიქსი — მინესოტა | | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | ვანკუვერი — დენვერი | | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | საკრამენტო — ლეიკერსი | | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 8.04 | ტორონტო — ბოსტონი | | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | კლივლენდი — ორლანდო | | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | ჰიუსტონი — სან ანტონიო | | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | იუტა — გოლდენ სტეიტი | | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | სიეტლი — პორტლენდი | | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | კლიპერსი — მინესოტა | | 4,0 | 12,0 | 1,15 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

საქართველოს ჩემპიონატი

# 23 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### ირაკლი ხოშტარია
### «დინამო»

თსუ-სა და „დინამოს" შეხვედრის ბედი მხოლოდ ოვერტაიმის ბოლო წამებზე გადაწყდა. მატჩის გმირი უდავოდ დინამოელი ირაკლი ხოშტარია იყო, რომელიც ხელის ტრავმის გამო, ერთთვიანი შესვენების შემდეგ, პირველად გამოვიდა მოედანზე და მისმა ზუსტად შესრულებულმა საჯარიმომ „დინამოს" ოქროს ფასად ღირებული ნანატრი გამარჯვება მოუტანა. ამასთან, 32 ქულით იგი ტურის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელია.

**— ირაკლი, თსუ-სთან შეხვედრაში თქვენ შეხვეული ხელით ითამაშეთ და ბურთის მიღებისას აშკარად გეტყობოდათ, რომ ტრავმა ჯერაც მოსაშუშებელია. ხომ შეიძლებოდა, იგი გაგრთულებოდათ?**

— შეიძლებოდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო თსუ-ს დამარცხების სურვილი, რომ ტრავმის მოსალოდნელ გართულებაზე აღარ მიფიქრია და გადავწყვიტე, მეთამაშა. თსუ-სთან, მეორე წრეში, მოგებულ თამაშში, ირაკლი მაისურაძის ლიცენზიის დაგვიანების გამო, წაგება ჩაგვეთვალა და ამ ფაქტმა გული ძალიან დამწყვიტა.

**— გამოდის, რომ „გაბრაზებულს" გითამაშია.**

— თსუ-ს კალათბურთელები ჩემი მეგობრები არიან. დღევანდელ შეხვედრა კი მართლაც „გაბრაზებულმა" ვითამაშე.

**— მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალში თქვენ და კახაბერ შენგელიას გაბრაზება ძვირად დაგიჯდათ. ფედერაციის გადაწყვეტილებით, შენგელიას სამუდამო, თქვენ კი ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მოგცეს. მართალია, კარგა ხნის ამბავია, მაგრამ მე მგონი, ღირს გახსენებად...**

— რამდენიმე წუთში მსაჯმა იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ ბარე ორ მატჩს ეყოფოდა. პირველად შენგელიას უმტყუნა ნერვებმა, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობარია და ალბათ, ამის, უფრო კი გუნდის ინტერესების შელახვის გამო, ცხოვრებაში პირველად და, მე მგონი, უკანასკნელად, გამოვედი წონასწორობიდან.

**— ფედერაციის გადაწყვეტილება სამართლიანი იყო?**

— ჩემთვის ექვსი თვეც საკმარისი იყო, აღარაფერს ვამბობ შენგელიას შესახებ, რომელსაც უმკაცრესი განაჩენი გამოუტანეს.

**— ქართულ კალათბურთში კი აგეკრძალათ მოღვაწეობა, მაგრამ უფლება გქონდათ, კარიერა გაგეგრძელებინათ უცხოეთში...**

— შენგელია უცხოეთში თამაშობს. მე კი, რამდენიმე წინადადების მიუხედავად, შინ დარჩენა ვამჯობინე.

**— თქვენით დაინტერესებული გუნდების ან ქვეყნების შესახებ გვითხარით რამე?**

— ჯერჯერობით ვერ გაგიმხელთ.

**— არც არასდროს?**

— ალბათ, მომავალ საკალათბურთო სეზონში, როდესაც უცხოეთის რომელიმე გუნდში გავაგრძელებ კარიერას.

**— „დინამოში" თავს როგორ გრძნობ?**

— მშვენივრად.

**— სხვაგან წასვლას რომ აპირებ?**

— უცხოეთში და არა საქართველოს რომელიმე გუნდში.

**— გატყობ, რომ ჩვენს ჩემპიონატზე არ „გიჟდები".**

— რა არის აქ „გასაგიჟებელი"?

**— დაძაბული შეხვედრები ხომ მომრავლდა. 5-6 გუნდიც ისეთი მოგვიგროვდა, რომელთა მატჩის საბოლოო შედეგს ძნელად თუ გამოიცნობს კაცი...**

— გეთანხმებით, დაძაბული მატჩებია. მაგრამ თამაშის კლასი მაინც დაბალია.

**— „აზოტი" ცალი ფეხით უკვე პლეი ოფშია. თქვენი აზრით, დარჩენილ სამ ადგილს ვინ გაინაწილებს?**

— პირველ რიგში, „დინამო".

**— სატურნირო მდგომარეობა რომ არ აძლევს „დინამოს" ამის ასპროცენტიან გარანტიას?**

— „დინამოს" კალათბურთელთა განწყობა და ბოლო თამაშები იძლევა ამის გარანტიას.

**— იმ ოთხ გუნდზე რას გვეტყვით, რომლებიც პლეი ოფში მოხვედრის პრეტენზიას აცხადებენ?**

— მე მგონი, „ვითა" და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები გავლენ. თუმცა ბოლოდროინდელი თამაშით სტუ ამას არ იმსახურებს. ვგონებ, თსუ უკეთ გამოიყურება.

**— სდასუ-ს რას უწუნებთ?**

— მას ძალიან დიდი პრობლემები აქვს ცენტრში და მხოლოდ უკანა ხაზის იმედად არის. თუ უძილაურს სროლა არ წაუვიდა, გუნდის საქმეც წასულია. არა მგონია, ერთი კაცის იმედად სდასუ პლეი ოფში მოხვდეს.

**— საინტერესოა, როგორ მიიღეთ ხელის ტრავმა...**

— მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს თბილისში, ლატვიასთან მატჩისას მეტოქეს ბურთი წავართვი ზედ პირით ხაზზე. იგი მჭიდროდ მეთამაშებოდა, მუხლი ჩამიდგა, დავეცი და ხელი მომყვა ცუდად. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მოტეხილი მქონდა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი.

**— იმ ლატვიელის გვარი თუ გახსოვთ, რომელიც გიჭერდათ?**

— როგორ არა. შტელმახერსი იყო. სხვათა შორის, ლატვიაშიც ჩემს წინააღმდეგ თამაშობდა და საკმაოდ უხეშად.

**— საქართველოს ჩემპიონატებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გითამაშიათ ევროტურნირებსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში. თუ იყო შეხვედრები, რომლებიც დღემდე გახსოვს და არც დაგავიწყდება?**

— იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ცუდად მოსაგონარი. მეხუთე ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ 4-ჯერ დავამარცხეთ „ვითა". ფინალშიც დავწინაურდით, მაგრამ ბოლო ორი თამაშის წაგებით ჩემპიონობის სურვილი სურვილად დარჩა. დღესაც ვერ გავრკვეულვარ, თუ რა მოხდა.

მეორე კი, გასული ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი იყო, ასევე „ვითასთან", როდესაც მე და შენგელიას მოგვივიდა ჩხუბი მსაჯთან.

**როლანდ ლაბუჩიძე**



რეგულარული ჩემპიონატი

# ღმერთმა დაგიფაროთ სან ანტონიოს დაფარებისგან



5 აპრილი

**დეტროიტი 86:88 ინდიანა**

**დეტროიტი: დელი (19)**
**ინდიანა: მილერი (23)**

ინდიანას ბებერ და გამოცდილ გამთამაშებელ მარკ ჯექსონს ოჯახის ერთ-ერთი წევრი დაელუპა და თავისიანებს შეუთვალა, დეტროიტში უჩემოდ მოგიწევთ ასპარეზობაო. მართლაც რომ ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა და უჯექსონო ინდიანამ, სულ ერთი კვირის წინ თავისი მოცილე ცენტრალური დივიზიონის ცხრილში მეოთხე ადგილზე დააქვეითა. მატჩის დასაწყისში მასპინძლები დაწინაურდნენ, თუმც ბოლო წუთებზე სტუმრებს დაუთმეს უპირატესობა. ლარი ბერდმა, სტუმართა დამრიგებელმა, მოედანზე სათადარიგო ანტონიო დევისი (17 ქულა, 9 მოხსნა) შეუშვა და მანაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. დევისმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა ჩააგდო და ბოლო წამებზე მასპინძელთა ლიდერ გრანტ ჰილს (18 ქულა), რომელმაც მატჩის ბოლოსღა გამოიდო თავი, დაუფარა. ჰილს კიდევ ერთხელ მიეცა თავისიანთა ხსნის შესაძლებლობა, მაგრამ ორი წამით ადრე ააცილა და ის ბურთი სწორედ დევისის ლუკმა შეიქნა. ლარი ბერდმა შეგირდი აქო და ადიდა, ანტონიო ძლიერი მცველია, მერე რა, რომ ძირითადში არაა და სათადარიგოა, ჩვენში ხომ ეს პირობითიაო.

**მინესოტა 100:93 დალასი**

**მინესოტა: გარნეტი (18 ქულა, 9 მოხსნა)**
**დალასი: ტრენტი (26)**

მინესოტამ თავისი ერთ-ერთი ლიდერი ჯო სმიტი მოისაკლისა — მან ნეკნი დაიზიანა და რამდენიმე დღეა, თავისიანებს ვერ ეხმარება. სმიტი საკმაოდ ძლიერი თავდამსხმელია და კევინ გარნეტთან ერთად მინესოტას მთავარ დამრტყმელ ძალად ითვლება. მისი არყოფნით ფრთაშესხმულმა ტეხასელებმა კენტად დარჩენილ გარნეტს დაჩაგვრა დაუპირეს, მაგრამ ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე ძვირადღირებულმა კალათბურთელმა, რომელიც ასე თუ ისე ამართლებს გაცემულ ავანსებს, იქით დაჯაბნა სტუმართა ლიდერი მაიკლ ფინლი. დალასელი მატჩში საშუალოდ 18,5 ქულას აკეთებს, მაგრამ ახლა გარნეტმა ისე დააფრთხო, პირველი 11 სროლა ააცილა და 7 ქულასღა დასჯერდა.

**შარლოტი 71:77 ატლანტა**

**შარლოტი: ვესლი (18)**
**ატლანტა: ბლეილოკი (13)**

შარშანდელი პლეი ოფის პირველი წრიდან შარლოტმა ატლანტა კი გამოაპანღურა, მაგრამ „ჰორნეტსს" რეგულარულ სეზონში ყოველთვის უჭირდა ჯორჯიელებთან თამაში და ახლაც, ზედიზედ მეექვსედ დამარცხდა. ექსლეიკერსელმა, ახლა კი შარლოტის ლიდერად შერაცხულმა ედი ჯონსმა კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი — 7 ჩაჭრა გაიხერხა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა და 15 სროლიდან მხოლოდ 4 ჩაუშვა კალათში. საერთოდ, შარლოტი თავისივე უხეირობამ დაღუპა.

**ორლანდო 106:99 ბოსტონი**

**ორლანდო: არმსტრონგი (28), ჰარდევეი (24)**
**ბოსტონი: მერსერი (29), პირსი (23)**

ორლანდოელმა სათადარიგო დარელ არმსტრონგმა, რომელიც სეზონის მეექვსე მოთამაშის ტიტულის მთავარი პრეტენდენტია, უკანახაზელ ნიკ ანდერსონის არყოფნაში ძირითად ხუთეულში ითამაშა და ბოსტონს ბდღვირი ადინა. მან, გუნდის ლიდერ ანფერნი ჰარდევეისთან ერთად, მეორე მეოთხედი 18 ქულით მოიგებინა თავისიანებს და საქმე პირველ ნახევარში მოათავებინა.

**სან ანტონიო 93:86 გოლდენ სტეიტი**

**სან ანტონიო: რობინსონი (25 ქულა, 16 მოხსნა, 8 დაფარება), დანკანი (25 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება)**
**გოლდენ სტეიტი: სტარქსი (18)**

1981 წლის 24 თებერვალს სან ანტონიომ „გოლდენ სტეიტს" 20-ჯერ დაუფარა და გუნდის რეკორდი დაამყარა. სან ანტონიომ ამჯერად იმავე მეტოქეს „მხოლოდ" 17-ჯერ დაუფარა, მაგრამ იმდენჯერ, რამდენჯერაც სეზონში ჯერ ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა.

დევიდ რობინსონმა კი გულშემატკივრებს დაანახვა, ჯერ ისე არ დავჩაჩანაკებულვარ, „გოლდენ სტეიტთან" რამე შემეშალოსო და ტიმ დანკანთან ერთად ფარი დაიპყრო. ამასთან ადმირალს, რომელსაც ყმაწვილობისას ოთხმაგი დუბლი შეუსრულებია (ასეთი კალათბურთელი კი ლიგის ისტორიაში მის გარდა მხოლოდ სამია), ორად ორი დაფარება დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

**ლეიკერსი 117:104 დენვერი**

**ლეიკერსი: ბრაიანტი (26), რაისი (26), ონილი (20)**
**დენვერი: ვან ექსელი (41), ფორტსონი (21 ქულა, 12 მოხსნა)**

დენვერის გამთამაშებელი ნიკ ვან ექსელი, ლიგაში მეექვსე სეზონს დენვერში ატარებს, მაგრამ წინა ხუთში ლეიკერსში თამაშობდა. შარშან კლუბმა კონტრაქტი აღარ განუახლა და ისიც უსუსურ დენვერში გადავიდა. ვან ექსელს, ბუნებრივია, სურდა თავისი ყოფილი გუნდისთვის დაემტკიცებინა, რომ მისი გაშვებით დიდი შეცდომა დაუშვეს და ეს მშვენიერადაც მოახერხა: ლეიკერსს მან 41 ქულა ჩაუგდო და კარიერის რეკორდიც დაამყარა, თუმცა გუნდს ვერ გაამარჯვებინა, რადგან მის ძმაბიჭად დარჩენილმა კობი ბრაიანტმა 26 ქულიდან 17 ბოლო მეოთხედში ჩააგდო.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS შარლოტიდან

შარლოტი — ატლანტა. შარლოტელმა ელდენ კემპბელმა (მარცხნივ) ატლანტელ მარკ ვესტს (№41) ბურთი გააგდებინა



ბერნი ბიკერსტაფი: მეოთხე ვარ!

## ბიკერსტაფი მეოთხე მსხვერპლია

„ვაშინგტონ ვიზარდსის" გენერალურმა მენეჯერმა ვეს ანსელდმა ორშაბათს გაათავისუფლა მწვრთნელი ბერნი ბიკერსტაფი. ანსელდის თქმით: „ჩვენი გუნდი არ მიდის იმ გზით, როგორითაც გვსურს. ასეთი რთული გადაწყვეტილება ცხოვრებაში რამდენჯერმე მიმიღია, მაგრამ, მწვრთნელის შეცვლა სწორედ ახლა უნდა მომხდარიყო".

55 წლის ბიკერსტაფის ადგილს დროებით დაიკავებს მისი თანაშემწე ჯიმ ბროველი. თუმცა, ანსელდს უკვე შეუგულებია რამდენიმე კანდიდატი, რომელთაგანაც „ვიზარდსის" ახალი მწვრთნელს შეარჩევს.

ბიკერსტაფმა მუშაობა „ვაშინგტონში" დაიწყო: 1973-85 წლებში მწვრთნელის თანაშემწე იყო. 1985-90 წლებში — „სიეტლის" მწვრთნელი. 1994-95 წლებში — „დენვერის" მწვრთნელი. ამის შემდეგ, იმავე კლუბის გენერალური მენეჯერი იყო. სწორედ ამ თანამდებობიდან წამოიყვანა იგი ვეს ანსელდმა და 1997 წლის 10 თებერვალს „ვაშინგტონის" მწვრთნელად დანიშნა. ბიკერსტაფმა ამ გუნდში ყოფნისას 77 მატჩი მოიგო, 71 წააგო, ხოლო წინა სეზონში იგი პლეი ოფში გაიყვანა, პირველად 1988 წლის შემდეგ. სულ კი, კარიერაში 338 შეხვედრა მოიგო, 349 — წააგო.

ბერნი ბიკერსტაფის ბედი ამ სეზონში უკვე გაიზიარეს დელ ჰარისმა (ლეიკერსი, 26 თებერვალი), დეივ კოუენსმა (შარლოტი, 7 მარტი), ჯონ კალიპარიმ (ნიუ ჯერსი, 15 მარტი).

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 25 | 10 | 71,4 |
| მაიამი | 20 | 11 | 64,5 |
| ნიუ იორკი | 18 | 15 | 54,5 |
| ფილადელფია | 16 | 16 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 13 | 19 | 40,6 |
| ბოსტონი | 10 | 22 | 31,3 |
| ნიუ ჯერსი | 8 | 24 | 25,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 23 | 11 | 67,6 |
| ატლანტა | 22 | 13 | 62,9 |
| მილუოკი | 19 | 13 | 59,4 |
| დეტროიტი | 20 | 14 | 58,8 |
| ტორონტო | 18 | 14 | 56,3 |
| კლივლენდი | 16 | 15 | 51,6 |
| შარლოტი | 12 | 20 | 37,5 |
| ჩიკაგო | 10 | 23 | 30,3 |

### დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 23 | 8 | 74,2 |
| სან ანტონიო | 23 | 10 | 69,7 |
| ჰიუსტონი | 22 | 11 | 66,7 |
| მინესოტა | 20 | 13 | 60,6 |
| დალასი | 11 | 23 | 32,4 |
| დენვერი | 10 | 25 | 28,6 |
| ვანკუვერი | 6 | 27 | 18,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 26 | 6 | 81,3 |
| ლეიკერსი | 23 | 12 | 65,7 |
| სიეტლი | 16 | 16 | 50,0 |
| ფინიქსი | 15 | 18 | 45,5 |
| საკრამენტო | 14 | 19 | 42,4 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 19 | 42,4 |
| კლიპერსი | 3 | 29 | 9,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა





ქართველთა წარუმატებლობას სათავე ირლანდიელებმა დაუდეს

# ორი ნაბიჯი წინ, ერთი უკან

უელსში კვირას დასრულებულ ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალზელანდიელმა მორაგბეებმა იმარჯვეს, რომლებმაც ფინალში მშრალად — 25:0 მოუგეს მასპინძლებს. შარშანდელი ჩემპიონი ირლანდია მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. მან ბრინჯაო ნორჩ „ქურციკებს" დაუთმო 20:27.

ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველმა ჭაბუკებმა ოთხივე შეხვედრა წააგეს და გაისად B ჯგუფში იასპარეზებენ. არადა გასული ორი წლის განმავლობაში ჩვენმა ჭაბუკებმა ჯერ C ჯგუფში, მერე კი B-შიც იმარჯვეს და უმაღლეს ჯგუფში ალზევდნენ. წესითა და რიგით, უმაღლესი ჯგუფიდან ბოლოადგილოსანი უნდა გავარდნილიყო, მაგრამ მომავალი წლიდან შეჯიბრში მონაწილეობის სურვილი ოზებმა გამოთქვეს. აბა, მათ უარს როგორ ეტყოდნენ, ამიტომაც წლევანდელი გათამაშების ორ უარეს გუნდს მომავალ სეზონში B ჯგუფში მოუწევს თამაში. ანალოგიურად, მეორე ჯგუფიდანაც ორი გუნდი დაქვეითდა მესამეში.

ტურნირის პირველ შეხვედრაში ჩვენი ბორჯღალოსნები მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონ ირლანდიელებთან დამარცხდნენ 48:3, მერე კი ჩილელებთან წააგეს 7:11. ეს იყო ქართველთა საუკეთესო მატჩი ამ ტურნირზე. ბოლო წუთამდე ანგარიში 7:8 იყო და უპირატესობას ბორჯღალოსნები ფლობდნენ, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე დასანანმა შეცდომამ მათ გამარჯვება დააკარგვინა. მე-13 ადგილისთვის ორთაბრძოლაში იაპონელებთან მარცხს 20:35 ჩვენებურებმა კვირას პოლონელებთან წაგებაც 15:23 მიაყოლეს და ბოლო, მე-16 ადგილს დასჯერდნენ. ქართველებთან ერთად B ჯგუფში პოლონელებიც ჩამოქვეითდნენ. მათ ადგილს კი ავსტრალიასთან ერთად B ჯგუფის გამარჯვებული ესპანეთი დაიკავებს. ფინალში ესპანელებმა რუსებს სძლიეს 19:13. B-დან C ჯგუფში გადაინაცვლეს გერმანიამ და ბელგიამ, იქიდან კი მაროკო ალზევდა. ასე რომ, გაისად მაროკოსთან და პოლონეთთან ერთად საქართველოს ნაკრების მეტოქეები რუსეთი, ჩეხეთი, პორტუგალია, უკრაინა და პარაგვაი იქნებიან.

პაატა თოთაძე

# ევროპელთა ხვედრი

ქართველი ბორჯღალოსნების მძლეველი ტონგელი „ზღვის არწივების" მეტოქე რეპეშაჟის მეორე რაუნდში კორეელი მორაგბეები იქნებიან. ეს კვირას სეულში სამხრეთ კორეისა და ჰოლანდიის მორაგბეთა ნაკრებების დაპირისპირებამ გაარკვია. პირველ შეხვედრაში სამი კვირის წინ ამსტერდამში ჰოლანდიელებმა ერთქულიანი სხვაობით იმარჯვეს 31:30, საპასუხოში კი აზიელებმა 78:14 გაანადგურეს მეტოქე. მეორე წყვილი ურუგვაი — მაროკოა. აფრიკელები პირველი რაუნდისგან განთავისუფლებულნი იყვნენ, სამხრეთამერიკელებს კი მაროკოსთან შესახვედრად პორტუგალიის წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდათ. ურუგვაელებმა ორივე მატჩში იმარჯვეს: შინ 46:9, სტუმრად კი 33:24.

# სკოტების გასაჭირი

ხუთი ერის პირველობის ბოლო, მეხუთე ტურისთვის შოტლანდიელებს, რომლებსაც პარიზში ფრანგებთან მოუწევთ დაპირისპირება, გარკვეული პრობლემები შეექმნათ. საქმე ისაა, რომ ირლანდიელებთან მატჩში დაშავებულ ტომ სმიტს ორი დღის წინ ერიკ პეტერსი და სკოტ მიურეი მიჰყვნენ. ამ უკანასკნელმა ლავიწის ძვალი დაიზიანა, პეტერსმა კი მუხლი. არადა, ფრანგებთან გამარჯვების შემთხვევაში სკოტებმა შესაძლოა პირველობაც მოიგონ, ასეთ დროს კი წარმატებაზე ფიქრი ძნელია. თუმცა მწვრთნელ ჯიმ ტელფერს იმედი აქვს, რომ ფრანგების წინააღმდეგ სკოტ მიურეი მაინც ითამაშებს. მიურეი წლეულს ძალიან კარგ ფორმაშია და გუნდისთვის დიდი ძალაა. თუ იგი ვერ ითამაშებს, ტელფერს შემადგენლობაში დოდი ვეირის ხილვა სურს. სმიტის მაგივრად მან ჯორჯ გრემი გამოიძახა, პეტერსს კი სტიუარტ რეიდი შეცვლის. შოტლანდიელთა 23-კაციანი შემადგენლობა კი ასე გამოიყურება. მორკინალები: *სტივენ ბრაზერსტოუნი, გორდონ ბალოქი, პოლ ბარნელი, ჯორჯ გრემი, სტიუარტ გრიმსი, დევიდ ჰილტონი, მარტინ ლესლი, სკოტ მიურეი, ბაჯ პუნტნი, ენდი რიდი, სტიუარტ რეიდი, პიტერ უოლტონი, დოდი ვეირი.*
უკანახაზელები: *გარი არმსტრონგი, კრეგ ჩალმერსი, იან ფერლი, ჯონ ლესლი, კენი ლოგანი, შონ ლონგსტაფი, გლენ მეტკალფი, კამერონ მიურეი, ალან ტაიტი, გრეგორ თაუნსენდი.*

პაატა თოთაძე



# გაიტანით ქართული ჩოგბურთი

## ავლესოთ კალმები, კოლეგებო!

მილიონიანი საპრიზო ფონდები, სპორტული მანქანები, ერთი კონტინენტიდან მეორეზე ყოველკვირეული მოგზაურობა, ვარდების საწოლი, მილიონობით ქომაგი — ყველაფერი ეს ჩოგბურთია, ოღონდ არა ქართული. ეს უდარდელი სპორტი, ისევე როგორც ყველა სხვა, ჩვენთან, რა თქმა უნდა, შავ დღეშია.

ძნელი გამოსაცნობი არ არის, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის, ლეილა მესხის მიერ მოწვეული პრეზიდიუმის პირველი სხდომა ძირითადად რა პრობლემას შეეხებოდა — თანხებს, უფრო სწორად, მათ ნაკლებობას, რის გამოც წლეულს ITF-ის (ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია) მიერ სანქცირებულ 18 წლამდელთა საერთაშორისო ტურნირის ჩატარებაზე, ალბათ, უარის თქმა მოგვიწევს, ისევე როგორც ბევრ სხვა წამოწყებაზე.

1999 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის განხილვისა და რამდენიმე ვაკანტური თანამდებობისთვის პატრონის გამონახვის შემდეგ სხდომამ ჩვენი ქალთა და ვაჟთა ნაკრებების კაპიტნების, ლალი ზერეკიძისა და დავით კაჭარავას ინფორმაციები მოისმინა შესაბამისად ფედერაციის თასისა და დევისის თასისთვის გუნდების მზადების შესახებ.

**ლალი ზერეკიძე:**

— ფედერაციის თასის ევრო-აფრიკული ზონის I ლიგაში საასპარეზოდ გუნდი 14 აპრილს გაემგზავრება ესპანეთში. ჩვენთან ერთად იქ სულ 16 ნაკრები იქნება. კენჭისყრა 18-ში მოეწყობა, 4 ქვეჯგუფად გავნაწილდებით და 19-ში უკვე პირველი მატჩებიც ჩატარდება. გუნდის სამი წევრი უკვე შერჩეული გვყავს. ესენი იქნებიან — ნინო ლუარსაბიშვილი, მაკა ჩახნაშვილი და თამრიკო კიკალეიშვილი, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს. ვფიქრობ, ტურნირისთვის შეძლებისდაგვარად კარგად ვართ მომზადებული — ნოემბრიდან მოყოლებული, აკადემიის კორტებზე ვვარჯიშობდით და ინვენტარისა თუ სპარინგ-პარტნიორების მხრივაც არანაირ პრობლემას არ განვიცდიდით. გუნდს საერთო ეკიპირება ჯერჯერობით არა აქვს, მაგრამ ადგილზე ჩასვლისას შევიძენთ.

**დავით კაჭარავა:**

— დევისის თასის შესარჩევი ტურნირი 7-13 ივნისს ესტონეთში გაიმართება. 8 გუნდი ორ ქვეჯგუფადაა დაყოფილი და უკვე ვიცით ჩვენი უშუალო მეტოქეების ვინაობა — სომხეთი, ლიტვა და კენია. სამწუხაროდ, დღეს გავიგეთ, რომ ამერიკაში მყოფი ირაკლი ლაბაძე ჩვენთან ერთად არ ითამაშებს (ამ ცნობას დამსწრეთა არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა). მას შესაძლებლობა მისცეს, უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირში მიეღო მონაწილეობა და ამისთვის მომზადება არჩია. ასე რომ, საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით: გუნდში ერთი ადგილი ირაკლი უშანგიშვილს დაბევებული აქვს, მაგრამ ლაბაძის სრულფასოვნად შემცვლელი ნამდვილად არა გვყავს და გამოუცდელი ახალგაზრდებიდან მოგვიხდება ვინმეს წაყვანა — კანდიდატები, ალბათ, რევაზიშვილი, ცერცვაძე, ჩიხლაძე იქნებიან. იძულებული ვართ, დახმარება ისევ ჩვენს ვეტერანს, ვლადიმერ გაბრიჩიძეს ვთხოვოთ. თუ დაგვთანხმდება, გუნდის ლიდერიც ის იქნება.

იქვე მყოფ გაბრიჩიძეს თავპატიჟი, საბედნიეროდ, არ დაუწყია. 31 წლის ჩოგბურთელმა, რომელსაც დევისის თასზე ჩვენი გუნდისთვის არაერთხელ გაუწევია დახმარება, ვარჯიშსა და ესტონეთში წასვლაზე თანხმობა განაცხადა, ოღონდ წესიერად მომზადებისთვის 2-3 სატელიტზე თამაშის შესაძლებლობა ითხოვა.

სხდომაზევე გადაწყდა პატარა ჩოგბურთელთათვის ლიცენზიების შემოღების საკითხი. ისედაც ჯიბეშეთხელებულ მშობლებს ეს ამბავი იქნებ მაინცდამაინც არ ეამოთ, მაგრამ ამიერიდან იუნიორთა ტურნირებზე მონაწილეობისთვის ჩოგბურთელებს ყოველწლიური ფასიანი ლიცენზიების აღება დასჭირდებათ. თუმცა, გამშვიდებთ, ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მათი ფასი მკბენარა ნამდვილად არ იქნება — 10-12, 12-14 და 14 წელზე უფროსთა კატეგორიებისთვის შესაბამისად 10, 20 და 30 დოლარი. შეგროვილი თანხა ძირითადად ისევ პატარა ჩოგბურთელებს მოხმარდება და ფედერაციაც ცოტათი ამოისუნთქებს.

ალბათ, მიხვდებით, სხდომის დამთავრების შემდეგ რას ვკითხავდით ლეილა მესხს.

**— ITF-ი საკმაოდ მდიდარია, ნუთუ თავის წევრებს ასე მცირედით ეხმარება?**

— ITF-ის წლიური მატერიალური დახმარება ჩვენთვის 11500 დოლარით ამოიწურება, რაც ძირითადად მათივე მითითებულ მიზნებს უნდა მოხმარდეს. სამაგიეროდ, ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მთავარ სპონსორს, ფირმა „ალდაგს", რომელიც ყოველმხრივ გვეხმარება. ვერ დავუკარგავ დამსახურებას სპორტის დეპარტამენტსაც, რომელმაც ბიუჯეტის მნიშვნელოვნად შემცირების მიუხედავად, ჩვენთვის მაინც გამონახა გარკვეული თანხები.

**— მართალია, ბათუმის ქალთა ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათას დოლარამდე გაიზარდაო? ეს ხომ ჩვენთან პირველი ასეულის წარმომადგენლების ჩამოსვლას მოასწავებს.**

— დიახ, ამისთვის საჭირო თანხები ასლან აბაშიძის ფონდიდან გამოიყო. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, რომ მსგავსი ტურნირების ჩატარება აუცილებელია ჩვენი ჩოგბურთის განვითარებისთვის. მოზარდებს საშუალება ეძლევათ, უშუალოდ იხილონ პროფესიონალები, გაეჯიბრონ მათ და საკვალიფიკაციო ქულებიც დააგროვონ — ტურნირზე ხომ 6 ქართველისთვის გამოიყოფა ადგილი.

ბოლოს კი, გურამიშვილის პრინციპით, ყველაზე ტკბილი ამბავი: ჩოგბურთის თემაზე საუკეთესო პუბლიკაციის ავტორისთვის პრიზი „ოქროს კალამი" დაწესდა. ვინაიდან სპორტული გამოცემების და მით უმეტეს, ჩოგბურთზე მწერალთა რიცხვი ფრიად და ფრიად მცირეა, ამ წერილის ავტორი წინასწარ ილესავს კბილებს.

ავთანდილ სვანიძე



# კერპთა მსხვრევა

ფლანდრიელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „ტურ დე ფლანდრის" გამარჯვებული სამეულიდან სამივე მათი თვისტომი იყო. თანამემამულეთა გამამხნევებელი შეძახილების თანხლებით საგზატკეცილო რბოლის მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი პეტერ ვან პეტეგენმა მოიგო (TVM). 270კმ-იანი მომქანცველი გზის ფინიშზე მეორე ფრანკ ვანდენბრუკი („კოფიდისი"), მესამე კი იოჰან მუსეუვი („მაპეი") მივიდნენ.

რბოლის ბედი „გრამონის კედელთან" გადაწყდა, მაშინ, როცა ველომრბოლელებს 17 კმ-ლა რჩებოდათ გასავლელი. ტრასის ბოლოსწინა, მეთხუთმეტე აღმართის დასაწყისში ვანდენბრუკი და დანიელი როლფ სორენსენი („რაბობანკი") მოსრიალდნენ და პატარა არეულობაც გამოიწვიეს. ამით კი მშვენივრად ისარგებლეს ვან პეტეგენმა და მუსეუვმა და იერიში წამოიწყეს. ისინი ნელ-ნელა შორდებოდნენ დანარჩენებს, რომელთაგან თითქოს არავის სურდა წინწასულებს გამოჰკიდებოდა.

ვერბეკამდე, სადაც ფინიში იყო, მანძილი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა და გზებზე გამოფენილი გულშემატკივრებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ორი ფლანდრიელის ორთაბრძოლაში არავინ ჩაერეოდა. მაგრამ ასე არ ფიქრობდა ვანდენბრუკი, რომელმაც მსოფლიოს თასის პირველი ეტაპის (მილანი-სან რემო) გამარჯვებული ანდრეი ჩმილი (ბელგია, „ლოტო") და მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ნომერი იტალიელი მიქელე ბარტოლი („მაპეი") აიყოლია და თანამემამულეებს კვალში ჩაუდგა.

ლიდერთა დუეტის დაწევა ვანდენ ბრუკმა მხოლოდ „გრამონის კედელთან" შეძლო, მისმა ამფსონებმა კი — ვერა. სპრინტში კი ვან პეტეგენმა იოლად გაიმარჯვა, რადგან ვანდენბრუკმა დიდი ძალა დახარჯა, მუსეუვი კი ადრინდელივით ძლიერად ველარ გამოიყურება.

ბელგიის ჩემპიონი, რომელსაც „ტურ დე ფლანდრი" წარსულში სამჯერ მოუგია, მესამე ადგილითაც საკმაოდ კმაყოფილი დარჩა: „შარშან პარიზ — რუბეს დროს მიღებული ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა ვიბრუნებ ჩვეულ ფორმას და დღეს ლიდერებს შორის ბოლო ადგილზე გასვლა ნამდვილად არ მწყინს."

ვან პეტეგენს კი პირველობაზე მეტად თავისი კერპის — იოჰან მუსეუვის დამარცხება გაუხარდა. მასზე მხოლოდ ოთხი წლით უფროსი მუსეუვი TVM-ის მრბოლისთვის მუდამჟამს მისაბაძი მაგალითი ყოფილა და მისი ძლევაც ყოველთვის ოცნებად ჰქონია.



ვან პეტეგენი

„ვიმედოვნებ, რომ ერთ დღეს მის ძალას, ჭკუასა და რბოლის წარმართვის უნარს ერთად შევიძენ" — უთქვამს ვან პეტეგენს რამდენიმე წლის წინ. ეს „ერთი დღეც", ალბათ, კვირას, ბრიუგესა და მეერბეკს შორის გამართული რბოლის დროს დადგა. მსოფლიოს თასის მესამე ეტაპი პარიზი — რუბე 11 აპრილს გაიმართება.

გაიოზ თალაკვაძე

საბოლოო შედეგები: 1. ვან პეტეგენი (ბელგია, TVM) — 6 სთ და 15 წთ; 2. ვანდენბრუკი (ბელგია, „კოფიდისი") — იგივე დრო; 3. მუსეუვი (ბელგია, „მაპეი") — ჩამორჩა 1 წამით; 4. ბარტოლი (იტალია, „მაპეი"); 5. სპრუში (პოლონეთი, „ლამპრე"); 6. ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი"); 7. ჩმილი (ბელგია, „ლოტო"); 8. ჰოფმანი (ჰოლანდია, TVM); 9. ძანეტი (იტალია, „პოლტი"); 10. მიკელსენი (დანია, „ფრანსეზ დე ჟე").

—— სამბო ——

# შიმშილითა შენითა...
## სამბისტებმა სპორტის დეპარტამენტი მტკივნეული ილეთით დაიყაბულეს


ოლეგ იაძე


ნაშიმშილარი სამბისტები ეროვნულ სტადიონს სტოვებენ

გურამ წიბახაშვილის ფოტო

ქართულ სპორტში უპრეცენდენტო შემთხვევა მოხდა — ორშაბათს საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა სახელობის ეროვნულ სტადიონზე შიმშილობა გამოაცხადა. ისინი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისგან ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელ თანხას და მანამდე მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში ერთი შეკრების მოწყობას ითხოვდნენ. დეპარტამენტი ვერც ერთის გარანტიას იძლეოდა და ვერც მეორისას, მით უფრო, რომ სამბო არაოლიმპიური სახეობაა. რადგან საშველი არ ჩანდა, სამბისტებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს, თან დაიმუქრნენ, თუ ფულს არ მოგვცემენ, შიმშილობას პირადად დეპარტამენტის თავმჯდომარის კაბინეტში ან მის მისაღებში გავაგრძელებთო.

ვერ გეტყვით, ამ მუქარით შეაშინეს დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, თუ მათმა საცოდაობამ შეძრა ვინმე ხსენებულ უწყებაში (ეს კია, რომ მათგან სამბისტებთან არავინ მისულა), მაგრამ ფაქტია, რომ გაფიცულებმა საწადელს მიაღწიეს.

გუშინ მოშიმშილეებს ქალაქის მაღალჩინოსანთა დავალებით თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა შეხვდა, რომელმაც თანადგომის დაპირებასთან ერთად ძალისში სასწავლო-საწვრთნელი შეკრების მოწყობაც აღუთქვა მათ 12 აპრილიდან. თავის მხრივ, დეპარტამენტმა სპორტსმენების ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების დაფინანსება იკისრა. ჩემპიონატი 25 აპრილს იწყება სოფიაში.

გუშინვე მოშიმშილეებმა შეწყვიტეს საპროტესტო აქცია და დაიშალნენ. მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ შეგირდები უკვე დღეისთვის დაიბარა სავარჯიშოდ. ისინი ამ დრომდეც ხომ ენთუზიაზმზე შრომობდნენ და ასეთივე შემართებით ემზადებიან ევროპაში გასამგზავრებლად.

ეს დეპარტამენტის წინააღმდეგ ამბოხების და სასურველი შედეგის ასე მიღწევის პირველი შემთხვევაა. ამ ტრაგიკომიკური ამბის გაგრძელება მომავალშიც მოსალოდნელია, ოღონდ სამბისტებს სხვები შეცვლიან. ბიუჯეტშეკვეცილი დეპარტამენტი ხომ ძლივს აკმაყოფილებს სპორტის სხვა სახეობებსაც ან, სამბისტთა მსგავსად, საერთოდ არ აფინანსებს. ჰოდა, ამათაც ხელს რაღა შეუშლით. მით უფრო, ყამირი სამბისტებმა უკვე გატეხეს.

**ირაკლი თავაძე**

—— ფიგურული სრიალი ——

# ჯაფარიძემ მსოფლიოს ჩემპიონი დაგვიკარგა
## სამაგიეროდ, შარშანწინდელ ევროპის ჩემპიონს გვპირდება


ირაკლი ჯაფარიძე

გურამ წიბახაშვილის ფოტო


ვახტანგ მურვანიძე

გურამ წიბახაშვილის ფოტო

ფიგურულად მოსრიალეთა ჰელსინკის მსოფლიოს პირველობა უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ფინეთის დედაქალაქში მიმდინარე პაექრობას ჩვენც განსაკუთრებული ყურადღებით ვუცქერდით — იქ ხომ ვახტანგ მურვანიძეც ასპარეზობდა. საბოლოოდ მან მე-17 ადგილი დაიკავა, რაც მისთვის ამჟამად ურიგო შედეგი არაა. ახლახან მურვანიძეც და თბილისის საციგურაო სკოლის დირექტორი ირაკლი ჯაფარიძეც თბილისში დაბრუნდნენ.

**— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებდით ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატს?**

— მე, როგორც მწვრთნელი, ბევრ მსოფლიოს პირველობაზე ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი ძლიერი და დაძაბული ტურნირი არ მინახავს. ასევე აფასებდნენ მას სხვა უცხოელი სპეციალისტებიც.

ეს ჩემპიონატი რუსთა სრული უპირატესობით წარიმართა და ასევე დასრულდა. სპორტის ამ სახეობის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ყველა — ოთხივე ოქროს მედალი მათ მოიპოვეს. ასევე პირველად, ქალებში რუსმა — მარია ბუტირსკაიამ გაიმარჯვა. ამაში გასაკვირი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ქალაქის ირგვლივ 18 უზარმაზარ სპორტკომპლექსს აშენებს მხოლოდ ზამთრის სპორტის სახეობებისთვის. უახლოეს ხანებში კიდევ 22-ის აგება განუზრახავს. მის წამოწყებას თვით ქვეყნის პრეზიდენტი ბორის ელცინიც კი მიესალმა. ერთი სიტყვით, რუსეთში ახლა სპორტის ამ სახეობის ბუმია და ეს ყურადღება, ხელშეწყობა, ბაზები თუ პირობები ერთად აღებული თავის შედეგს იძლევა.

**— მოდით, რუსებს თავი დავანებოთ და მურვანიძეზე ვისაუბროთ.**

— ვაჟთა შეჯიბრში 41 ფიგურისტი მონაწილეობდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ვახტანგი თავის 21-კაციან ჯგუფში მე-9 იყო, საერთო ჯამში კი მე-18 შედეგი აჩვენა. ნახევარფინალში კი 30 კაცი გადიოდა, სადაც მოკლე სავალდებულო პროგრამით სრიალებდნენ. ჩემპიონატი იმდენად მაღალი დონისა იყო, რომ კიდეც გვეშინოდა, ნახევარფინალის მიღმა არ დავრჩენილიყავით. მაგრამ ვახტანგმა კარგად ისრიალა, თუ ერთ პატარა შეცდომას არ ჩავთვლით. მან მე-17 ადგილი დაიკავა და ფინალში გავიდა. იქ კვლავ ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობენ. მურვანიძე ფინალშიც მე-17 იყო 24 მონაწილეს შორის და საბოლოოდაც ამ ადგილზე დარჩა.

ძნელია მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად მაღალ დონეზე იასპარეზო. მთავარია, ძალები ისე გაანაწილო, რომ უმნიშვნელოვანეს სპორტულ შეჯიბრებებს სრულ მზადყოფნაში შეხვდე. სწორედ ასე, ყოველმხრივ მომზადებული იყო მურვანიძე ზაგრების იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის წინაც სადაც მეხუთეზე გავიდა და ამ ჩემპიონატზეც. აი, ევროპაზე კი ხელი მოეცარა. იქიდან ვახტანგმა და მისმა მწვრთნელმა იგორ რუსაკოვმა საჭირო დასკვნებიც გამოიტანეს და ჰელსინკში სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს მისი წინსვლა. მან განსაკუთრებით მხატვრულ ოსტატობაში მოუმატა. ითქვა, რომ ყველაზე კარგად კონტაქტს მაყურებელთან სწორედ იგი ამყარებდა. მურვანიძემ ინდივიდუალური სახე და თვითმყოფადობა წარმოაჩინა.

**— შეეძლო თუ არა მურვანიძეს ფინალში უკეთ გამოსვლა? იგი ხომ რამდენიმე ადგილით წაიწევდა წინ...**

— არ შეეძლო, რადგან ფიგურული სრიალის დონე საგრძნობლად ამაღლდა. თავად განსაჯეთ, დღეს ოთხმაგ ბრუნს უკვე 13 კაცი აკეთებს, მურვანიძე კი ამ დონის ჯერ არაა.

**— მურვანიძე თუ ვერა, ჰელსინკში ქართველი მაინც გახდა მსოფლიოს ჩემპიონი... ანტონ სიხარულიძეზე საერთოდ არაფერი ვიცით. იქნებ თქვენ გვითხრათ რაიმე.**

— ანტონ სიხარულიძე ოცი წლისაა, სანკტ პეტერბურგში დაიბადა. დედით რუსია. მამა პროფესიით სამხედროა. მშვენივრად საუბრობს ქართულად და ყოველთვის გულთბილად გვხვდება. მეგობრობს მურვანიძესთან. ძალიან უნდა თბილისში ჩამოსვლა. ჰელსინკში გამეხუმრა, რუსეთმა რომ უარი მითხრას, საქართველოს სახელით ხომ შემიძლია გამოვიდეო. სხვათა შორის, 1992-93 წლებში მართლაც იყო ლაპარაკი ანტონის საქართველოში გადმოსვლაზე. ამ წინადადებით თავად მოგვმართა. მაშინ მე ჩემი პოზიცია მქონდა. მინდოდა, ჩვენი აღზრდილებით გამოვსულიყავით და უარი ვუთხარი. ეს ალბათ შეცდომაც იყო, რასაც ახლა ვნანობ.

**— ახლაც ხომ არაა მისი გადმოყვანის შანსი?**

— დღეს არა. სამაგიეროდ, გასახარს სხვას გეტყვით — ჩვენი ნაკრების სახელით ასპარეზობის სურვილი რუსმა ირინე სლუცკაიამ გამოთქვა. შარშანწინ იგი ევროპის ჩემპიონი გახდა, შარშან კი მინეაპოლისის მსოფლიოს პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. ყოველ ქვეყანას თითოეულ სახეობაში მაქსიმუმ სამი სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვს, ის კი წლეულს რუსეთში მეოთხე იყო და ამიტომ ვერ მოხვდა ნაკრებში. თუ ჩვენი ქვეყნების ფედერაციები შეთანხმდებიან, ამჯერად წინააღმდეგი აღარ ვიქნები. ბოლო-ბოლო, ის გუნდის ლიდერი იქნება. სხვათა შორის, ასეთივე წინადადებით ამერიკელებმაც მოგვმართეს.

**— სამომავლო გეგმები?**

— წლევანდელი სეზონი თითქმის დამთავრდა. უახლოეს დღეებში სომხეთში იქაურთა ნაკრებთან გაჯიბრებას ვაპირებთ. ჩვენი უმთავრესი მიზანი ოლიმპიადაში მონაწილეობაა. ლიცენზიები 2001 წელს გათამაშდება ავსტრალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე, 24 ფინალისტს შორის. ვიმედოვნებთ, კაცებში მურვანიძე ან ბესო ცინცაძე მაინც მოიპოვებენ სოლტ ლეიკ სიტიში წასვლის უფლებას. ქალებში, თუ სლუცკაია არ ჩამოვიდა, კანდიდატი არ ჩანს. მისი ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი ამ დღეებში გაირკვევა.

თბილისში უკვე დავიწყეთ მარტივი ტიპის საციგურაო მოედნის მშენებლობა, რომელსაც ქართველებთან ერთად უცხოელებიც აფინანსებენ. თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი მოედანი აიგება და ჩვენს სპორტსმენებს აღარ მოუწევთ მოსამზადებლად უცხოეთში წასვლა.


ანტონ სიხარულიძე, ელენა ბერეჟნაია და ვახტანგ მურვანიძე

**ვახტანგ მურვანიძესთან** საუბარი მისი პირველი სპორტული ნაბიჯების გახსენებით დავიწყეთ.

— 4 წლისაც არ ვიყავი, თბილისის საციგურაო სკოლაში ლეილა დოლიძესთან რომ დავიწყე ვარჯიში. 10 წლიდან მოსკოვში ვვარჯიშობ იგორ რუსაკოვთან.

**— ჰელსინკში ხომ არ გაგიჭირდა ან მეტის მიღწევა თუ შეგეძლო?**

შეძლებით მეტი, ალბათ, კი შემეძლო, მაგრამ მთელი თვე მარტო ვემზადებოდი, რადგან ჩემი მწვრთნელი ავადაა და საზღვარგარეთ მკურნალობს. შარშანდელი სეზონი მყესის გაწყვეტის გამო გამიცდა. წლეულს ფორმის აღდგენა მოვახერხე, მაგრამ ძალიან გადავიღალე. საბედნიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ძალების მოკრება მაინც მოვახერხე.

**— ოლიმპიადაზე რას იტყვი?**

— ოლიმპიადა ჩემთვის უმთავრესია და იქ წარმატებული გამოსვლისთვის ყველაფერს ვაკეთებ.

**— მსოფლიოს უძლიერეს ფიგურისტებთან ბრძოლა რომ შეგიძლია, ჰელსინკშიც დაამტკიცე, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე სუსტი ასპარეზობის მიზეზი რა იყო?**

— ძალები ვერ გავანაწილე და ევროპის ჩემპიონატს გადაღლილი შევხვდი. ზაგრების იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კარგ ფორმაში ვიყავი და წესით, უნდა დამესვენა. მაგრამ მე ძველებურად გავაგრძელე ვარჯიში და უბრალოდ, გადავიწვი. ასე რომ არა, ევროპაზე, ალბათ, სეზონის საუკეთესო შედეგს ვაჩვენებდი, რადგან სამნახევარ — სამიან კასკადს თავისუფლად ვასრულებ. ახლა ოთხმაგ ნახტომზე ვვარჯიშობ, რომელიც ცუდად არ გამომდის.

**ირაკლი თავაძე**

# მამალ კენგურუებს ჩამავალი მთვარის ქალები გაეკიდნენ

ჰონკონგის 25-მეტრიან აუზში გამართული ცურვის მსოფლიოს ჩემპიონატი ავსტრალიელთა სრული ტრიუმფით გასრულდა. კენგურუსქვეყნელებმა, ისევე როგორც 1997-ში, გიოტებორგის მსოფლიოს პირველობაზე, ამჯერადაც ცხრა ოქროს მედალი მოინადავლეს, ხოლო საერთო ჩათვლაში სულაც დიდოსტატურ 27-ერთეულა მაჩვენებელს შესწვდნენ.

ავსტრალიელთა ამ შთამბეჭდავი წარმატების მიზეზებად, საკუთრივ იქაურ ათლეტთა გამორჩეული სიჩაუქის გარდა, მცოდნე ხალხი ჰონკონგში ამერიკელ ჩემპიონთა უმეტესი ნაწილის ჩასვლელლობასა და დოპინგ-სკანდალებით შეჭირვებულ ჩინეთის ნაკრებში არსებულ ალრეულ ვითარებას ასახელებს. თუმცა, რამდენადაც ამ მიზეზთა შორის უმთავრესად მაინც თავად ავსტრალიელთა გარჯა და ამაგი მიიჩნევა, პირველობისშემდგომ მიმოხილვათა უმეტესობასაც სწორედ ამ თემაზე საუბრით იწყებენ. ჩვენც, რალა ბევრი გავაგრძელოთ და, ამითვე დავიწყოთ.

თუკი ვინმე უპირველესად მოხსენიებას იმსახურებს, ეს 18 წლის გრანტ ჰეკეტი და მისი 16 წლის სპარინგ-ძმაკაცი იან თორპი არიან. პირველმა 400მ-ზე თავისუფალი სტილით ცურვისას მეორის შარშანდელ 3:39.82-იან მსოფლიოს რეკორდს ერთბაშად 3:35.01-მდე უქცია ლრანჭი. მეორემ კი 200მ-ზე იმავე სტილით იტალიელი ჯორჯო ლამბერტის 9 წლის წინანდელი სწორუპოვარი 1:43.63 წუთი 1:43.28-ზე ჩაიყვანა. ჰეკეტსა და თორპს, ყოველგვარი ლოგიკის თანახმად თავისუფალი სტილით 4X200-ზეც უნდა ემარჯვათ, მაგრამ მათი შემცვლელების მიერ შესარჩევ ეტაპზე დაშვებულმა შეცდომამ, გეხსომებათ კიდეც, ავსტრალიის ბრწყინვალე ვაჟთა ნაკრები ფინალის გარეთ დატოვა.

თუმცა მათი წარუმატებლობა ორმაგად ზღვეს 4X100-ზე „კომპლექსურად" მოესტაფეტე მათმა ვაჟმა თანამემამულეებმა (მეტ ველში, ფილიპ როჯერზი, მაიკლ კლიმი და ქრის ფიდლერი), რომელთაც თავიანთი ორი წლის წინანდელი, გიოტებორგული რეკორდი (3:30.66) გააუმჯობესეს (3:29.88). თავად ჰეკეტმა კი მოგვიანებით, თავის უსაყვარლეს 1,5 კმ-იან ბილიკზეც ინავარდა და ტოლი ვინმეს არც ამჯერად დაუდო. ინდივიდუალურად ასევე გამოირჩნენ მეთიუ დანი — 200 და 400 მ „კომპლექსებში" შენარჩუნებული ტიტულებითა და ბებერი ფილ როჯერზი — ბაყაყურით მოგებული 200 მ-ით. 200 მ-ზე თავისუფალი სტილითა და 100 მ-ზე ბატერფლაით მსოფლიოს ჩემპიონი მაიკლ კლიმი კი, ვაგლახ, მხოლოდ ვერცხლის სამ ნაჭერს დასჯერდა. ბატერფლაითა და კროლით დასაფარ 100 მ-იან დისტანციებზე მას შვედ ლარს ფროლანდერთან ქედის მოხრა მოუხდა.

ერთი სიტყვით, ავსტრალიელებმა დიდებულად იცურავეს და სიდნეის საგაისო ოლიმპიადისთვისაც ჩინებული განწყობა შეიამხანაგეს. მაგრამ მათი ნაკრების მედიადირექტორის, ვინმე იან ჰენსონისა არ იყოს, სიდნეიში ყველა კბილებამდე შეიარალებული ჩავა, ხოლო ამერიკელები და ჩინელები კი უკვე ამთავითვე ირწმუნებიან, რომ მათი ჰონკონგური მონაგარის სიმცირემ არავინ არ უნდა შეაცდინოს.

„ჩვენ ახლა მოცურავეთა ახალ თაობას ვავარჯიშებთ... მომავალი წლის ივლისისთვის ბევრი მათგანი უკვე შებერტყილი და დაფრთიანებულიც იქნება" — ასე დაუქადნია ჩინელთა ცურვის ასოციაციის მავან წარმომადგენელს. ამ დანაქადებს ჩვენ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ჩინელთა ერთადერთი ოქრო ამ ჩემპიონატზე 16 წლის ჩენ ჰუას ანგარიშზე გადაირიცხა — ტურფა ჩენმა 800 მ-ზე თავისუფალი სტილით იმარჯვა.

ახლა ამერიკელებზე:

გარე სამყაროსთვის რალაც უცნობი მიზეზის გამო, 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის დომინანტმა საცურაო ძერჟავამ, თავის საჩემპიონო შემადგენლობა ლამის მთლიანად შინ დატოვა და ოკეანის გაღმა მხოლოდ მრავალგზის და მრავალგან აკვარცხლბეკებული ჯენიფერ თომპსონი წაიყოლა. ჯენიმაც ჩვეული ამერიკული სილალით იჭყუმპალავა და მართალია, 50 მ-ზე თავისუფალი სტილით ასპარეზობისას მხოლოდ ჰოლანდიელ ინგე დე ბრუინთან დათმო, მაგრამ სანაცვლოდ 100 მ-ზე თავისუფალი სტილით პლუს 50 და 100 მ-ზე ბატერფლაით ყველას აჯობა და თავისი ქვეყნის ოთხივე მედალი პირად გრაფაში ჩაიწერა. რომ ალარაფერი ვთქვათ მის მიერ 100 მ-ზე „კომპლექსურად" დამყარებულ მსოფლიოს რეკორდზე, ჰონკონგში პირველად რომ ჩამოსცილდა 1-წუთიან მიჯნას და, რომელიც შესაბამისი ოქროთი მხოლოდ იმიტომ ალარ დაგვირგვინდა, რომ ჯენიმ სამეორდლეო ბატალიებისთვის მოსვენება არჩია.

დაბოლოს — ქება და დიდება იაპონელ ქალებს!

ამომავალი მზისა და ჩამავალი მთვარის ქვეყანამ მეზობლებთან მცირე რამ ოთხქალიან + ერთკაციანი დელეგაცია წარგზავნა. ამ დელეგაციამ კი, უწინარესად მასში შემავალ დედაკაცთა მეოხებით, იმდენი შეძლო, რომ პირველობის საერთო ჩათვლაში მეორე საფეხური დაიკავა. გმირები მასამი ტანაკა და მაი ნაკამურა გამოდგნენ. პირველმა ბაყაყურით გასაბაყაყურებელი 50, 100 და 200 (მსოფლიო რეკორდი) მეტრიანი ბილიკები შეიშნოვა, მეორემ — გულალმა გადასალახი 100 და 200 მეტრი, ორივე ერთად კი (აიომა აიარისა და სუმიკა მინამიშტის თანხლებით) სამშობლოს დიდებას 4X100 „კომპლექსურ" ესტაფეტაზეც შეეხიდა, სადაც 1993 წელს ჩინელთა მიერ დამყარებული რეკორდიც (3:57.73) ჩაპარსეს (3:57.62).

**ლევან ბელაურაძე**



გრანტ ჰეკეტი




მასამი ტანაკა

### ქვეყნების მონაგარი

| | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| ავსტრალია | 9 | 11 | 7 |
| იაპონია | 6 | 2 | 1 |
| ბრიტანეთი | 4 | 5 | 4 |
| შვედეთი | 4 | 4 | 3 |
| აშშ | 3 | 1 | 0 |
| სლოვაკეთი | 3 | 0 | 0 |
| ჰოლანდია | 2 | 3 | 5 |
| უკრაინა | 2 | 1 | 1 |
| კუბა | 2 | 0 | 0 |
| ჩინეთი | 1 | 3 | 2 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 |
| რუსეთი | 1 | 0 | 3 |
| დანია | 1 | 0 | 2 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 |
| კანადა | 0 | 3 | 5 |
| ს. აფრიკა | 0 | 3 | 0 |
| პოლონეთი | 0 | 1 | 2 |
| იტალია | 0 | 1 | 1 |
| არგენტინა | 0 | 1 | 0 |
| ესპანეთი | 0 | 0 | 2 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 2 |



# ბებრებზე, ახალგაზრდებზე...

ისინი უკვე ასაკოვანნი არიან. 60 წლის იუბილე ორივემ გადაიხადა, ერთმა პარიზში, მეორემ — ჟენევაში ან სადმე ახლომახლო, მაგრამ არც ერთია შვეიცარიელი და არც მეორე — ფრანგი; ორივენი ექს-ლენინგრადის ექსშვილები არიან, ორივემ ბავშვობა ნევისპირას გაატარა და უნივერსიტეტის სრული კურსიც მშობლიურ ქალაქში გაასრულა. მათი შემდგომი ცხოვრების სცენარიც თითქმის იდენტურია: ბრძოლა ზეწინალობებთან, რომელთა ბოლოშიც მეფის მიმზიდველი ტახტი ილანდებოდა, კონფლიქტები ჭადრაკის იმ სისტემის მარწუხებთან, ძმური საბჭოთა კავშირი რომ ერქვა, გაქცევა. და ბოლოს რენეგატის ტიტული და დევნილის ხვედრი უცხო, მაგრამ ერთობ კეთილგანწყობილ ქვეყნებში.

დრო შეიცვალა და დღეს ვილას მოუბრუნდება ენა, ბორის სპასკისა და ვიქტორ კორჩნოის მოლალატე დაუძახოს, პირიქით, მათ ახლა ისტორიულ უსამართლობასთან მებრძოლებად მიიჩნევენ აქედან გამომდინარე ყველა შესაფერისი პატივგებით და ეს უკანასკნელებიც, ადრე თავიანთი ქვეყნისკენ გამოხედვაც რომ არ უნდოდათ, ახლა რუსეთში, მშობლიური უნივერსიტეტის 275 წლის იუბილეზე სიამოვნებით ჩამოვიდნენ და სწრაფ ჭადრაკში ათპარტიიანი უანგარო (არაკომერციული) მატჩიც ითამაშეს. მატჩი ხუთი დღე გაგრძელდა. დარბაზში, მაყურებლებისა და ჟურნალისტების ტევა არ იყო და ვეტერანებმაც ჯიგრიანად ითამაშეს, თანამედროვე თეორიას მისაზღვეელი მიუზღეს და არც გასული საუკუნე დავიწყებიათ. ერთ-ერთ პარტიაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ასი წლის წინ პოპულარული დებიუტი გაითამაშა და წარმატებითაც. თუმცა, საერთო ჯამში მარადიული პრეტენდენტი მაინც უკეთ გამოიყურებოდა. კორჩნოის საჭადრაკო დღეგრძელობა საერთო ალტაცებას იწვევს და ბებერი მაესტრო 60 წელს გადაცილებულებში ალბათ უცილობელ მსოფლიოს ჩემპიონად უნდა მივიჩნიოთ. სანკტ-პეტერბურგში კორჩნოის უპირატესობა ცხადად იგრძნობოდა, თუმცა ეს ანგარიშში მაინცდამაინც არ ასახულა. სპასკიმ ოთხჯერ წააგო, თუმცა რალაც მანქანებით მეტოქეც ორჯერ დაამარცხა და საბოლოო ანგარიში 6:4 დაფიქსირდა კორჩნოის სასარგებლოდ. ამის შემდეგ სპასკიმ სახელშეცვლილი ბავშობის ქალაქი მოიხილა და ამჟამად მილებებსა და ბანკეტებზე ცდის საკუთარ ძალებს. კორჩნოი კი აეროპორტისკენ გაქანდა.

და სად ეჩქარებოდა 67 წლის ჯერაც ჭარმაგ მაესტროს? სად და ესპანეთში. იქ გუშინ მეტად მნიშვნელოვანი ტურნირი დაიწყო, რომელსაც უფრო სევილიის ტურნირად მოიხსენიებენ ხოლმე, თუმც იგი არა თვით სევილიაში, არამედ იქვე, ყურისძირში მდებარე, ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეთა მონუმენტური ნაგებობებით დახუნძლულ, 100-ათასიან დოს-ჰერმანასში იმართება. 1997 წლის შეჯიბრება ანანდმა და კრამნიკმა მოიგეს, ხოლო მომდევნო წელს საჭადრაკო არისტოკრატია საერთოდ ალარ ჩავიდა ანდალუზიაში და მთელი ასპარეზი ბურჟუაზიას დარჩა. მაშინ 150 მოთამაშეს შორის მეხუთე ადგილზე ჩვენებური ელიზბარ უბილავა გავიდა, რომელიც ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს და საქმიანობს.

წლეულს ელიტამ კვლავ მოიბრუნა გული დოს-ჰერმანასზე და გუშინ ქალაქში მეტად წარმომადგენლობითი სახით წარდგა. თვით კატეგორია — მე-19, რომელიც ტურნირს მიენიჭა, ბევრ რამეზე მეტყველებს და მონაწილეთა გვარების კომენტირება ხომ საერთოდ ზედმეტია. ტურნირის ფავორიტებად, უპირველესად, ცხადია, ანანდი და კრამნიკი, შემდეგ კი ტოპალოვი და სვიდლერი ითვლებიან, თუმცა აშკარაა, რომ დოს-ჰერმანასში მათ მეტად ძნელი გასეირნება მოუწევთ. კონკურენტებს შორის პირველ რიგში ადამსი და მოროზევიჩი უნდა დავასახელოთ. განსაკუთრებული ყურადღება 21 წლის მოროზევიჩს ერგება, რომლის გასაოცარ პროგრესზე უკვე ვწერდით და რომელიც, სხვა თუ არაფერი, ფიდეს რეიტინგ-ლისტში მე-5 ადგილზეა, თუმცა დიად ჭადრაკში სწორედ ესაა მისი პირველი შეჯიბრება და მთავარი გამოცდის ჩაბარებაც ალბათ ახლა მოუწევს.

დოს-ჰერმანასის ტურნირის უდიდეს ინტრიგად იუდით პოლგარის გამოჩენა ალიქმება. პოლგარების საგვარეულო საჭადრაკო თვალსაზრისით კარგა ხანია უდავო კრიზისს განიცდის. უფროსი და, ჟუჟა, ახლა სახელად სუზანა რომ ირჩია და ახლა ასე უფრო ხშირად მოიხსენიებენ, ქალთა დაუმარცხებელ ჩემპიონად კი რჩება, მაგრამ რაც თავისი გული და ხელი ვინმე შუტცმანს უძლვნა და მას ბავშვიც აჩუქა, ჭადრაკი საერთოდ შეიძულა. მისი გვარი უკვე ალარ ირიცხება ოფიციალურ რეიტინგ-ლისტებში და ფიდე ალბათ მალე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც წაგვრის. სავარაუდოდ, ეს ივლისში მოხდება, როცა ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ახალი ციკლის გამართვაა დაგეგმილი. არ ვიცით, რა აზრისაა თავად ჩემპიონი, იქნებ სულაც აწყობს ფიშერის კვალდაკვალ სიარული? ამაზე ალარ გავაგრძელებთ და ახლა იუდითზე ვისაუბრებთ. უმცროსი და — საერთო ალიარებით, ყველაზე ნიჭიერი პოლგარი — თავისი თამაშით 10 წლიდან ამტკიცებდა, რომ „გენიოსები არ იბადებიან, გენიოსებად ყალიბდებიან" (ლასლო პოლგარის, პოლგარების მამის სიტყვებია). მის აქტივში იყო გამარჯვებები არა მხოლოდ რიგით დიდოსტატებთან, არამედ თუნდაც ანანდთან და მერე როგორი გამარჯვებები!... ჭადრაკის მახვშები სწორედ იუდითის სახელს უკავშირებდნენ ისეთ გრანდიოზულ სენსაციას, როგორიც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტახტზე მდედრის დაბრძანება იქნებოდა, მაგრამ ბოლო წლებმა ამ ეიფორიაში კორექტივები შეიტანა. რიგი წარუმატებლობის შემდეგ იუდითი დროებით გაემიჯნა ჭადრაკს და საკმაო შესვენების შემდეგ დოს-ჰერმანასი მისი პირველი სერიოზული ტურნირია.

წერილის ბოლოს ვეტერანებიც ვახსენოთ. სადღეისოდ ალბათ არცთუ კორექტულია კარპოვის ამ კატეგორიაში გაყვანა, მაგრამ საამისო საფუძველი არსებობს. ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონი დღეს აშკარად ალარ არის ის, რაც თუნდაც სამი წლის წინ იყო, თუმცა, ვინ იცის! ბებერი ხარისა რქებიც ხნავენო და ა.შ... ვნახოთ! არიან კიდევ ესპანელი მიგელ ილესკასი, ბოლო ადგილის ერთ-ერთი უცილობელი ფავორიტი და ვიქტორ კორჩნოი, ზემოთ ამდენჯერ რომ ვახსენეთ.

აი, დოს-ჰერმანასის ტურნირის მთელი ანსამბლი. ისინი 18 აპრილამდე ალბათ მრავალგზის გვიჩვენებენ, რა არის ნამდვილი ჭადრაკი და ჩვენც ხომ ეს გვინდა.

**დავით გულუა**



იუდით პოლგარი

ხელბურთი

# ხალხის გავიცანით, ცოტა ფულის ვიშოვეთ

ამ დღეებში ავსტრიის დედაქალაქმა ვენამ ევროპის ხელბურთის ფედერაციის (EHF) ტრადიციულ სემინარს უმასპინძლა. ამ ღონისძიების შესახებ გვესაუბრა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი **თამაზ თევზაძე**, რომელიც სემინარში თავად მონაწილეობდა.

— ევროპის ხელბურთის ფედერაცია (EHF) 1992 წლიდან გამოეყო მსოფლიოს ხელბურთის ფედერაციას (IHF). მისი სემინარების ორ წელიწადში ერთხელ გამართვა ტრადიციად დამკვიდრდა. წლევანდელ სემინარს 42 ქვეყნის ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივნები და აღმასრულებელი დირექტორები ესწრებოდნენ. პლენარული სხდომების გარდა შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და ძირითადი სამუშაო სწორედ მათ ჩაატარეს.

სემინარმა შემდეგი ძირითადი საკითხები განიხილა: 1 საშეჯიბრო რეგლამენტი ეროვნული ნაკრებებისა და კლუბებისთვის; 2 ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მიღებული ახალი სატრანსფერო დებულება; 3 დანიის, როგორც წამყვანი სახელბურთო ქვეყნის პირველობის მაგალითზე ეროვნული ჩემპიონატების სტრუქტურის განხილვა; 4 კავშირი მასმედიასთან; 5 ხელბურთის განვითარების პროგრამა და ქალები ხელბურთში (აქ საუბარია ეროვნული ფედერაციების მინიმუმ 10 პროცენტით ქალებით დაკომპლექტებაზე). მეოთხე საკითხის მოუგვარებლობამ შარშან გვაზარალა, რადგან ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის არქონის გამო საერთაშორისო ფედერაციასთან კავშირს ვერ ვამყარებდით, ჩვენს ნაკრებებს აუკრძალეს ოფიციალური თამაშები. EHF-მა მკაცრად მოგვთხოვა მისამართები. ინტერნეტში საკუთარი მისამართი ჯერ არ გვაქვს, ელექტრონულში — კი. ამიტომ ახლა ეს საფრთხე არ გვემუქრება.

სემინარი მნიშვნელოვანია პირადი კონტაქტების დამყარების მხრივაც. იქ მე ცალკე შევხვდი EHF-ის გენერალურ მდივან მიხაელ ვიდერერსა და განვითარების დეპარტამენტის თავმჯდომარე ჰელმუტ ჰორიჩს. ისინი შემპირდნენ, რომ წლეულს ჩვენს ფედერაციას გარკვეული ოდენობის თანხას გამოუყოფენ. მისი განაწილება ჩვენვე დაგვევალა. ურთიერთობა დავამყარეთ გერმანიის ხელბურთის კავშირთანაც. ჩვენ მას მივმართეთ თხოვნით თანამშრომლობის შესახებ. ამ დღეებში მოგვივიდა ფაქსი, რომლითაც შევიტყვეთ, რომ კავშირის აღმასკომმა ჩვენი თხოვნა განიხილა და თანამშრომლობაზე მზადყოფნა გამოთქვა.

**— განვითარების პროგრამა რა სახის სამუშაოებს მოიცავს და რით დაგვეხმარებიან წლეულს?**

— გრანტების სახით უკვე შემოვიტანეთ და კლუბებს დავურიგეთ სათამაშო ბურთები. ისინი ამით უზრუნველვყავით. განვითარების პროგრამის ფარგლებში საუბარია მწვრთნელთა სემინარის მოწყობაზე უცხოელი ექსპერტის ჩამოყვანაზე (ენობრივი ბარიერის გამო მწვრთნელებს საზღვარგარეთ ვერ ვაგზავნით), კლუბებისთვის სავარჯიშო ფორმის, საოფისე ტექნიკის (კომპიუტერი, ფაქსი და სხვა), სათამაშო ხალიჩის შეძენაზე, რომელიც ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებულ სკოლაში დაიგება. ეს სკოლა კი ფედერაციის საკუთრებაა და ამ ხალიჩას ჩვენც გამოვიყენებთ. დაეხმარებიან ფედერაციას მენეჯმენტის შესასწავლად საზღვარგარეთ შესაფერისი კადრების მივლინებაში. გაისიდან ვგეგმავთ ბავშვთა ლიგის დაარსებასაც და შეიძლება ამაშიც დაგვეხმარონ. ვნახოთ, რა თანხას გამოგვიყოფენ, რამდენად გაწვდება ის ჩვენს გაჭირვებას და პრიორიტეტებსაც ამის მიხედვით განვსაზღვრავთ.

**ირაკლი თავაძე**

# ყატარის საბაჟო ყუბანში ყოფილა

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები 2-დან 4 აპრილის ჩათვლით, რუსეთის ქალაქ კრასნოდარს სტუმრობდა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში მონაწილეობის მისაღებად. მსოფლიოს პირველობა 22 აგვისტოდან ყატარში გაიმართება. მანამდე კი ევროპის ხელბურთის ფედერაციამ კონტინენტის ახალგაზრდული ნაკრებები ექვს ჯგუფად დაყო, ჯგუფებში გამარჯვებულები კი ავტომატურად ყატარის საგზურს მოიპოვებდა. ქართველები მეექვსე ჯგუფში მოხვდნენ და როგორც გითხარით, აპრილის დამდეგს ყუბანის მხარეში იასპარეზეს, ჩვენი მეტოქეები რუსები, პოლონელები და ბულგარელები იყვნენ. თავიდანვე გეტყვით, რომ ქართველმა ხელბურთელებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და ყატარის მსოფლიოს ჩემპიონატიც მათ გარეშე ჩაივლის.

პირველი მატჩი ჩვენმა ბიჭებმა პოლონელ თანატოლებთან გამართეს და ერთბურთიანი სხვაობით, 17:18 დამარცხდნენ, შემდეგი შეხვედრა რუსებთან 21:30 დათმეს, ბოლოს კი ორი მარცხით გამწარებულებმა ბულგარელებს გადაუარეს და თოთხმეტი ბურთით 26:12 მოუგეს. ჩვენგან საუკეთესო სერგო დათუკაშვილი იყო, რომელმაც სამ შეხვედრაში 27 ბურთი გაიტანა. საბოლოოდ ქართველები ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდნენ, საკვალიფიკაციო ეტაპი და შესაბამისად ყატარის საგზური რუსებმა მოიგეს.

**ბაჩა ხურციძე**

ფრენბურთი

# ბულგარელები ფრენბურთიდან დაიფრინეს

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (FIVB) ბულგარეთის ნაკრები მსოფლიო სარბიელისდან მოკვეთა. მიზეზი ბულგარეთის სპორტის სამინისტროს მიერ ქვეყნის ფრენბურთის ფედერაციის ძალდატანებითი დათხოვნა და მისი შემადგენლობის ძალდატანებითივე გადახალისება ყოფილა. მართალია, ეს აქცია სპორტის ბულგარელ მამებს გასული წლის ნოემბერში განუხორციელებიათ (როცა იაპონიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატიდან ფედერაციის შინ მობრუნებულ პრეზიდენტ ვალენტინ ზაიაკოვსა და მის მეგობრებს უეჭველი ჭიტლაყი დაახვედრა), მაგრამ FIVB-ის დამსჯელი რეაქცია ამას მხოლოდ ახლახან მოჰყვა. FIVB აცხადებს, რომ ბულგარეთის ოფიციალურ ფრენბურთს მისთვის დღესაც ზაიაკოვი და კომპანია წარმოადგენენ და ამ ვითარების შეცვლა მხოლოდ სამართლიან არჩევნებს შეუძლია. მანამ კი, სანამ ასეთი არჩევნები არ ჩატარებულა — ბაი, ბაი, ბულგარულო ფრენბურთო.

ჰოკეი




ორი ერთზე: ბოსტონელ სტივ ჰაინცეს (მარჯვნივ) მონრეალელები დაინიუს ზუბრუსი (28) და სტეფან ქინტალი ეძგერნენ

# მიუღოცეთ ლორდ ბაირონს!

პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა აღმოსავლეთში. მას შემდეგ, რაც ამ კონფერენციის რვა საპლეიოფო გუნდის ვინაობა გაირკვა, ძლიერთა შორის დიდი თამაში გაჩაღდა... ყველა მეექვსე ადგილს უმიზნებს. რატომ? ვინც მას დაეუფლება, მესამეადგილოსანს, ანუ შედარებით სუსტ კაროლინას შეხვდება. ჰოდა, პიტსბურგმა და ფილადელფიამ ამიტომაც წააგეს რამდენიმე თამაში შეთანხმებულებივით (თუმც ამ მარცხებს ობიექტური მიზეზებიც აქვს) და ამჟამად მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფენ. ამასობაში კი მათ ბოსტონი და ბუფალო წამოეწივნენ. ასე რომ, ჩემპიონატის ბოლო დღეებში მეექვსე ადგილისთვის ბრძოლა, დასავლეთში კალგარის და ედმონტონის ქიდილთან ერთად, მთავარ ინტრიგად იქცევა.

5 აპრილი

**ბოსტონი — მონრეალი 3:0**

1:0 2:0 0:0

1:0 სამსონოვი 15'08 (24); 2:0 დიმაიო 26'07 (6); 3:0 კარტერი 35'43 (18)

ბოსტონი ამ მეტად საინტერესო და თავშესაქცევი პაექრობის ყველაზე მოულოდნელი მონაწილეა. ათიოდე დღის წინ „დათვების" პლეი ოფში მოხვედრა საეჭვო გახლდათ, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა და ამაში თვით ბოსტონელებს და განსაკუთრებით მათ მეკარე ბაირონ დაფოს დიდი წვლილი მოუძღვით. უქმეებზე მან გოლი არ გაუშვა (25 მოგერიება) და მონრეალიც ერთობ დაჩაგრა, ამასთანავე კლუბის ისტორიაში 1939 წლის შემდეგ პირველმა მოახერხა 10 შათაუტის გაკეთება და, რაც მთავარია, გულშემატკივრებმა მშვენიერი მეტსახელი შეარქვეს — „ლორდ ბაირონი".

**ბუფალო — პიტსბურგი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 ვორდი 10'40 (19); 2:0 ვული 22'28 (7); 2:1 ბრაუნი 31'29 (19); 3:1 შმეპლიკი 59'35 (2)

როგორც ჩანს, დომინიკ ჰაშეკი თავისი რვა შათაუტით (თანაც უკანასკნელი ორი თვის წინანდელია) დაფოს ველარ გაუწევს კონკურენციას. სამაგიეროდ, ამჯერად „დომინატორმა" შეძლო ის, რაც ბოლო ხანებში მის ერთ კოლეგასაც ვერ მოუხერხებია — თავისი მეგობარი იარომირ იაგრი უქულოდ დატოვა.

**ტამპა — ოტავა 4:4**

1:1 3:3 0:0 0:0

1:0 ლეკავალიე 2'13 (12); 1:1 იუჰანსონი 19'36 (21); 2:1 ტაკერი 21'28 (20); 3:1 ზამუნერი 28'42 (6); 3:2 დონატო 30'05 (11); 3:3 ვან ალენი 32'24 (6); 3:4 არვედსონი 35'38 (21); 4:4 დეიგლი 38'53 (9)

**ფილადელფია — რეინჯერსი 1:5**

0:2 0:2 1:1

0:1 სტივენსი 0'32 (23); 0:2 ტეიმერი 4'27 (1); 0:3 შნაიდერი 30'14 (9); 0:4 გრეივსი 35'07 (37); 1:4 რენბერგი 52'55 (14); 1:5 ლიჩი 56'18 (11)

ერიკ ლინდროსის, ჯონ ლეკლერის და მარკ რეკის არყოფნაში ფილადელფია სულ არ ჰგავს გუნდს, რომელსაც თასზე აქვს პრეტენზია. მართალია, ნიუიორკელთა მეკარე მაიკ რიხტერი (36 მოგერიება) უსაქმოდ არ იყო, მაგრამ „მფრინავთა" შეტევებს უმეტეს შემთხვევაში სიმწვავე აკლდა. „დიაღმა" გრეცკიმ ორი პასი მიითვალა.

**დეტროიტი — ანაჰაიმი 3:2**

1:0 2:0 0:2

1:0 ლიდსტრიომი 9'34 (14); 2:0 შენაჰანი 24'13 (30); 3:0 აიზერმანი 38'32 (27); 3:1 სანდსტრიომი 43'14 (12); 3:2 კალენი 52'30 (11)

ანაჰაიმის ლიდერი ტეემუ სელიანე (1პასი) გაოცებული ამბობდა, ასეთი ძლიერი დაცვის წინააღმდეგ ამ სეზონში არ მითამაშია, თან ჯერ ულფ სამუელსონიც არ ჰყავთო. მოგეხსენებათ, ზედიზედ 7 მოგებულ თამაშში ჩემპიონებმა 10 შაიბა გაუშვეს.

**კოლორადო — ლოს ანჯელესი 4:1**

2:0 1:0 1:1

1:0 ფუტი 15'32 (5); 2:0 ფორსბერგი 17'00 (27); 3:0 ფორსბერგი 25'42 (22); 3:1 შტუმპელი 54'20 (13); 4:1 ჰეიდუკი 54'58 (14)

კოლორადო ამჟამად ლიგაში ერთადერთია, რომელიც არ ჩამოუვარდება დეტროიტს. ბოლო 7 თამაშია (+6=1-0) „ზვავებს" არ წაუგიათ, ხოლო მისი ლიდერები ჩინებულ ფორმაში არიან. ამჯერად ტეო ფლერმა შეისვენა, სამაგიეროდ, პეტერ ფორსბერგი და ჯო საკიკი (2 პასი) გამოირჩნენ.

**ფლორიდა — ვაშინგტონი 0:3**

0:0 0:1 0:2

0:1 ბელოუზი 31'47 (17); 0:2 გონჩარი 50'33 (21); 0:3 ბლეკი 57'55 (16)

„ჩვენივე ხელით გამოვიჭერით ყელი, ამდენი მომენტი გვქონდა მატჩის დასაწყისში და ერთიც ვერ გამოვიყენეთ" — წუხდა მატჩის შემდეგ ფლორიდის მთავარი მწვრთნელი ტერი მიურეი.

**ჩიკაგო — ვანკუვერი 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 დაზე 21'25 (20); 2:0 დაზე 48'29 (21); 2:1 სკაჩარდი 54'42 (12)

რაც ჩიკაგოს ლორნი მოლეკენი თავკაცობს, „ქორებმა" 19 თამაშში 22 ქულა მოიპოვეს.

**ტორონტო — სენტ ლუისი 2:2**

0:2 0:0 2:0 0:0

0:1 ბარტესკო 0'50 (5); 0:2 ტარჯონი 5'39 (30); 1:2 სუნდინი 42'05 (29); 2:2 ბერარდი 44'16 (8)

სენტ ლუისმა პლეი ოფში გასვლა დაიბევა.

**სამველ ღარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა* | 76 | 43 | 21 | 12 | 230:168 | 98 |
| ნიუ ჯერსი* | 75 | 42 | 11 | 22 | 228:183 | 95 |
| კაროლინა | 76 | 31 | 16 | 29 | 194:194 | 78 |
| ტორონტო* | 77 | 42 | 7 | 28 | 249:220 | 91 |
| პიტსბურგი* | 77 | 36 | 14 | 27 | 232:210 | 86 |
| ფილადელფია* | 77 | 34 | 18 | 25 | 219:188 | 86 |
| ბოსტონი | 76 | 35 | 13 | 28 | 199:168 | 83 |
| ბუფალო | 75 | 34 | 15 | 26 | 192:164 | 83 |
| რეინჯერსი | 77 | 32 | 10 | 35 | 209:213 | 74 |
| ფლორიდა | 76 | 27 | 18 | 31 | 195:207 | 72 |
| მონრეალი | 76 | 30 | 10 | 36 | 172:193 | 70 |
| ვაშინგტონი | 76 | 31 | 6 | 39 | 195:201 | 68 |
| აილენდერსი | 76 | 21 | 10 | 45 | 174:226 | 52 |
| ტამპა | 76 | 18 | 7 | 51 | 167:227 | 43 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი* | 76 | 47 | 12 | 17 | 217:158 | 106 |
| კოლორადო* | 77 | 41 | 10 | 26 | 227:191 | 92 |
| დეტროიტი | 77 | 41 | 6 | 30 | 232:192 | 88 |
| ფინიქსი* | 76 | 38 | 12 | 26 | 194:179 | 88 |
| ანაჰაიმი* | 76 | 34 | 12 | 30 | 203:187 | 80 |
| სენტ ლუისი* | 76 | 33 | 12 | 31 | 218:195 | 78 |
| სან ხოსე | 76 | 29 | 17 | 30 | 183:177 | 75 |
| კალგარი | 76 | 28 | 12 | 36 | 196:216 | 68 |
| ედმონტონი | 76 | 28 | 11 | 37 | 208:215 | 67 |
| ჩიკაგო | 78 | 25 | 12 | 41 | 185:240 | 62 |
| ლოს ანჯელესი | 76 | 28 | 5 | 43 | 172:205 | 61 |
| ნეშვილი | 78 | 27 | 7 | 42 | 177:238 | 61 |
| ვანკუვერი | 78 | 22 | 11 | 45 | 184:246 | 55 |

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. ვარსკვლავით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდი.

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 122 (40+82); სელიანე (ანაჰაიმი) 100 (45+55); კარია (ანაჰაიმი) 96 (35+61); ფორსბერგი (კოლორადო) 95 (28+67); ლინდროსი (ფილადელფია) 93 (40+53); საკიკი (კოლორადო) 92 (39+53); იაშინი (ოტავა) 90 (43+47); ფლერი (კოლორადო) 88 (38+50); ლეკლერი (ფილადელფია) 86 (39+47); დემიტრა (სენტ ლუისი) 84 (36+48); სტრაკა (პიტსბურგი) 80 (35+45); მოდანო (დალასი) 79 (33+46); სუნდინი (ტორონტო) 78 (29+49).*

## უეფას თასი. ნახევარფინალი
პირველი მატჩები. 6 აპრილი

UEFA CUP

**ატლეტიკო (ესპანეთი) 1:3 პარმა (იტალია)**

0:1 კიეზა (13), 1:1 ჟუნინიო (21პ), 1:2 კიეზა (40), 1:3 კრესპო (61)

ატლეტიკო: მოლინა, სერენა, შამოტი, სანტი, აგილერა, ფრესნედოსო (ტევენეტი 66), იუგოვიჩი, ვალერონი, სოლარი, ჟუნინიო, ხოსე მარი

პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, სარტორი, ვანოლი, ფუზერი, ვერონი (სტანიჩი 65), ფიორე, ბაჯო, კრესპო (მუსი 82), კიეზა (ბალბო 68)

**მარსელი (საფრანგეთი) 0:0 ბოლონია (იტალია)**

მარსელი: პორატო, გალასი, ისა, ბლანი, დომორო, ლუქსენი (ბრავო 78), ბრანდო, პირესი, დიუგარი (და სილვა 67), მორისი (კამარა 78), რავანელი

ბოლონია: ანტონიოლი, ბია, მანგონე, რინალდი, პარამატი, მაროკი, ინგესონი, ფონტოლანი (ნერვო 67), ბინოტო (კაპიოლი 74), სინიორი (მაინი 80), ანდერსონი

## ინგლისი

**არსენალი 1:0 ბლექბერნი**

1:0 ბერხკამპი (42)

**ლესტერი 2:2 ასტონ ვილა**

0:1 ჰენდრი (2), 0:2 ჯოაკიმი (48), 1:2 სევიჯი (62), 2:2 კოტი (71)

## ჰოლანდია

**კამბური 1:1 როდა**

0:1 ტორმა (70), 1:1 ბერჰალტერი (89)

## შოტლანდია

**დანდი იუნაიტედი 1:3 ჰართსი**

1:0 დოდსი (3), 1:1, 1:2 საკსვეგანი (24, 45), 1:3 კამერონი (60)

## ავსტრია

თასის მეოთხედფინალი

**ლუსტენაუ 0:1 ლინცერი**

**ბრაუნაუ (II) 0:1 რიდი**

**რაპიდი 4:1 ზალცბურგი**

**გრაცერი 1:2 შტურმი**



REUTERS მარსელიდან

მარსელი — ბოლონია. მარსელელი პირესი ბოლონიელებთან, პარამატისა (შუაში) და ბინოტოსთან (მარჯვნივ) ბრძოლაში



REUTERS ჯაკარტიდან

# მოვიდა არწივი!

*საყვარელი საფეხბურთო კლუბისადმი მხარდაჭერას ყველგან თავისებურად გამოხატავენ. ზოგან შარვლის ჩახდა და მეტოქისთვის ბანჯგვლიანი უკანალის ჩვენებაა მიღებული, ზოგანაც უბრალოდ დედის გინება ანაც თოფის სროლა... ამ ჯაკარტელ ბიჭუკელას კი თამაშის მიმდინარეობაზე ზეგავლენის მოხდენა ჯერაც კაცობაში შეუსვლელი არწივის დახმარებით გადაუწყვეტია... უშველა თუ არა ფრინველთა მახვშმა იმ უცნობ ჯაკარტულ კლუბს, ამის შესახებ როგორღაც არც ერთი სააგენტო იუწყება, არც მეორე და არც მესამე.*

# ქალა ყინულსაც ხეხავს

ამერიკულ ქალაქ სენტ ჯონში მსოფლიოს უჩაუქესი მექერლინგენი შეყრილან და მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებთა ვინაობას არკვევენ. ქალთა შორის გამორჩეული სახელი და გამავლობა კანადელებსა ჰქონიათ. ამიტომაც ფოტოზე აღბეჭდილ ფინელ იაანა ჰამალაინენს ოხრად დაურჩა გუნდელთათვის ყივილი და ნერვების მოშლა — კანადელებმა ყინული დაულალავად ხეხეს და დედაკაცური სიამოვნებაც ფინელთა ორის წინააღდეგ ბარე რვაჯერ მიიღეს — 8:2.



REUTERS სენტ ჯონიდან



# ოქსბრიჯული ვნებანი

ოქსფორდის უნივერსიტეტის ნიჩბოსანთა (შავთეთრ მაისურებში) გერმანელ კოლ ფონ ეტინგშოისენის, კანადელთა — ენდრიუ ლინდსის, მორგან კრუკსისა და ამერიკელი მარტინ კროტის სახეები ფრიად დაძაბულობას გამოხატავს. ეს გასაგებიცაა — მათი კემბრიჯელი მეტოქეები ხომ წინა ექვსი წლის განმავლობაშიც უეჭველად იგებდნენ და განსაკუთრებული ძალისხმევა არც გუშინწინდელი გამარჯვების მოსაპოველად დასჭირვებიათ... მოკლედ და კონკრეტულად: 145-წლიანი ტრადიცია და 76:68 (ერთი ფრითურთ) კემბრიჯელთა სასარგებლოდ.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29